# „ჩვენ განვკურნავთ დედამიწას სნეულებათაგან“



# სარჩევი


**ნარდგინება** .......................................................... 5

**Presentation** .......................................................... 6

რევაზ ბალანჩივაძე .......................................................... 8
*რედაქტორის წინათქმა*

პაატა გიორგაძე .......................................................... 14
*რეცენზენტისაგან:*
*„დღის წესრიგში დგება ცვლილებების შეტანა ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიაში“*

ლეილა მირიანაშვილი .......................................................... 15
*რეცენზენტისაგან:*
*„ამ წერილის გათვალისწინება მოუწევს ყველა ქვეყანას“*

დენიზა სუმბაძე .......................................................... 59
*„ჩვენ განვკურნავთ დედამიწას სნეულებათაგან“*
*ღია წერილი მის აღმატებულებას, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს, ბატონ დონალდ ტრამპს*


## დანართები

### ამერიკის პრეზიდენტისადმი, ბ-ნ დონალდ ტრამპისადმი ქ-ნ დენიზა სუმბაძის მიწერილი წერილისათვის: „ჩვენ განვკურნავთ დედამიწას სნეულებათაგან“


დანართი პირველი

**Дениза Сумбадзе** .......................................................... 66

**Из Резюме Книги г-жи Денизы Сумбадзе: "О правах и достоинствах нации"** .......................................................... 66

**От переводчика** .......................................................... 67

დანართი № 2

**ნიუ-იორკის ბიბლიის შემსწავლელი ქართველოლოგიური ცენტრი: „ბიბლია და საქართველო“** .......................................................... 68

დენიზა სუმბაძე .......................................................... 68
*ქართველოლოგიური ცენტრი ნიუ-იორკში „ბიბლია და საქართველო“*

ნიუ-იორკის გუბერნატორის მოლოცვა ნიუ-იორკში ბიბლიის შემსწავლელი ქართველოლოგიური ცენტრის: „ბიბლია და საქართველოს“ დამფუძნებლებისადმი, 2004 წლის აპრილში .......................................................... 73

## გამოხმაურებანი

### ამერიკის პრეზიდენტისადმი, ბ-ნ დონალდ ტრამპისადმი ქ-ნ დენიზა სუმბაძის მიწერილ წერილზე: „ჩვენ განვკურნავთ დედამიწას სნეულებათაგან“


გურამ პეტრიაშვილი ........................................ 76

*„მჯერა და მხარს ვუჭერ ქალბატონი დენიზას წერილის ყოველ სიტყვას“*

ლაზარე ზაქარიაძე ........................................ 78

*მალე, ძალიან მალე, ისტორიული ბორბლის ტრიალის თვალსაზრისით...*

ზურაბ ხასაია ........................................ 78

*„თავისგაყოფა პროდასავლუროზის ახალ უღელში მაშინ ვერავინ შენიშნა“*

მარინე ხარჩილავა ........................................ 80

*„სამართლიანი გამოთხოვაც და მოთხოვნაც“*

ვლადიმერ (ვოვა) ჭანტურიძე ........................................ 81

*„საოცარი სიზუსტით და სისრულით გადმოცემული გულისტკივილი ქართველი ხალხისა.“*

ტარიელ ამირაჯიბი ........................................ 82

*მჯერა, რომ საქართველო თავს დააღწევს მარწუხებს, ვით კავკასიონზე მიჯაჭვული ამირანი...*

ლია ამანათაშვილი ........................................ 82

*„ჩვენ უნდა გავაფართოვოთ ეკლესიის უფლებები პოლიტიკაში...“ დონალდ ტრამპი*

კლარა (კამკამა) ტონია ........................................ 84

*ქ-ნ დენიზა სუმბაძის სახელმწიფოებრივ-მსოფლმხედველობრივი პოზიციები, მისივე სიტყვებით: „ძირფესვიანი ქართული, ძირფესვიანი ქრისტიანული და პროკაცობრიულია“*

„ჩვენ განვკურნავთ დედამიწას სნეულებათაგან“ რ ე ზ ი უ მ ე ........................ 87

**"We will Cure the Earth from Illnesses" SUMMARY ........................ 89**

ნიუ იორკის ბიბლიის შემსწავლელი ქართველოლოგიური ცენტრი:
**„ბიბლია და საქართველო"**
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საზოგადოებრივი გაერთიანების: „თბილისის უნივერსიტეტის ასამბლეის"
არეოპაგიტული სამეცნიერო ცენტრი და „ეროვნული პრობლემების
ანალიტიკური დარბაზი".

# „ჩვენ განვკურნავთ დედამიწას სნეულებათაგან"

**ქ-ნ დენიზა სუმბაძის**

## ღია წერილი

**მის აღმატებულებას,**
**ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს,**
**ბატონ დონალდ ტრამპს**

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი – 2018 – საქართველო

ნიუ იორკის ბიბლიის შემსწავლელი ქართველოლოგიური ცენტრი:
New York Bible Study Qartvelological Center:
**„ბიბლია და საქართველო“**
**“Bible and Saqartvelo”**
სერიალით:
with the Serial:

მთავარი აზრი
MAIN IDEA

აქვეყნებს ცალკეულ წერილებს, ასევე პუბლიკაციებს გამოქვეყნებული სტატიებისას და სამეცნიერო მოხსენებებისას, რითაც მკითხველის ყურადღებას საგანგებოდ ამახვილებს მათში გამოხატულ აზრობრივ, ან ზოგადმსოფლმხედველობრივ პოზიციებზე.
publishes some letters, as well as the publications of the published articles and scientific reports; which it uses to attract the readers' attention to the ideas and general philosophy expressed in them.

© ლ. სუმბაძე, 2018

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2018
თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-394-1

# წარდგინება

წინამდებარე წიგნი წარმოადგენს ცნობილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არეოპაგიტული სამეცნიერო ცენტრისა და ნიუ იორკის ბიბლიის შემსწავლელი ქართველოლოგიური ცენტრის – „ბიბლია და საქართველო"-ს დამფუძნებლისა და ხელმძღვანელის, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, **ქ-ნ დენიზა სუმბაძის** ღია წერილს ამერიკის შეერთებული შტატების ამჟამინდელი პრეზიდენტის, **ბატონ დონალდ ტრამპისადმი**. „წერილის" სათაური – „ჩვენ განვკურნავთ დედამიწას სნეულებათაგან" – ციტირებაა ბატონი ტრამპის საინაუგურაციო სიტყვიდან, რომელიც მან წარმოსთქვა 2017 წლის 20 იანვარს. აღნიშნული წერილის მოკლე, საგაზეთო ვარიანტი გამოქვეყნდა გაზეთ „საერთო გაზეთში", 2018 წლის 5 სექტემბრის ნომერში (რედაქტორი: პოეტი და პუბლიცისტი, ბ-ნი ვ ა ხ ტ ა ნ გ ხ ა რ ჩ ი ლ ა ვ ა). ამ მოკლე ვარიანტს წინამდებარე ღია წერილისას, ავტორი აქვეყნებს სრული ტექსტის ბოლოს, როგორც ერთგვარი განვრცობილი სახის რეზიუმეს სრული ტექსტისას. ავტორისეული ღია წერილის სრული ტექსტი კი პირველად ქვეყნდება წინამდებარე წიგნის სახით: ავტორი საჭიროდ მიიჩნევს აღნიშნოს, რომ საზოგადოებისადმი წარდგინება, ანუ გასაჯაროება აღნიშნული ღია წერილისა შესდგა საზოგადოებრივი გაერთიანების: „თბილისის უნივერსიტეტის ასამბლეის" „ეროვნული პრობლემების ანალიტიკური დარბაზის სხდომაზე", 2017 წლის 9 ივნისს, საქართველოს პარლამენტის, ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის აუდიტორიაში. ეს სხდომა გაგრძელება და დასასრული გახლდათ „ეროვნული პრობლემების ანალიტიკური დარბაზის" 2017 წლის 30 მაისის გახმაურებული სხდომისა, რომელიც შესდგა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის, 214-ე აუდიტორიაში.

წინამდებარე წიგნში აშშ-ის პრეზიდენტისადმი ღია წერილის სრულ ტექსტთან ერთად, რომელიც პირველად ქვეყნდება, ავტორი აქვეყნებს იმ პირველ გამოხმაურებებსაც, რომლებიც მოჰყვა აღნიშნული წერილის მოკლე, ანუ საგაზეთო ვარიანტის გამოქვეყნებას, გაზეთ „საერთო გაზეთში". ამერიკის პრეზიდენტისადმი ქ-ნ დენიზა სუმბაძის ღია წერილის საგაზეთო ვარიანტი ავტორის მიერ, წარედგინა საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის მოვალეობის შემსრულებელს, ქ-ნ ე ლ ი ზ ა ბ ე თ რ უ დ ს და ეთხოვა მისი ინგლისური თარგმანის გადაგზავნა ადრესატისადმი, საელჩოს მიერ ოფიციალურად მიღებული წესით. ავტორმა აგრეთვე სთხოვა საელჩოს, რომ საშუალება მისცემოდა, თავადაც გასცნობოდა საელჩოს მიერ შესრულებული თარგმანის ტექსტს და მხოლოდ მისი დასტურის შემდგომ გადაგზავნილიყო ადრესატთან, რაზედაც ავტორმა საელჩოსაგან მიიღო, სატელეფონო ფორმით, უარყოფითი პასუხი. ავტორისათვის მხოლოდ სატელეფონო პასუხით გახდა ცნობილი, რომ წერილის ტექსტი გადაეგზავნა ადრესატს.

ა მ ე რ ი კ ი ს პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი ს ა დ მ ი, ბ-ნ დ ო ნ ა ლ დ ტ რ ა მ პ ი ს ა დ მ ი, ცნობილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, ქ-ნ დენიზა სუმბაძის მიერ მიწერილი ღია წერილი, სათაურით „ჩვენ განვკურნავთ დედამიწას სნეულებათაგან", წარმოადგენს ავტორისეული ხედვის ანალიტიკურ სურათს, საქართველოში მიმ-

დინარე პროცესებისას, მსოფლიოს ახალი წესრიგის ჭრილში. წერილი ავტორის მიერ სამ ნაწილად არის წარმოდგენილი:

1) ვინ არის მსოფლიოს ახალი, დღევანდელი წესრიგის ავტორი და პასუხისმგებელი ამ წესრიგზე?!

2) რა შეიძლება ეწოდოს იმ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, რომელიც ჩვენ, ქართველმა ხალხმა მივიღეთ მსოფლიოს მიერ შემოთავაზებული ე. წ. მსოფლიოს ახალი წესრიგით?!

3) რატომ არის მსოფლიოს ახალი წესრიგის გაცნობიერების აუცილებლობა მსოფლიოს ისტორიის ჭრილში: „ბაბილონის ტყვეობიდან" მე-20 საუკუნის მეორე მსოფლიო ომამდე, მეორე მსოფლიო ომიდან ე. წ. „მსოფლიოს ახალ წესრიგამდე" – და „მსოფლიოს ახალი წესრიგიდან" – ბატონი დონალდ ტრამპის პრეზიდენტობამდე ამერიკის შეერთებულ შტატებში, ანუ საკითხი „მსოფლიოს ახალი, ებრაულ-სიონისტური წესრიგის" მსოფლმხედველობრივი იდეოლოგიის გადატრიალებისა თავად ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მიერ.

## INTRODUCTION
## Denyza Sumbadze: "We will Cure the Earth from Illnesses"
## Open letter to his Excellency the President of the United States Mr. Donald Trump

The given publication of the book: "We will Cure the Earth from Illnesses" presents Professor Denyza Sumbadze's open letter, to the President of the United States – Donald Trump.

The title of the letter "We will Cure the Earth of illnesses" - is taken by the author from Mr. Trump's inauguration speech. The short version of the letter was published in one of the popular Georgian newspapers *Saerto Gazeti* on September 5, 2018, Tbilisi (the editor of the newspaper is a poet and publicist, Vakhtang Kharchilava). Along with the full version of the letter, the concise newspaper version and some comments of readers are also given by the author in the publication.

The book is a joint publication of the Areopagitic Scientific Center (which now functions as a part of the public organization Tbilisi University Assembly of Ivane Javakhishvili Tbilisi State University) and New York Bible studying Kartvelological Center – "Bible and Saqartvelo" founded in New York on the theoretical basis of the Areopagitic scientific center, by Mrs. Denyza Sumbadze, the author of the open letter to President Trump, in 2004.

In her open letter, Denyza Sumbadze addresses President Trump as the founder and the head of New York center of Kartvelology studies – "Bible and Saqartvelo (Georgia)". New York center of Kartvelology presents its readers the given publication of the above mentioned letter in Georgian within the framework of a

new series: "The Main Idea", taking into consideration the interest of Georgian diaspora and hopes that the full text of the letter will be published in the nearest future, next time in English.

The full version of Denyza Sumbadze's open letter to the President is published as a book for the first time. The editor of the book is Professor Revaz Balanchivadze, who has given the status of a scientific work to Deniza Sumbadze's letter to Mr. Trump. The reviewer, academician Paata Giorgadze thinks that the given letter should be used as the basis for the introduction of amendments into the received in 2009 charter of Georgian-American Strategic Relations. It is noted in the review of Guram Petriashvili, a well-known writer and companion-in-arms of the first president of Independent Georgia Zviad Gamsakhurdia, that every Georgian is an addressee of Denyza Sumbadze's letter to Mr. Trump. The reviewers Leila Mirianashvili, an ethnographer,and Tariel Amirejibi, one of the authors of the reviews state that the letter addressed to the President of the United States should be interesting and important for every head of the states.

Professor Denyza Sumbadze's open letter to the President of America is presented to the reader in three parts, under the following titles:

1. Who is the author and who is responsible for the modern world order?!
2. What should the liberty and the declared independence of Georgian people be called which had been suggested by the so called "new world order"?!
3. Why is it so important to perceive the "new world order" in the realm of the world history – beginning from "the Babylonian slavery" up to the World War II; from the second world war to the so called "new world order" and from the "new world order" to the presidency of Donald Trump, also to perceive the topic of an overturn of a "new world order" ideology of the Jewish Zionists' movement?

Professor Deniza Sumbadze's letter to the president of America, Donald Trump, in was initially presented at the the public union-sitting of Tbilisi University Assembly, to "Analytical Chamber of National Problems" at Ivane Javakhishvili Tbilisi State University, on May 30, 2017.

**რევაზ ბალანჩივაძე –**
ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, პედაგოგიკისა და პოლიტოლოგიის
საზოგადოებრივი აკადემიების აკადემიკოსი.

## რედაქტორის წინათქმა

*ქალბატონი დენიზა სუმბაძე კაცობრიობას მსოფლიო მმართველობისაკენ მოუწოდებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ახალ სიმაღლეზე ასვლით და სახელმწიფოთა შორის დაპირისპირებების აკრძალვის მოთხოვნით.*

სანამ ქ-ნ დენიზა სუმბაძის მიერ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის, ბ-ნ დონალდ ტრამპისადმი მიმართულ წინამდებარე ღია წერილზე შევთავაზებ მკითხველს ჩემს აზრსა და შთაბეჭდილებას, როგორც თემასთან ერთგვარ მისაახლოვებელ სიტყვას ავტორის ნააზრევზე, საჭიროდ მიმაჩნია, მცირედ მაინც შევეხო თავად ამ წერილის ავტორის შემოქმედებით გზას, რითაც მკითხველი თავად დარწმუნდება, რომ ეს წერილი ამერიკის პრეზიდენტისადმი, მთელი მისი მოღვაწეობისა და შემოქმედების დინამიკაში, სრულიად ლოგიკური და ბუნებრივი აღმოცენებაა. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ეს წერილი, ორგანულად არის ჩართული მისი აკადემიურ-მეცნიერული თვალსაზრისების ისტორიაში. ისიც შესაძლოა დავსძინოთ, რომ ეს ღია წერილი ამერიკის პრეზიდენტისადმი, გარკვეული ნაყოფიც არის მის მიერ გაწეული კვლევით-მეცნიერული ღვაწლისა და ერთგვარი ახალი სიტყვაც, როგორც მეცნიერისა და მკვლევარის.

ქ-ნ დენიზა სუმბაძეს დიდი ხანია, ვიცნობ. მე მისი ერთგული მკითხველი ვარ და ყოველი მისი ნაშრომი, ყოველი საგაზეთო სტატიაც კი მაოცებს პრობლემაში ღრმად ჩაწვდომის მისეული საოცარი უნარით. შეიძლება ითქვას, რომ მისი ყოველი წერილი ახალი აღმოჩენაა, ახალი სიტყვაა მეცნიერებაში. თითქოს დაჯერებაც გიჭირს, მაგრამ ვერც საწინააღმდეგოს ამტკიცებ. აშკარად გჯაბნის ლოგიკით და გაიძულებს დაიჯერო ის, რაც აქამდე დაუჯერებელი გეგონა.

ვფიქრობ, მკითხველისთვის უინტერესო არ უნდა იყოს თუნდაც ჩამონათვალი იმ ძირითადი შრომებისა, რომელთა ავტორიც ამჯერად მკითხველის წინაშე, ანუ ფაქტიურად მსოფლიო საზოგადოებრიობის წინაშე, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტისადმი, ბ-ნ დონალდ ტრამპისადმი ღია წერილით უნდა წარსდგეს.

დენიზა სუმბაძის ძირითადი შრომებია:

„ადამიანისა და სახელმწიფოს იდეალი პლატონის ფილოსოფიაში“, „დიონისე არეოპაგელი და დანტე ალიგიერი“, „მოწამეობა და აზროვნება, ანუ ქრისტიანობა და პლოტინი“, „თავდავიწყებისათვის, ანუ ირეალურის ეთიკური გააზრებისათვის

პლატონის ფილოსოფიის შუქზე", „დედაუფლის გაგებისათვის, ანუ გელათის აკადემია და ბერძნული (ნეოპლატონური) ფილოსოფიის დასასრული", „ქალდეველები ბიბლიისა და ქალდეველები ბიზანტიისა" და ა. შ. ძველი ბერძნული ენიდან მას ნათარგმნი აქვს უმნიშვნელოვანესი ფილოსოფიური თხზულებები: დიონისე არეოპაგელის „საიდუმლო ღვთისმეტყველებისათვის" და პროკლე დიადოხოსის „თეოლოგიის მთავარსაფუძვლები."

ქართულ საზოგადოებაში საკმაოდ გახმაურებულია დღეს მისი ახალი შრომები: „გიორგი მთაწმინდელის წინასწარმეტყველება ქართველი ერის შესახებ", რომელიც გამოცემულია თსუ არეოპაგიტული სამეცნიერო ცენტრის მიერ, 2011-2012 წლებში, და „საქართველო და ქართული ეკლესია აპოკალიპსის კარბჭესთან, ანუ ინფორმაციული ომი საქართველოს ისტორიული სამეფო ტახტის ხელში ჩასაგდებად", გამოქვეყნებული 2014-2015 წლებში, წერილების ციკლის სახით, გაზეთ „საერთო გაზეთში" (რედაქტორი: პოეტი, პუბლიცისტი ბ-ნი ვახტანგ ხარჩილავა).

როგორც ავტორის შემოქმედებით მოღვაწეობასთან საკმაოდ დიდი ხნის დაკავშირებულ ადამიანს, რომელსაც ყოველთვის მქონდა მის მეცნიერულ თვალსაზრისებზე თვალის მიდევნების შესაძლებლობა, მკითხველისთვის საინტერესო უნდა იყოს ვუთხრა, რომ ერის უფლებისა და ღირსებისათვის ბრძოლა ერთგვარ პოლიტიკურ ჭრილში, ქ-ნმა დენიზამ ჯერ კიდევ 1990 წელს წამოიწყო, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის იუნესკოს გენერალური მდივნის **ფედერიკო მიორისადმი** მიწერილი წერილით, რომელიც ქართულ ჟურნალ „სახელმწიფო და სამართალში" გამოქვეყნდა (რედაქტორი **თედო ნინიძე**). ამ წერილით ავტორი საყვედურობდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას იმ ნორმატივების გამო, რომელთა საფუძველზეც მისი (გაერთიანებული ერების ორგანიზაციის) წევრობის უფლება არ ჰქონდა ისეთი დიდი ისტორიული წარსულის მქონე ერს, როგორიც მისი მშობლიური, ქართველი ერი იყო. მიზეზი კი ამ უუფლებობისა მდგომარეობდა იმაში, რომ მის მშობლიურ ქვეყანას, საქართველოს, ამ დროისათვის საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მყოფსა და დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის არმქონეს, არ ჰქონდა უფლება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დამოუკიდებელი წევრი ყოფილიყო. ქ-ნი **დენიზა სუმბაძე** გაერთიანებული ერების ორგანიზაციისაგან მოითხოვდა რომ ერის ფენომენი და მნიშვნელობა უფრო მაღლა ყოფილიყო დაყენებული, ვინემ სტატუსი მისი დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობისა.

1999 წელს ქ-ნმა დენიზა სუმბაძემ საქართველოს პრეზიდენტის, ედუარდ შევარდნაძის მიერ დაფუძნებული პოლიტიკური პარტიის – „მოქალაქეთა კავშირის" ალტერნატიულ პოზიციად დააფუძნა თეოლოგიურ-პოლიტიკური მოძრაობა: „ერის უფლება და ღირსება" და თბილისის ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტში გამართა წარდგინება თავისი ახალი აკადემიურ-მეცნიერული კონცეფციისა: „ერის ფენომენის შესახებ", რომელშიც საკუთარი მეცნიერული ხედვით იყო ახ-

2003 წლის 28 ივნისის თარიღით, თეოლოგიურ-პოლიტიკური მოძრაობის: „ერის უფლებისა და ღირსების“ სახელით ქ-ნ დენიზა სუმბაძის მიმართვა გაეგზავნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს, კოფი ანანს ერაყის ტერიტორიაზე განთავსებული ზოგადსაკაცობრიო კულტურული მემკვიდრეობისათვის მიყენებული ზარალისა, ერაყში წარმოებული საომარი ოპერაციების დროს დაკარგული და მიტაცებული ექსპონატების მოძიებისა, მუზეუმების განახლებისა და საერთოდ შუმერულ-ქალდეური ცივილიზაციის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ, ამ მემკვიდრეობის მეცნიერული შესწავლისა და მსოფლიო პოპულარიზაციისათვის საჭირო საგანგებო ფონდისა და შუმერულ-ქალდეური ცივილიზაციის საერთაშორისო კვლევით-მეცნიერული ცენტრის შექმნის შესახებ“. (იხ. მოძრაობა „ერის უფლება და ღირსების ქართულ-ინგლისურ ენოვანი გაზეთი – ალმანახი: „ერის ღირსება“, №5-7. 2006 წელი).

ყველა ამ ზემოთქმულიდან გამომდინარე მკითხველისათვის ალბათ სრულიად ნათელია, თუ რაოდენ მტკივნეულია ავტორისათვის, როგორც მეცნიერისთვის და მამულიშვილისათვის ერის უფლებისა და ღირსების დაცვის საერთაშორისო პრობლემა, რომელიც საფუძვლად უდევს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტისადმი მიმართულ წინამდებარე წერილს.

ალბათ არ ივარგებს, ქ-ნ დენიზა სუმბაძის საგაზეთო წერილებიდან არ მოვიხსენიოთ მისი მიმართვა ამერიკის კონგრესისადმი, რომელიც არც ისე დიდი ხნის წინ გაზეთ „ქრონიკა“-ში გამოქვეყნდა სათაურით: „ქართველი ერი არ მოგცემთ უფლებას, დამარხოთ კაცობრიობის სინდისი“. ავტორი ხმას იმაღლებს ამერიკის კონგრესის სრულიად გაუგებარი პოზიციის გამო: აუკრძალოს საქართველოს მართლმსაჯულებას სამართლიანობის დაცვა და ე. წ. „ვარდების რევოლუციის“ მოყვანილი წინარე ხელისუფლების დროს ჩადენილ იმ წარმოუდგენელ დანაშაულთა მხილება, რომელიც საჯაროდ იქნა გამოტანილი, უწინარეს ყოვლისა, მთელ ამ საშინელებათა მიმართ ქართველი ხალხის პოზიციების ცხადსაყოფად.

ქ-ნ დენიზა სუმბაძის მიერ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის, ბატონ დონალდ ტრამპისადმი მიმართული ღია წერილის უმთავრესი აზრი და მიზანდასახულება მდგომარეობს იმაში, რომ ავტორმა, როგორც მეცნიერმა და მკვლევარმა ბიბლეისტიკის დარგში, დღევანდელი მსოფლიოს პოლიტიკური ლანდშაფტის ერთიან სურათს, „მსოფლიოს ახალ წესრიგად“ წოდებულს, მისცეს ბიბლიაში აღწერილი მსოფლიო ისტორიის საღლეისო განგრძობის კვალიფიკაცია და მსოფლიოს ამ ახალი წესრიგის პოლიტიკურ რეალობაში ამოიკითხოს გამოწვევა ბიბლიური ერების ისტორიული ურთიერთმიმართების განგრძობისა და ცოცხალყოფნის.

წერილის ავტორი, როგორც დამფუძნებელი ნიუ იორკის ბიბლიის შემსწავლელი ქართველოლოგიური ცენტრისა, მოკრძალებით სარგებლობს აშშ-ის დღევან-

დელი პრეზიდენტის წინამორბედის, ბ-ნ ბარაკ ობამას მოწოდებით ამერიკის მეცნიერებისადმი, რომლითაც მათ (ამერიკის მეცნიერებს) ენიჭებათ უფლებამოსილება, საჭირო შემთხვევაში დაუბრკოლებლად ჩაერთონ ქვეყნისა და სახელმწიფოს პრობლემებში და მიაწოდონ ხელისუფლებას ის მეცნიერული ინფორმაცია, რითაც მორალურად გადაინაწილებენ პასუხისმგებლობას სახელმწიფოებრივ პრობლემათა გადაწყვეტილებების იმ შედეგებში, რომელიც ქვეყნის მმართველობით ორიენტირებს ელის. ქ-ნი დენიზა სუმბაძე ამერიკის პრეზიენტს, ბატონ დონალდ ტრამპს უცხადებს დიდ თანადგომას და მხარდაჭერას მის მიერ ნიუ იორკში დაფუძნებული ქართველოლოგიური ცენტრის: „ბიბლია და საქართველო"-ს სახელით.

აანალიზებს რა ბატონი ტრამპის 2017 წლის 20 იანვრის საინაუგურაციო სიტყვას, ქ-ნი დენიზა სუმბაძე, აღფრთოვანებული ამ სიტყვების შინაარსით, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ბ-ნი ტრამპის ისეთ გამონათქვამებს, რომლებიც მიუთითებენ ამერიკის პრეზიდენტის ბ-ნი ტრამპის მაღალ კეთილშობილობასა და ზნეობრიობაზე, მის ნებაზე, რომ კაცობრიობამ ამიერიდან იაროს სრულიად ახალი გზით, იხელმძღვანელოს ახალი ზნეობით, ახალი დამოკიდებულებებით. ბ-ნი პრეზიდენტის საინაუგურაციო სიტყვის ქ-ნ სუმბაძისმიერი ვრცელი ამონარიდები ბატონი ტრამპის სიტყვიდან, კარგად აჩვენებს, თუ რა უაღრესად კეთილშობილური მიზნები ამოძრავებს აშშ-ის პრეზიდენტს, როგორ გულწრფელად სურს მას, რომ მისი ხელისუფლება ემსახუროს თავისი ქვეყნის ხალხს, ამასთან ექებოს მეგობრები სხვა ქვეყნებში და რაც მთავარია, დაიცვას ყველა ხალხის უფლება, რომ ყველაფერზე მაღლა დააყენოს ნებისმიერმა ხალხმა თავისი საკუთარი ქვეყნის ინტერესები. ამიტომ პრეზიდენტის უკეთილშობილეს ამოცანებში შედის იხსნას კაცობრიობა არა მარტო ფიზიკურ სნეულებათაგან, არამედ მაქსიმალურად იზრუნოს მის მორალურ-ზნეობრივ სიწმინდეზე, სულიერ კათარზისზე, ადამიანის გაადამიანურებაზე. ფაქტიურად ბატონი ტრამპის პოზიციები ქალბატონი დენიზა სუმბაძის აზრით, მსოფლიოს ახალი წესრიგის შეცვლას ითხოვს, რაც ბატონმა ტრამპმა თავად ამერიკიდან უნდა დაიწყოს, და თუ იგი ამ ბრძოლაში წარმატებას მიაღწევს, ამით დანარჩენ მსოფლიოსაც უშველის და მათ შორის საქართველოსაც.

ქ-ნი დენიზა იმასაც უსვამს ხაზს, რომ ბატონი ტრამპის დანაპირებათა შესრულება, მისი რეალური განხორციელება იმ შეშლილ და უზნეო სამყაროში ურთულესი იქნება თვით ისეთი ძლიერი ფიგურისათვისაც კი, როგორიც ამერიკის პრეზიდენტია. მას წინ გადაეღობებიან მთელ მსოფლიოში ფესვგადგმული სიონისტურ-მასონური ძალები, რომლის წარმოჩენილ ფიგურასაც წარმოადგენს საქართველოში განხორციელებული რევოლუციური სახელმწიფო გადატრიალებების მთავარი ორგანიზატორი და დამფუძნებელი, ბატონი **ჯორჯ სოროსი**. საქართველოს დღესაც მასონურ-სიონისტური ხელისუფლება მართავს. ადრესატის დამსახურებად აღიქმება და გარეშე მკითხველის სმენაში სრულიად უჩვეულოდ ღირსეული, და ამაღლებული ჩნდება, რადგან იგი, ამერიკის ახალი პრეზიდენტი, ბ-ნი ტრამპი ქ-ნ დენიზა სუმბაძის მიერ აღწერილი ტრამპამდელი რეალობის შემ-

ცვლელ და მსოფლიოს მიმდინარე წესრიგისადმი მეამბოხედ და მებაირახტრედ იხატება. ქ-ნი დენიზა მწარე სიმართლეს გაბედულად და დაურიდებლად წერს, რის თქმასაც ბევრი ვერც მეცნიერი ბედავს და ვერც – პოლიტიკოსი. იგი კი არ უყვება დონალდ ტრამპს თავისი ქვეყნის მდგომარეობას, არამედ შესჩივის და სთხოვს მისი საფიცარი ერის გადარჩენას.

– თქვენ შესანიშნავად იცით – მიმართავს ქ-ნი დენიზა ამერიკის პრეზიდენტს – რომ ამჟამად საქართველო ორმაგი ოკუპაციის უღელქვეშაა. აქედან პირველი სახეობა ოკუპაციისა ტერიტორიული ოკუპაციაა, რასაც ჩვენი ქვეყანა განიცდისო რუსეთის მხრიდან, ხოლო მეორე სახე ოკუპაციისა, იდეოლოგიური და ადმინისტრაციულ-მმართველობითი, ეს არისო ოკუპაცია ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან.

ცხადია, ამის მოსმენა ამერიკის პრეზიდენტისათვის, თვითონ ამ საქმეში არავითარ შუაშიც რომ არ იყოს, მაინც ძნელია, მაგრამ ქ-ნი დენიზა ამგვარ მწარე სიმართლეს სათანადო საბუთების გარეშე არ ამბობს. „ამერიკლებს ერთი დოლარის ინვესტიციაც კი არ განუხორციელებიათო ქართულ ეკონომიკაში – მაშინ როდესაც ლუგარის სახელობის ბაქტერიოლოგიური ლაბორატორიის გასახსნელად საქართველოში პენტაგონმა 300 (სამასი) მილიონი აშშ დოლარი დახარჯა“-ო (გაზ. „საქართველო – მსოფლიო“ №4. 2018 წ.). უფრო მეტიც:

ქ-ნი დენიზა ისეთი ღირსეული ტონით ესაუბრება ამერიკის პრეზიდენტს ტრამპამდელი ამერიკის პოლიტიკის შესახებ, ისე უბრალოდ უწოდებს ტრამპამდელ ამერიკულ პოლიტიკას ოკუპანტის პოლიტიკას, გულახდილობის ისეთი ხელოვნებით, რომ მისი გულახდილობა, მკითხველისთვის მისი წერილის ადრესატის ღირსეულობაზე და დიდსულოვნებაზე მეტყველებს მხოლოდ.

როგორც ქალბატონი დენიზა ბრძანებს, სრულიად არაეფექტურია დღეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქმიანობა. თავისი სახელწოდების მიუხედავად იგი არ არის დღეს პატარა ერების დამოუკიდებელი და თვითმყოფადი განვითარების მყარი გარანტი. ქ-ნი სუმბაძე საჭიროდ მიიჩნევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ შეიმუშაოს ახალი კანონმდებლობა პლანეტაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებისათვის.

ავტორი ამერიკის პრეზიდენტისადმი მიმართული წინამდებარე წერილისა, როგორც დამფუძნებელი ნიუ-იორკის ქართველოლოგიური ცენტრისა: „ბიბლია და საქართველოსი“, რომელიც თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკას აანალიზებს ბიბლიური ისტორიის ჭრილში, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს მიმართავს მისი საინაუგურაციო სიტყვიდან მიღებული დიდი შთაბეჭდილებით და ნიუ იორკის ქართველოლოგიური ცენტრის სახელით მის სამოქმედო იდეალებს უცხადებს მეცნიერულ თანადგომას. ქ-ნი დენიზა ამ იდეალებს ანიჭებს ფუნდამენტურ მნიშვნელობას მთელი კაცობრიობის სასიკეთო მომავლისათვის. წერილში მრავალი საინტერესო და მნიშვნელოვანი პრობლემაა წამოჭრილი. ერთერთი სრულიად მოულოდნელი პრობლემაა ახალი „ნაბუქოდონოსორის“ ცნება, რომელიც ქ-ნ დენიზა სუმბაძეს პირველად შემოაქვს მსოფლიო საზოგადოებრიობისა და კაცობრიული ისტორიის თვითშემეცნებაში. ვისურვებდი რომ მკითხვე-

ლისათვის ამ სრულიად ახალ ცნებას უფრო ფართოდ შეეხოს ავტორი და მეტი სინათლე მოჰფინოს მას მკითხველი საზოგადოების ცნობიერებაში.

როგორც ქ-ნი დენიზა სუმბაძე წერს, სიონიზმი (როგორც რასიზმი) თავისი „სამოქალაქო საზოგადოების" თეორიით თანაბრად დამანგრეველია, როგორც ამერიკისათვის, ისე საქართველოსთვის და საერთოდ მსოფლიოსათვის. იგი უპირველეს ყოვლისა მიმართულია ერებისა და ეროვნულობის წინააღმდეგ. სხვათაშორის, ეს იგრძნო, როგორც ჩანს, რუსეთის პრეზიდენტმა, ბ ა ტ ო ნ მ ა ვ ლ ა დ ი მ ი რ  პ უ ტ ი ნ მ ა. ქ-ნმა დენიზა სუმბაძემ განსაკუთრებული ხაზგასმით და მსოფლიო მნიშვნელობით წარმოაჩინა მისი გამოსვლა ვალდაის ცნობილ სადისკუსიო კლუბში. – „რუსი ხალხი ეროვნული თვითგამორკვევის გარეშე შორს ვერ წავა"-ო. – აცხადებს რუსეთის პრეზიდენტი. ქ-ნი დენიზა სუმბაძე მკითხველისთვის სრულიად ნათელს ხდის ეროვნულობისა და ეროვნული თვითმყოფადობის მნიშვნელობას და იმას, რომ თვით ისეთი დიდი ქვეყნის პრეზიდენტს, როგორიც რუსეთია, კარგად ესმის სიონიზმთან ბრძოლის აუცილებლობა, ისევე როგორც **ბატონ ტრამპს** ესმის სიონიზმთან ბრძოლის საჭიროება ამერიკისათვის, ამერიკული თვითმყოფადოებისათვის.

ქ-ნ **დენიზა სუმბაძის** აზრით უმთავრესი, რის წინააღმდეგაც სურს, რომ გაილაშქროს ბ-ნმა **დონალდ ტრამპმა**, ეს არის მსოფლიოს ახალ წესრიგში ჩათესილი გულგრილობა მთელი კაცობრიობის სიცოცხლის მიმართ, ანუ შინაგანად დაავადებული კაცობრიობის კაცთმოძულეობამდე მისული სულისკვეთება, გარდასახული მთელი დედამიწის დასნეულებად. ქ-ნი დენიზა სუმბაძე ობიექტური და პრინციპული მეცნიერია, ამასთან „იდეების ნამდვილი გენერატორი", იგი ისე ღიად და გახსნილად მსჯელობს მთელ რიგ დახურულ-ტაბუდადებულ თემებზე, რასაც იშვიათად, თუ ვინმე გაბედავს, რომ შეეხოს. მისი პრინციპი „მართლის თქმის" პრინციპია. ის პრინციპი, რომელიც გენიალურმა არისტოტელემ შემდეგი სიტყვებით გამოხატა: Amicus Plato, sed magis amicas est Veritas. ვულოცავ ჩემს ძვირფას კოლეგას ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტისადმი, ბატონი დონალდ ტრამპისადმი მიწერილი ღია წერილის, როგორც უაღრესად საინტერესო ნაშრომის შექმნას. დარწმუნებული ვარ, თავისი ღვთივკურთხეული ნიჭით კიდევ მრავალჯერ ალაფრთოვანებს იგი მკითხველს თავისი მიგნებებითა და აღმოჩენებით.

2018 წელი, ივლისი

რეცენზენტისაგან:

## „დღის წესრიგში დგება ცვლილებების შეტანა ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიაში“

### რეცენზია

**„თბილისის უნივერსიტეტის ასამბლეის“, „ეროვნული პრობლემების ანალიტიკური დარბაზისა“ და ნიუ-იორკის ბიბლიის შემსწავლელი ქართველოლოგიური ცენტრის ხელმძღვანელის, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, ქ-ნ დენიზა სუმბაძის ღია წერილზე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ დონალდ ტრამპისადმი.**

ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ დენიზა სუმბაძის მიერ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ დონალდ ტრამპისადმი ღია წერილით მიმართვა ემყარება 2009 წლის 9 იანვრის, ამერიკის შეერთებული შტატები – საქართველოს ქარტიას სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ, რომელიც ეფუძნება ამ ორი ქვეყნის საერთო ღირებულებებსა და საერთო ინტერესებს, ადასტურებს პარტნიორობის გაღრმავების სურვილს ამ ორი ერის საკეთილდღეოდ და მიზნად ისახავს თანამშრომლობის გაფართოვებას ორმხრივი პრიორიტეტების ფართო სპექტრით.

პროფესორი დენიზა სუმბაძე პრეზიდენტ დონალდ ტრამპისადმი მიმართვაში მეცნიერული სიზუსტითა და სიღრმისეული ანალიტიკური კვლევით ადასტურებს გასული საუკუნის 70-იანი წლების „ჰელსინკის დეკლარაციით“ მიღწეულ შედეგებს, რომელმაც სხვა ხალხებთან ერთად, ერთ მუშტად შეკრული ქართული ეროვნული მოძრაობის შეუდარებელ გააქტიურაბას დაუდო სათავე. მის უმთავრეს მიზანს ეროვნული თვითმყოფადობის სრულყოფა წარმოადგენდა, რომლის მიღწევაც მხოლოდ და მხოლოდ დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივობის მოპოვების გზით იყო შესაძლებელი.

გასული საუკუნის 90-იან წლებში, საქართველომ საბჭოთა კავშირიდან გამოსვლით, ეროვნული ხელისუფლების ძალისხმევით, მოიპოვა დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივობა, მაგრამ უმთავრესი ფასეულობები ერების უფლებათა, ღირსებათა და თავისებურებათა დაცვისა, როგორც ქ-ნი დენიზა სუმბაძე აღნიშნავს, ჩანაცვლდა ლიბერალურ-სიონისტური ძალების, კერძოდ, ჯორჯ სოროსისეული, ანუ ჰელსინკის დეკლარაციისადმი სრულიად საწინააღმდეგო, მიზანმიმართული, ფაქტიურად ალტერნატიული „სამოქალაქო საზოგადოების“ დამღუპველი თეორიით. აქედან გამომდინარე „ჰელსინკის დეკლარაციამ“ საბჭოთა კავშირიდან საქართველოს გამოყოფისთანავე დაასრულა თავისი ფუნქცია და ძალაში შევიდა ახალი დეკლარაცია, რომელმაც დააკანონა მსოფლიოს ახალი წესრი-

ვი, თავისი მომაკვდინებელი იდეოლოგიით ერების თვითლიკვიდაციისა და უეროვნებო მსოფლიოს შექმნის მიზანსწრაფვით.

როგორც ავტორი სამართლიანად მსჯელობს, ქართველი ხალხის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი მონოლითური ეროვნული მოძრაობის შედეგად, საქართველოში მივიღეთ არა ჩვენი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, არა ჩვენი ეროვნული თვითმყოფადობის განვითარება და ახალ ხარისხში აყვანა, არამედ ჩვენი ეროვნული არსებობისა და ვინაობის ნგრევა, რაც ქართული სახელმწოფოებრივობის რაობაზე ბადებს ეჭვს და ამის ასე გაგრძელება ყოვლად დაუშვებელია.

**მეტად დროული, საჭირო, მისაღები და გასათვალისწინებელია ქალბატონ დენიზა სუმბაძისმიერი მიმართვა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტისადმი. იგი, ეს მიმართვა უნდა ჩაითვალოს საფუძვლად იმისა, რომ ეროვნული უფლებებისა და ინტერესების დაცვას, ერის კულტურულ-ისტორიული თვითმყოფადობის შენარჩუნების პრიორიტეტულ მიმართულებებს, დაეთმოს განსაკუთრებული ყურადღება 2009 წლის 9 იანვრის, ამერიკის შეერთებული შტატები – საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ ქარტიაში და აღნიშნული რედაქციით ცვლილებების შეტანის თაობაზე დაიწყოს მუშაობა!**

**პაატა გიორგაძე**, პროფესორი,
ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი,
საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრი.

2018 წელი, ოქტომბერი

**რეცენზენტისაგან:**

**ლეილა მირიანაშვილი**
***ისტორიკოსი-ეთნოგრაფი.***

## „ამ წერილის გათვალისწინება მოუწევს ყველა ქვეყანას“

ქ-ნმა დენიზა სუმბაძემ ამ უკანასკნელ წლებში ორი უმნიშვნელოვანესი შრომა გამოაქვეყნა

1) გიორგი მთაწმინდელის წინასწარმეტყველება ქართველი ერის შესახებ (2011-2012 წწ.); 2) „საქართველო და ქართული ეკლესია აპოკალიპსის კარიბჭესთან, ანუ ინფორმაციული ომი საქართველოს ისტორიული სამეფო ტახტის ხელში ჩასაგდებად დღევანდელი მსოფლიოს ახალი წესრიგის ჭრილში“ (2014 წ.).

ამ შრომებით ჩემი აღფრთოვანების გამოხატვასთან ერთად იმასაც ვწერდი რომ ქ-ნმა დენიზა სუმბაძემ ქართველი ერის ფენომენის სრულიად ახალი, საკუთარი სიღრმისეული ხედვით და ქართველი ერის საღმრთო მისიის თავისეული წარმოჩენით, მე-20-ე საუკუნის ქართული ეროვნული მოძრაობის ლიდერთა სი-

ცოცხლის შეწყვეტით შეწყვეტილი ქართული ეროვნული მოძრაობა აიყვანა ახალ სიმაღლეზე და ახალ ხარისხში. წინამდებარე წერილით თითქოს რაღაც უფრო მნიშვნელოვანი რამ მოხდა!

ქ-ნმა დენიზა სუმბაძემ, საქართველოს ისტორიის უკანასკნელი ათეულების მაგალითით, მსოფლიოს წინაშე, ხელისგულზე დადო **ჯორჯ სოროსის** ვერაგული სიონისტური თეორიით განხორციელებული მსოფლიო მასშტაბის უდიდესი პოლიტიკური ავანტიურა: ქართული ეროვნული მოძრაობის გარდასახვისა ეროვნული თვითლიკვიდაციის სახელმწიფო იდეოლოგიად. ქ-ნმა დენიზამ აკადემიურ-მეცნიერულ ენაზე გამოკვეთა და დაასაბუთა, თუ რაში მდგომარეობს სათავე ქართველი ერის უბედურებისა და ჩვენი ქვეყნის დღევანდელი უმძიმესი და საბედისწეროდ სახიფათო მდგომარეობის.

ამერიკის პრეზიდენტისადმი მიმართული ამ ღია წერილის დაწერის საჭიროება ავტორს უკარნახა სწორედ დღევანდელი საქართველოს უმძიმესმა მდგომარეობამ და არა მარტო საქართველოსი. იმდენად ყოვლისმომცველია ის საკითხები, რომლებზედაც ავტორი მსჯელობს, რომ ფაქტობრივად ეხება მთელ მსოფლიოს. წერილში მიმოხილული საქართველოს საკითხები მთელ მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების ფონზეა გაშლილი და აქედან გამოტანილი ავტორისეული დასკვნები იმდენად საყურადღებოა და საჭირო, რომ მისი გათვალისწინება მოუწევს ყველა ქვეყანას, მით უფრო მათ, რომლებიც, დღევანდელი ტერმინით, „ზესახელმწიფოებად“ იწოდებიან. ამ წერილის ადრესატიც ხომ ასეთი სახელმწიფოს პირველი პირი, ბ-ნი ტრამპია, რომლის ახლებურმა ხედვამ ავტორს იმედი ჩაუსახა, რომ ასეთი ხედვით შესაძლებელია მსოფლიოს გადარჩენა. განსაკუთრებით მტკივნეულად ამას ჩვენ, მცირერიცხოვანი (და არა პატარა) ერი, ქართველობა განვიცდით, რათა ფიზიკურად არ გავნადგურდეთ, ჩვენ, რომლებიც ასე თავგამეტებით ვცდილობთ, დავიცვათ ჩვენი ეროვნული მეობა, ტრადიციები, კულტურა. ჩვენ, ქართველ ხალხს, რომელსაც საუკუნეების განმავლობაში ჩვენი არსებობის გადასარჩენად უამრავი სისხლი გაგვიღია, დღესაც გვიტევენ უცხო ქვეყნებიდან „მსოფლიოს ახალი წესრიგის“ მესვეურები. საქართველო, რომელიც მტკიცე ფორ-პოსტად ედგა ევროპას საუკუნეების განმავლობაში და მარტოდ-მარტო უმკლავდებოდა აღმოსავლეთიდან თუ სამხრეთიდან შემოსეულ ურდოებს, რომელიც ყოველთვის პირველ დარტყმებს იღებდა საკუთარ თავზე და ამით ევროპა მრავალჯერ უხსნია აოხრებისაგან, დღესაც უმძიმეს განსაცდელში იმყოფება. საქართველო ყოველთვის იყო დამცველი იმ ევროპისა, რომლის სახელითაც ახლა ჩვენთან შემოდის რაღაც გაურკვეველი ძალა „მსოფლიოს ახალი წესრიგის“ დასამყარებლად, რათა მოგვიშალოს ყოველივე ის, რაც ერის სიმტკიცეს და გამრავლებას უზრუნველყოფს. ეს არის პირველ რიგში ქართული ოჯახი: დედის და მამის როლის მოშლით, კაცის კაცზე დაქორწინებით, ინცესტის დაკანონების მცდელობით, ნარკომანიისა და პროსტიტუციის ლეგალიზებით, ეკლესიასთან ბრძოლით, აზარტული თამაშებით, გენდერული თანასწორობის იდეით, განათლების სისტემის მოშლით, ბაქტერიოლოგიური ლაბორატორიების დაარსებით, მშობლიური მიწების გაყიდვით, უკიდურესი სიღატაკის გამო ქართველების სამშობლოდან გადინებით და მათ ნაცვლად უცხო ტომელთა შემოდინებით. ეს გა-

ურკვეველი ძალა ანადგურებს არა მარტო მცირერიცხოვან ერებს, არამედ მრავალრიცხოვანი მოსახლეობის მფლობელ ქვეყნებსაც. ყოველივე ეს მათ მიერ მონათლულია „მოქალაქეთა უფლებების დაცვის“ ყალბი ლოზუნგებით:

ზემოთ აღნიშნული პრობლემები, ქ-ნ დენიზა სუმბაძეს ბრწყინვალე ანალიტიკური აზროვნებით, უკლებლად აქვს წარმოდგენილი. ქ-ნ დენიზა სუმბაძის ამ ღია წერილს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტისადმი თამამად მოაწერდნენ ხელს მთელი მსოფლიოს კეთილი ნების ადამიანები, ვინაიდან აღნიშნული ფარული ძალის ეს საშიში ქმედებანი თანაბრად ემუქრება მსოფლიოს ნებისმიერ სახელმწიფოს.

როგორც ქ-ნ დენიზა სუმბაძეს სჩვევია, საკითხის განხილვას იწყებს ღრმა ისტორიული ფესვებიდან, თუ საიდან და რა მიზეზით წარმოიშვა, ეს მავნე და ქვეყნების დამანგრეველი იდეები, რომლებიც ჩაისახა შორეულ წარსულში და დღემდე მოდის შეფარული სახით „მასონიზმის“ სახელწოდებით.

რელიგიური საკითხით დაწყებული ეს დაპირისპირება ებრაელთა და ქალდეველთა შორის, შორეულ წარსულში იღებს სათავეს, რომელიც დასრულდა ებრაელთა სახელმწიფოს დამხობით და მისი ხალხის გაფანტვით მთელ მსოფლიოში. შემდგომ საუკუნეებში ისინი ძალას იკრებენ, ფინანსურად ძლიერდებიან და შურისძიებით გამსჭვალულნი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ჰქმნიან ფარულ ორგანიზაციებს და ფინანსურად თავიანთი გავლენის ქვეშ აქცევენ ამ ქვეყნებს. სანამ საკუთარ ქვეყანას დაიბრუნებდნენ და სახელმწიფოებრიობას აღადგენდნენ, ებრაელთა დიდმა ნაწილმა თავი მოიყარა ამერიკაში, სადაც ისე გაძლიერდნენ, რომ უდიდესი გავლენა მოიპოვეს ამ სახელმწიფოს არა მარტო ფინანსურ, არამედ სახელმწიფო პოლიტიკის წარმართვაშიც.

ამიტომაც ამ წერილით ქ-ნი დენიზა მიმართავს ამერიკის პრეზიდენტს, ბატონ დონალდ ტრამპს, რადგან მისმა გამონათქვამებმა მას იმედი ჩაუსახა: თუკი ბატონ დონალდ ტრამპის პროგრამა განხორციელდება, მსოფლიო გადაურჩება როგორც პოლიტიკურ, ისე ეკოლოგიურ კატასტროფას.

წერილის ავტორი არ კმაყოფილდება მხოლოდ იმ საშინელებათა ჩამოთვლით, რაც დღევანდელ მსოფლიოს და მათ შორის საქართველოსაც ემუქრება და იძლევა რეკომენდაციებსაც, რით და როგორ შეიძლება მათი თავიდან აცილება: ამ საქმეში დიდი როლი ამერიკამ უნდა ითამაშოს, ქ-ნ დენიზა სუმბაძის სიტყვებით: „გაერომ უნდა შეიმუშაოს მცირე ერების დამოუკიდებელი და თვითმყოფადი განვითარების დაცვის ახალი სამართლებრივი მექანიზმი და უნდა იყოს გარანტი მათი დამოუკიდებლობის უსაფრთხოებისა“.

წერილი დაწერილია დიდი დიპლომატიური ტაქტით, ბრწყინვალე ანალიტიკური აზროვნებით, გულწრფელობითა და კეთილი სურვილებით ყველა იმ ხალხის მიმართ, ვინც მოექცა მასონთა გავლენის ქვეშ. დარწმუნ;ებული ვარ, რომ ეს გზავნილი მიაღწევს ადრესატამდე და ისეთივე ღირსეული იქნება რეაგირება, როგორი ღირსეულობითაც განიცდის ავტორი კაცობრიობის მომავალს. გამოვტყდებით, ქ-ნი დენიზა ისეთ სიღრმეებში ჭვრეტს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფოებრივ მდგომარეობას, მის ფენომენს, მის დანიშნულებას და ხიფათებსაც, რომ მეშინია, არ წაიყვანონ ამერიკაში, თეთრ სახლში.

2018 წელი, ივლისი

# „ჩვენ განვკურნავთ დედამიწას სნეულებათაგან“

**დონალდ ტრამპი**
**ამერიკის პრეზიდენტი**

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი გაერთიანების: „თბილისის უნივერსიტეტის ასამბლეის“, არეოპაგიტული სამეცნიერო ცენტრისა და „ეროვნული პრობლემების ანალიტიკური დარბაზის“ და ნიუ იორკის (აშშ) ბიბლიის შემსწავლელი ქართველოლოგიური ცენტრის: „ბიბლია და საქართველო“-ს დამფუძნებლისა და ხელმძღვანელის, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, ქ-ნ დ ე ნ ი ზ ა ს უ მ ბ ა ძ ი ს

## ღია წერილი *
## მის აღმატებულებას,
## ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს,
## ბატონ დონალდ ტრამპს

თქვენო აღმატებულებავ!

ბატონო პრეზიდენტო, ამერიკის შეერთებული შტატების!

ალბათ განკურნება დედამიწისა სნეულებათაგან, შეუძლებელი იქნება კაცობრიული ცნობიერების მორალურ სნეულებათაგან განკურნების გარეშე! კაცობრიობის იმ ძირითადი გონითი ცოდვის მიგნებისა და მონანიების გარეშე, რომელმაც კაცობრიობა, თავისი ღვთითბოძებული სახლის, საკუთარი სიცოცხლის ადგილის, ჩვენი დედამიწის ამ დასნეულებასთან მიიყვანა. რა იყო იგი, ეს ცოდვა?! რაში მდგომარეობს ჩვენი ცივილიზაციის ის უმთავრესი გონითი ცთომილება, რომელმაც მთელი ჩვენი პლანეტის სიცოცხლე დააყენა საბედისწერო განსაცდელის წინაშე? რამ მიიყვანა კაცობრიობა აქამდე? რამ გამოიწვია ეს ცთომილება?! საიდან უნდა დავიწყოთ განკურნება დედამიწისა სნეულებათაგან?! დღეს, მთელი კაცობრიობა, ნამდვილად ვდგავართ ძნელი და უძნელესი ამოცანის ამოხსნის წინაშე! რომლის მიგნებაც ალბათ მხოლოდ მთელი ჩვენი ცივილიზაციის გონითი ისტორიის ანალიტიკური შემეცნებისა და შეფასების ჭრილშია შესაძლებელი: მთელი ჩვენი ცივილიზაციის ისტორიოსოფიული ანალიზის ჭრილში.

ბ ა ტ ო ნ ო პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ო ა მ ე რ ი კ ი ს
შ ე ე რ თ ე ბ უ ლ ი შ ტ ა ტ ე ბ ი ს!

მოგესალმებით შორეული საქართველოდან თქვენდამი სრულიადი კეთილგანწყობითა და საუკეთესო სურვილებით თქვენი პიროვნებისადმი, თქვენი ოჯახი-

სადმი და თქვენი ქვეყნისადმი. თავს ვალდებულად ვთვლი გაუწყოთ ერთგვარი ისტორიაც თქვენდამი წარმოსაგზავნი წინამდებარე ღია წერილისა, რამდენადაც იგი სრულიად მოულოდნელად, მართალია ირიბად, მაგრამ რაღაც განგებით, თქვენთან წარმოგზავნამდე აღმოჩნდა საქართველოში არსებული ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსათვის საყურადღებო ზონაში. ცხადია, და დამეთანხმებით ალბათ, რომ ამ წერილს, თქვენ, ჩემი ხალხის გასაგონადაც გწერთ. ამიტომ თავს ვალდებულად ვთვლი, გაუწყოთ, რომ წინამდებარე ღია წერილის თქვენდამი წარმოგზავნამდე, წარდგინება მისი მომიხდა საზოგადოებრივი გაერთიანების: „თბილისის უნივერსიტეტის ასამბლეის“ „ეროვნული პრობლემების ანალიტიკური დარბაზის“ სხდომაზე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 2017 წლის 30 მაისს, მოსმენა მისი კი შესდგა 2017 წლის 9 ივნისს, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მცირე აუდიტორიაში, იმავე საზოგადოებრივი გაერთიანების სხდომაზე, რომელიც გაგრძელება და დასასრული იყო 30 მაისის ზემოთაღნიშნული სხდომისა. მიუხედავად მსმენელთა დიდი მხარდაჭერისა წაკითხულ წერილზე, მთელი ამ ხნის განმავლობაში, ვერა და ვერ მივიღე გადაწყვეტილება მისი თქვენდამი წარმოგზავნის, სანამ ბოლომდე არ გადავამოწმე საქართველოს ეკლესიასთან დაკავშირებული, ჩემი ერთერთი ყველაზე მტკივნეული ეროვნული პოზიციის, თქვენს საინაუგურაციო განაცხადთაგან ერთერთ ყველაზე დაუჯერებელ განაცხადზე, ერთგვარად შემაშფოთებელი თანხვედრის საფუძველი, (რაზედაც ქვემოთ მექნება საუბარი), და სანამ მიმდინარე პროცესებით არ დამიდასტურდა ამ თანხვედრილი პოზიციების ძალიან რთული რეალობა. გარდა ამისა, უნდა აღვნიშნო, რომ საქმე ერთგვარად გამირთულა კიდეც საქართველოში წარმოგზავნილი ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის, ბატონი ი ა ნ  კ ე ლ ი ს სატელევიზიო გამოხმაურებამ 2017 წლის 30 მაისის ზემოთ აღნიშნულ სხდომაზე... და ჩემი მშობლიური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის პროვოკაციულმა, ასევე სატელევიზიო თავდასხმამ ჩემს პიროვნებაზე, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის, ბატონი ი ა ნ  კ ე ლ ი ს საამებლად... ასე რომ, წელიწადზე მეტია, მე თქვენთან ვსაუბრობ, თქვენი საინაუგურაციო სიტყვიდან ამოსვლით. იმედია, მომიტევებთ, თუ ესოდენ ვრცელია ჩემი საუბარი სატკივართა და პრობლემათა სიმრავლის გამო და ესოდენ ვრცელი წერილით მიხდება თქვენი შეწუხება.

## პირველი ნაწილი:
## ვინ არის მსოფლიოს ახალი, ანუ დღევანდელი წესრიგის ავტორი და პასუხისმგებელი ამ წესრიგისათვის?!

ბატონო პრეზიდენტო!

თქვენ ბრძანდებით დღეს პირველი პირი და წარმმართველი ისეთი ქვეყნისა, რომლის სახელმწიფოებრივი აზროვნებაც, და პოლიტიკური კურსიც, პირდაპირ თუ ირიბად, გარკვეულ გავლენას ახდენს მთელი კაცობრიობის ცხოვრებაზე. უფრო მეტიც: თქვენ მობრძანდით აშშ-ის სახელმწიფო მმართველობის საჭესთან

მთელი კაცობრიობის უდიდესი პოლიტიკური განსაცდელის ჟამს, როდესაც ჩვენი პლანეტარული სივრცე მოცულია უჩინარი ძალების მიერ მართული ე. წ. „მსოფლიოს ახალი წესრიგის" სრულიად გაურკვეველი ორიენტაციით, და ამავდროულად, რაც, არც ისე იოლია, ხმამაღლა სათქმელად, რეალური საშიშროებით, მთელი პლანეტარული სიცოცხლის დასასრულის...

მსოფლიო მეცნიერებამ მეოცე საუკუნე აღიარა განგაშის საუკუნედ, ხოლო, 21-ე საუკუნეში, კაცობრიობის სახლი, ჩვენი პლანეტა დედამიწა, ფაქტიურად, ერთდროულად აღმოჩნდა ჩაძირული პოლიტიკური კატასტროფისა და ეკოლოგიური კატასტროფის საშიშროებაში.

ჩვენი დღევანდელი პლანეტა შეიძლება შევადაროთ მგზავრებით სავსე დაზიანებულ ხომალდს, რომელსაც ჩაძირვა ემუქრება და გადაუდებლად ესაჭიროება დაზიანების მიზეზის აღმოფხვრა და გადარჩენა. მაგრამ სამწუხაროდ ბრძოლა პლანეტაზე მიმდინარეობს არა დედამიწის განკურნებისათვის, არამედ სნეულებათა გამწვავებისაკენ: სახეზეა ბრძოლა სახელმწიფოებრივი პირველობისათვის და დედამიწის დაპყრობისათვის, როგორც ნივთის, მაშინ, როდესაც დედამიწის განკურნებისათვის ბრძოლა მოითხოვს აკრძალვას ყოველგვარი დაპირისპირებისას სახელმწიფოებს შორის. ფაქტიურად, დღეს, ბრძოლა მიმდინარეობს ახალი მსოფლიო ომისათვის, ნაცვლად იმისა, რომ არნახული ძალით ხორციელდებოდეს ხალხთა მეგობრობის იდეა და საერთო საკაცობრიო განსაცდელის გარშემო ერთ პლანეტარულ ოჯახად შეკვრა მთელი მსოფლიოსი. სახელმწიფოებრივი პირველობის ვნებას ლამის ეწირება კაცობრიობის სიცოცხლე. მთელი დედამიწის დამღუპველი ეს საერთო განსაცდელიც კი ვერ აერთიანებს ურთიერთის გამანადგურებელი შეიარაღებით გატაცებულ სახელმწიფოთა შინაგან სულისკვეთებებს, რადგან, დღევანდელი კრიტერიუმებით, ძლიერია ის ქვეყანა, რომელიც ძლიერია სამხედრო შეიარაღებით, ანუ რომელიც ძლიერია სიცოცხლის დამანგრეველი და გამანადგურებელი ძალით. დავიწყებულია ელემენტარული ჭეშმარიტება: იმისათვის, რომ „შენ" „ხომალდის" კაპიტანი იყო, „ხომალდის", თუნდაც სამართლებრივად მფლობელი და დამსახურებული პატრონი მისი მართვის, უნდა გახსოვდეს, რომ პირველ რიგში, ჯერ თვითონ ხომალდი უნდა არსებობდეს, ჯერ თვითონ ხომალდის არსებობა უ ნ დ ა  ი ყ ო ს  უზრუნველყოფილი, იმისათვის, რომ შენ „ხომალდის"კაპიტანი იყო! ამიტომ, და საერთოდ ყველა თვალსაზრისით, ჩვენ ვფიქრობთ, რომ მსოფლიო პოლიტიკის უმთავრესი და ყველაზე პრიორიტეტული პრობლემა დღეს უნდა იყოს ეკოლოგიური კატასტროფის საშიშროების მოხსნა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ, ვფიქრობთ, უნდა შეიმუშაოს აღნიშნული მიზანდასახულების მკვეთრი ამოქმედებისათვის გარკვეული ახალი კანონმდებლობა პლანეტაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების საჭიროებისათვის. და საერთოდ, უნდა ვაღიაროთ, რომ არასდროს ისე არ სჭირდებოდა კაცობრიობას გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, როგორც პ ლ ა ნ ე ტ ა რ უ ლ ი  მ ა რ თ ვ ი ს  მ ე ქ ა ნ ი ზ მ ი,  რ ო გ ო რ ც  ეს სჭირდება დღეს, და სჭირდება ახალ სიმაღლეზე ასვლით! ამაზე დღეს უნდა იზრუნოს მთელმა კაცობრიობამ, გაეროს წევრმა ყველა ქვეყანამ, ჩვენი პატარა ქვეყნის – საქართველოს – ჩათვლით, იზრუნოს გადაუდებლად მისი საკაცობრიო მნიშვნელობის ამაღლებისა და საკა-

ცობრიო მნიშვნელობის საკადრო პოლიტიკის უზრუნველყოფისათვის. ამასთანავე, სწორედ გაერომ უნდა შეიმუშაოს პატარა ერების დამოუკიდებელი და თვითმყოფადი განვითარების დაცვის ახალი სამართლებრივი მექანიზმი და უნდა იყოს გარანტი მათი დამოუკიდებლობის უსაფრთხოებისა.

გარდა ამისა, ცნობილია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დაფუძნების დროს, მსოფლიოს დამსახურებული სწავლულები აყენებდნენ საკითხს, რათა გაეროსთან შექმნილიყო საერთაშორისო მასშტაბის ინტელექტუალური პოტენციალის მფლობელი ინსტიტუტი, რომელშიც პოლიტიკური პრობლემების გადაწყვეტამდე, იმავე პრობლემების აკადემიურ-მეცნიერული შესწავლა განხორციელდებოდა. რამდენად მოწესრიგებულია დღეს ეს საკითხი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში?!

**თავს ნებას მივცემ, მხოლოდ დიდი მოკრძალებით და მხარდაჭერით მოვიხსენიო თქვენი წინამორბედი, ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტი, ბატონი ბარაკ ობამა, რომელიც თავისი პირველი ინაუგურაციის დასრულებისთანავე ამერიკის მეცნიერებს შეხვდა და ამ შეხვედრის სიტყვაში, „ზესახელმწიფოებრიობის“ სრულიად ახალი დეფინიცია შესთავაზა მსოფლიოს: ზესახელმწიფოებრიობის სტატუსს დაიმსახურებსო ის ქვეყანა, რომელიც მიაგნებსო გზას პლანეტის, ანუ კაცობრიობის გადარჩენისას ეკოლოგიური საფრთხისაგან. ტრაგედია იმაშია, რომ ბატონმა პრეზიდენტმა ეს დეფინიცია მსოფლიოს შესთავაზა უკვე იმ დროს, როცა პლანეტარული პოლიტიკის სადავეები ხელთ უპყრია მსოფლიოსთვის ერთგვარ გაურკვეველ ძალას, რომელსაც არ აწუხებს ეს კაცობრიობის გადარჩენის პრობლემა. ხოლო ზენიტი ამ ტრაგიზმისა იმაშია, რომ ამ ძალას მსოფლიო პოლიტიკის სადავეები ხელთ უპყრია ამერიკის შეერთებული შტატების მორჩილი ზესახელმწიფოებრივი თანადგომით.**

დღეს უკვე, მსოფლიო ისტორიის ამ დღევანდელი ტრაგიკული სურათის წინასწარმეტყველებად აღიქმება უმნიშვნელოვანესი ეპიზოდი, მეოცე საუკუნის ერთერთი დიდი მეცნიერის, ალბერტ აინშტაინის ცხოვრებიდან, რომელსაც იგი თავად ჰყვება:

1949 წელია. მეორე მსოფლიო ომი სულ რაღაც ოთხიოდე წლის დამთავრებულია და მსოფლიოს ამ უდიდესმა სწავლულმა და მილიტარისტული ენერგიების ლაბირინთებში ჩახედულმა პროფესიონალმა, მიმდინარე პროცესებიდან, კარზე მომდგარი მესამე მსოფლიო ომის ძალზედ შემაშფოთებელი საშიშროება იგრძნო. თავზარდაცემულის სასოწარკვეთით შესჩივლა მოსაუბრეს: -მესამე მსოფლიო ომი დამთავრდებაო მხოლოდ მთელი კაცობრიობის განადგურებით. ალბერტ აინშტაინი კიდევ უფრო გააოგნა მოსაუბრისაგან მიღებულმა რეაგირებამ მის თავზარდაცემულ განწყობაზე: „– კი მაგრამ, რატომ გაწუხებთო თქვენ კაცობრიობის განადგურება?!“ და ალბერტ აინშტაინი შეეცადა აეხსნა და გაეანალიზებინა მოსაუბრის ფსიქოლოგიური მდგომარეობა და მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე მორალური განწყობა. მე ვფიქრობ, ფსიქოლოგიურისა და მორალურის ურთიერთმიმართების ამ აინშტაინისეული ახსნით, ანუ თავისი მოსაუბრის ფსიქოლოგიური მდგომარეობის ანალიტიკური გაცნობიერებით, როდესაც ალბერტ აინშტაინმა, მოსაუბრის სიტყვებს „შინაგან წონასწორობა-

დ ა კ ა რ გ უ ლ ი  ა დ ა მ ი ა ნ ი ს განცხადება" უწოდა, კაცობრიობას დაუტოვა, შეიძლება ითქვას, ჯერ კიდევ შეუფასებელი, ახალი დიდი თეორია: „კაცობრიობის სიცოცხლისადმი გულგრილობის" თეორია. კაცობრიობის სიცოცხლის მიმართ გულგრილობა, როგორც დღევანდელი მსოფლიოს ახალი წესრიგის შინაგანი რაობის წარმომსახველი ფსიქოლოგიურ-მორალური რეალობა და მისგან გამომდინარე ავადმყოფური იდეოლოგია და პოლიტიკა, ალბერტ აინშტაინისეული ანალიტიკის შუქზე, ეს იქნება შინაგანწონასწორობადარღვეული მსოფლიოს, ანუ მორალურად დაავადებული კაცობრიობის ამ შინაგანი მდგომარეობის ამსახველი იდეოლოგია. რა შეიძლება ვუწოდოთ კაცობრიობის სიცოცხლისადმი გულგრილობას, როგორც კაცობრიული ცნობიერების დაავადებას, ქრისტიანული ეთიკური პრინციპების, კერძოდ ქრისტიანობის უმთავრესი მცნებების – უფლისა და მოყვასის სიყვარულის – შუქზე?! ვფიქრობ, ქრისტიანული მოძღვრების შუქზე, ეს იქნება გამოვლინება ჩვენი დღევანდელი კაცობრიული რეალობის წარმომადგენლის, კაცთმოძულეობამდე მისულის, მოყვასის სიყვარულდაკარგული ადამიანის ცნობიერებისა. ალბერტ აინშტაინის მოსაუბრე, რომლის ვინაობაც დიდმა მეცნიერმა არ გაგვიმხილა, დიდი ალბათობით, დღეს გახლავთ სწორედ ეს ე. წ. „მსოფლიოს ახალი წესრიგის" პოლიტიკურ იდეოლოგიური სადავეების მპყრობელი მსოფლიო ძალა. სწორედ ამ ძალას არ აწუხებს საშიშროება კაცობრიობის განადგურებისა. მსოფლიოს ამ „ახალ წესრიგად" მონოდებულ მსოფლიო უწესრიგობაში, კაცობრიობისათვის გაურკვეველი ვინაობის მქონე ძალების მიერ, როგორც ვხედავთ, ჩათრეულნი აღმოჩნდნენ, როგორც დიდი სახელმწიფოები, ასევე პატარა და უჩინარი სახელმწიფოებიც, უჩინარნი თავისი პოლიტიკური და მილიტარისტული მნიშვნელობებით. ერთერთი ასეთი უჩინარი მნიშვნელობის სახელმწიფოა დღეს ჩემი ქვეყნის, საქართველოს ინდივიდუალური პოლიტიკური რეალობა... პოლიტიკური ქარიშხალები, რომლებსაც დიდი, ანუ ზესახელმწიფოებრივი ძალები ჰქმნიან, თავიანთი მძლავრი დინებით, თან იყოლიებენ პატარა სახელმწიფოების ინდივიდუალურ რეალობებს.

მეოცე საუკუნის 90-იან წლებში, საქართველოში დასტუმრებულმა ცნობილმა ამერიკელმა პროფესორმა, რ ი ჩ ა რ დ  პ ა ი პ ს მ ა, ასეთი გულწრფელი, და ძალზედ მნიშვნელოვანი სიტყვა დაგვიტოვა: საქართველო ჩაებაო ისეთ ურთულეს პოლიტიკურ პროცესებში, საიდანაც, შესაძლოა, იგი ყოველთვის ვერ გამოვიდეს გამარჯვებული. მადლობა მას ამ გულწრფელი სიტყვისათვის!

სწორედ ამგვარ საბედისწერო განცდაში ჩავარდნილი ჩვენი ქვეყნის, საქართველოს საზოგადოებრიობა, მწყურვალე ინტერესით ადევნებდა თვალს თქვენი, აშშ-ების საპრეზიდენტო არჩევნების მთელ დინამიკას. თქვენი საინაუგურაციო პირველი სიტყვიდან უნდა გაცხადებულიყო ჩვენთვისაც და მთელი მსოფლიოსათვისაც, თქვენი, ამერიკის შეერთებული შტატების ახალი პრეზიდენტის, ახალი საპრეზიდენტო მრწამსი, ხოლო ჩვენ, ქართველ ხალხს, რომელსაც დღეს არაფერი გვეკითხება საკუთარ ქვეყანაში, წარმოიდგინეთ, როგორღაც მაინც უნდა გაგვერკვია ჩვენი ქვეყნის თქვენი ქვეყნისადმი დამოკიდებულების ხარისხი. მითუმეტეს, რომ თქვენი ეს ზესახელმწიფოებრივი ქვეყანა, ამერიკის შეერთებული შტა-

ტები, ჩვენი პატარა, ხუთმილიონიანი ქვეყნის პოლიტიკურ სცენაზე, ანუ მსოფლიო პოლიტიკის თეატრალურ ამბიონზე, მოიხსენიება როგორც ჩვენი პარტნიორი სახელმწიფო. მომიტევეთ, მაგრამ ეს დიდი პატივი ჩვენი, ანუ პატივი ამერიკის შეერთებული შტატების ბუტაფორიული სტრატეგიული პარტნიორობისა, ე.წ.„დამოუკიდებელი და თავისუფალი საქართველოს სახელმწიფოს" მიმართ, უფრო ბიბლიაში აღწერილი ერთი უბრალო პერსონაჟის- ნაბოთეს მიპატიჟებას მიჰგავს მეფე აქაბის სამეფო ნადიმზე, მიპატიჟებას მარტო იმიტომ, რომ მეფე აქაბს ნაბოთეს ვენახი სათავისოდ მოსწონს... მაგრამ თქვენი პიროვნება მანიჭებს ამ ღიმილნარევი პირდაპიროპის უფლებას, დარწმუნებულს, რომ თქვენ შესანიშნავად იცით: საქართველო დღეს ორმაგი ოკუპაციის უღელქვეშ იმყოფება: ტერიტორიულის-რუსეთის მხრიდან, ისიც შეთავაზებულის ჩვენივე ქვეყნის დამპყრობლების მხრიდან, და სახელმწიფოებრივ – ადმინისტრაციული მმართველობითი ოკუპაციის – ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან... ჩვენ, ქართველი ხალხი, ვართ მგზავრები, ჩამსხდარნი სახელმწიფო მანქანაში, რომლის მძღოლსაც არ აინტერესებს, სად, ან რა მიმართულებით სურთ მის მგზავრებს წასვლა, და რა მიმართულებით სურთ მის მგზავრებს, რომ მანქანა მიდიოდეს... ამ მანქანას საკუთარი მიმართულება აქვს, რომელიც ჩვენ არ გვეკითხება... დამეთანხმებით ალბათ: პირველი ფორმა ოკუპაციისა გაცხადებული, ისტორიულად ცნობილი ფორმაა... მეორე ფორმა – ანტიქრისტეს მოსვლის სტრატეგიას ფლობს. ანტიქრისტე მოდის მხოლოდ შენიღბული და ამასთან შენიღბული მხოლოდ ქრისტეს ნიღბით... თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის სახელით შენიღბული, ამჟამად, ჩვენი სახელმწიფოს დამპყრობელია ამერიკის შეერთებული შტატები...მაგრამ ფაქტები, როგორც ერთი დიდი მეცნიერი ბრძანებს, ზოგჯერ ამახინჯებენ ჭეშმარიტებას...

ამგვარად, ის დიდი პოლიტიკური ტემპერამენტი, რომლითაც თქვენ ამერიკელი ხალხის სიყვარული და მხარდაჭერა მოიპოვეთ, დღეს შესულია. სრულიად ახალ ფაზაში: ამერიკელი ხალხის არჩევანისა და გადაწყვეტილების სისწორე უნდა დაადასტურონ უკვე მსოფლიოს ხალხებმა, და მათ შორის პატარა ხალხებმაც, თვით ჩვენმა პატარამ და დაპყრობილმა ქვეყანამაც... ამასთან არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სიპატარავეც და სიდიადეც ხალხებისა თუ ერების, სხვადასხვა დროში, სხვადასხვა კრიტერიუმებით იზომება.

როდესაც მსოფლიოს ერთერთმა უდიდესმა ბრძენკაცმა, დიდი ქურუმი ქალის – დიოტიმას ნაწრთობმა ბერძენმა ფილოსოფოსმა, სოკრატემ, პლატონის დიალოგების მთავარმა გმირმა და ევროპული ფილოსოფიის ფუძემდებელმა, ამასთან სახელმწიფოს ევროპული იდეალური მოდელის პირველშემოქმედმა, მოსაუბრეს კითხვა დაუსვა: „– ვინ არის-ო დღეს ყველაზე ძლიერი?" და მოსაუბრემ უპასუხა:"დღეს ყველაზე ძლიერი არისო სპარსეთის მეფე", სოკრატემ კითხვა შეუბრუნა და უთხრა: „– არის კი ის (ე.ი. სპარსეთის მეფე) ყველაზე ძლიერი-ო ეთიკურად?!"

ჩვენი პატარა ქვეყნის, საქართველოს დღევანდელი ეკლესიის საჭეთმპყრობელმა, საპატრიარქო ტახტზედ ჯერ კიდევ ახლად მობრძანებულმა გვითხრა:

„ერი შეიძლება პოლიტიკურად იყოს ძლიერი, მაგრამ ეს არ არისო ძლიერება ერისა, ერი შეიძლება ტერიტორიალურად იყოს ძლიერი, მაგრამ ეს არ არისო ძლიერება ერისა, ერი შეიძლება სამხედრო შეიარაღებით იყოს ძლიერი, მაგრამ ეს არ არისო ძლიერება ერისა, ერი შეიძლება დემოგრაფიულად იყოსო ძლიერი, მაგრამ ეს არ არისო ძლიერება ერისა, ერი შეიძლება ეკონომიურად და ფინანსურად იყოს ძლიერი, მაგრამ არც ეს არისო ძლიერება ერისა, ჭეშმარიტი ძლიერება ერისა მის სულიერ ძლიერებაშია!"-ო. ქართველმა ხალხმა ამ მრწამსის ირგვლივ შემოკრებილმა დაიბრუნა თავისი ქრისტიანულ-ეკლესიური წესი ცხოვრებისა... და აღმოჩნდა, რომ როდესაც ჩვენ, ისტორიულად „მესიის მახვილად" წოდებული ქვეყანა, ჯერ კიდევ ათეისტური რეჟიმის სახელმწიფოებრივ ყოფაში, ქრისტიანობას ვიბრუნებდით, თქვენი ქვეყანა ქრისტიანობის დაკნინების ტალღაზე იყო უკვე გადაწყობილი... როგორ და ვის მიერ, ეს ცალკე საკითხია... მაგრამ ეს ქრისტიანობის დაკნინების ტალღაზე გადაწყობილი ქვეყანა, დღეს უკვე ფაქტია, რომ ისტორიის დინებით ჩვენი ქვეყნისაკენ და ჩვენი ქრისტიანული ეკლესიისაკენ მოემართებოდა...

90-იანი წლების ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტობის კანდიდატი, ავტორი გახმაურებული წიგნისა: "დასავლეთის სიკვდილი", ბ-ნი პ ა ტ რ ი კ ბ ი უ კ ე ნ ე ნ ი ამერიკის შეერთებულ შტატებს აგვიწერს, როგორც მსხვერპლს მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში გატარებული ე. წ. „კულტურული რევოლუციისას", რომლის შემოქმედნიც, მისთვის და ე. ი. ამერიკელი ხალხისათვისაც, უჩინარი ძალები არიან. ამ ე.წ. „კულტურულმა რევოლუციამ", მოახდინაო, ამერიკის შეერთებული შტატების, როგორც ქრისტიანული ქვეყნის დექრისტიანიზაცია, ანუ არაქრისტიანულ ქვეყნად გარდასახვა და გადაისროლაო იგი „ ეთიკურ კანალიზაციაში" (პ. ბიუკენენი). ასეთი მძიმე შეფასებით მოიხსენიებს ბ-ნი პატრიკ ბიუკენენი უჩინარი ძალების მიერ ამერიკის შეერთებულ შტატებში განხორციელებულ ე.წ. „კულტურულ რევოლუციას", რომელიც შემდგომ, მთელ საქრისტიანო მსოფლიოსაც და ჩვენც, ქრისტიანობის აღმავალ გზაზე ხელახლა შემდგარ ქართველ ხალხსაც მოგვევლინება უკვე, როგორც ე.წ. „მსოფლიოს ახალი წესრიგის "იდეოლოგია, და თავს დაატყდება თავისი პოლიტიკური გავლენის ქვეშ მოქცეული მთელი თანამედროვე კაცობრიობის მორალურ ცნობიერებას. სამაგიეროდ, მოხდება გაცხადებაც იმისა, რომ უჩინარი ავტორი ამერიკის შეერთებული შტატების ე.წ. „კულტურული რევოლუციისა" და უჩინარი, ანუ „იატაკქვეშეთში" დაბინავებული ავტორი ე.წ. „მსოფლიოს ახალი წესრიგისა" წარმოადგენს ერთიდაიგივე ძალას და თუ „კულტურული რევოლუცია" ამერიკის დექრისტიანიზაციისაკენ იყო მიმართული, „მსოფლიოს ახალი წესრიგით" საქმე გვაქვს მსოფლიოს დექრისტიანიზაციის ამოცანასთან, ანუ კაცობრიულ ცხოვრებასა და ცნობიერებაში ქრისტიანობის ამოშლის ამოცანასთან და მიზანდასახულებასთან. ცხადია, არავითარ შემთხვევითობას არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ქრისტიანობის გასანადგურებლად სწორედ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფოებრივ წიაღში აღმოცენდება, ოფიციალურად რეგისტრირებული ფორმით, უკვე ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფოს" სახელწოდებით, და აღმოცენდება ისტორიული დროის სწორედ იმ მონაკვეთში, როდესაც ამერიკის შეერ-

თებული შტატების ქრისტიანული ეკლესიის წარმომადგენელი მოძღვრები თქვენს წინამორბედს, ამერიკის მშვიდობისმოყვარე პრეზიდენტს, ბატონ ბარაკ ობამას, შეჰბედავენ შემრისხავ საყვედურს: „ამერიკა შენ მიგყავსო ანტიქრისტეს გზით“. და საოცარი და დაუჯერებელი რამ ხდება... ამერიკის შეერთებული შტატები, როგორც „თავისუფლების ქვეყანა“ გვევლინება „თავისუფლების“ ახალი და წარმოუდგენელი გაგების ქვეყნად: ქვეყნად, რომლის კულტურულმა რევოლუციამ, რომელმაც საკუთარი ქვეყნის დექრისტიანიზაცია მოგვცა შედეგად, გვევლინება მსოფლიო ბრალდებულად. ბრალდების შინაარსი კი იმაში მდგომარეობს, რომ იგი, ტერორიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ქვეყანა, თავისსავე წიაღში, თავად შობს ტერორისტულ ორგანიზაციას, ე. წ. „ისლამურ სახელმწიფო“-ს და გზას უხსნის მას პოლიტიკური „მოღვაწეობისათვის“. ეს „ისლამური სახელმწიფო“ მთელი მსოფლიოს დასანახად და გასაგონად, თავის „სახელმწიფო მოღვაწეობას“ იწყებს ადამიანების თავების წაჭრის დემონსტაციით, სრულიად დაუფარავად და გაცხადებულად, ადამიანების თავების წაჭრით მარტო იმიტომ, რომ ისინი ქრისტიანები არიან... საიდან მოდის ეს გაშმაგებული წყურვილი ქრისტეს ხელახალი ჯვარცმისა, ანუ შურისძიებისა ქრისტეს მორწმუნე მთელ საქრისტიანო მსოფლიოზე? საიდან მოდის ეს საზღვარდაუდები და გარეშემოუწერელი, ე.წ. „ამერიკული“ და განუსაზღვრელი წყურვილი თავისუფლებისა, გარდისახოს უფლებად, საქრისტიანო მსოფლიოს ჯვარცმისად და განადგურებისად, და დაიწყოს ადამიანების თავების წაჭრის ფორმით, მარტო იმიტომ, რომ ისინი ქრისტიანები არიან?! და როგორ ხდება, რომ მთავარი ბრალეული ამგვარი „ხალიფატის“ დაფუძნებაში, დღესაც არის ამერიკის შეერთებული შტატები? ნუთუ ისრაელმა შესძლო და ორი ათასეული წლით გულის სიღრმეში ნატარები წადილი ქრისტიანობაზე თავისი შურისძიების აღსრულებისა, კონსპირაციულად მოახვია თავს ამ უდიდეს ზესახელმწიფოს და, როგორც თავისუფლების მებაირახტრე ქვეყანას, თავისუფლების სახელით გამოსძალა უფლება ე.წ. „ისლამური სახელმწიფოს“ ოფიციალური არსებობისა?! ნუთუ თავისუფლების იდეის ამხელა გაყალბებით შესძლო ანტიქრისტეს ძალამ, თავს მოეხვია და გვერდში დაეყენებინა ის ერთ სახელმწიფოდ შეკრული მსოფლიო ხალხების ქვეყანა, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები ჰქვია? რა ჰქვია თავისი ნამდვილი სახელით მსოფლიო ხალხების იმ ძალას, რომელიც დაიძრა საქრისტიანო მსოფლიოს ჯვარზე გასაკრავად?! პირველ რიგში კი უძველესი ქრისტიანული ქვეყნების დასანგრევად და ამოსაძირკვად?! ქალდეველებისა, ანუ ერაყის, და არამელებისა, ანუ სირიის... იგივ ძველი არამის...

1975 წელს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ისადგურებს მსოფლიო საზოგადოებრიობისათვის ერთგვარად მოულოდნელი მორალურ-პოლიტიკური პასუხისმგებლობა, რომლითაც ხმამაღალი, მთელი მსოფლიო საზოგადოებრიობისათვის გასაგონი შეფასება ეძლევა „სიონიზმს“ – ამერიკის შეერთებულ შტატებში, მე-19-ე საუკუნის დასასრულს დაფუძნებულ ებრაულ-სიონისტურ საერთაშორისო მოძრაობას, რომელსაც, ამ დროისათვის, 1975 წლისათვის, ფაქტიურად, ძირითადად მაინც, უკვე განხორციელებული აქვს თავისი მიზანი: მიზანი მსოფლიოში გაფანტული ებრაელობის დაბრუნებისა ე.წ. ისტორიულ სამშობლოში, დღევანდელ ისრაელში. "სიონიზმის" ეს გაეროსეული შეფასება გამოიხატება ოფიცია-

ლური ისტორიული რეზოლუციით, რომლის ნომერია: 3379 . ამ რეზოლუციით, საერთაშორისო „სიონიზმი“ განიმარტება, როგორც კაცთმოძულეობითი მოძრაობა, ანუ პოლიტიკაში მიღებული ენციკლოპედიური, აკადემიურ-მეცნიერული ტერმინოლოგიით: „რასიზმი“. მართალია, ეს რეზოლუცია შემდგომში, გაეროს მიერვე, გარკვეული ძალისხმევით, გაუქმებულ იქნა, მაგრამ მის არსებობას მნიშვნელობა არ დაუკარგავს.

ისრაელის მოქალაქის, ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, იციკ დავიდის სიტყვებით რომ წარმოვაჩინოთ ეს მოვლენა, „იმ დღეს, რა დღესაც ისრაელის რადიომ გადმოსცა გაეროს ამ დადგენილების ცნობა, სამუდამოდ ჩაესვენა მზე ურთიერთობისა ისრაელსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციას შორის“... შემთხვევითი არ არის, რომ იმავე, 1975 წელს, იქმნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეტოქი საერთაშორისო მოძრაობა: ადამიანისა და ხალხთა ინდივიდუალური ერთობების უფლებათა და ღირსებათა დაცვისა, ახალი საერთაშორისო დეკლარაციის ჩამოსაყალიბებლად და გასაცხადებლად, რომლის საერთაშორისო ხელმოწერათა განხორციელებაც შესდგება ქალაქ ჰელსინკში. ჰელსინკის დეკლარაცია მიმართული აღმოჩნდება პირდაპირ რუსეთის იმპერიის, ანუ უდიდესი ქრისტიანული ქვეყნის, ისტორიის ამ ეტაპზე საბჭოთა კავშირის სახით არსებული უდიდესი ზესახელმწიფოს დასაშლელად, რასაც დიდი სიონისტის, ჯორჯ სოროსის ენაზე დაერქმევა განვითარება „საბჭოთა კავშირისა“.

_მართლმადიდებლობას არა აქვსო გარკვეული, რომელ პოლიტიკურ — ეკონომიკურ წყობას უნდა დაუჭიროსო მხარი,- მიმართა მსოფლიო პატრიარქმა ბართლომემ, თბილისში სტუმრად მყოფმა, და თბილისის სიონის საკათედრო ტაძარში მწირველმა, საქართველოს ხელისუფლებაში ჯორჯ სოროსისა და მისი თანამზრახველების შემწეობით მეორედ მოსულ ედუარდ შევარდნაძეს, მსოფლიოს ახალი წესრიგის ერთ-ერთი არქიტექტორის სტატუსით შემოსილს. უნდა შევნიშნოთ, რომ საბჭოთა კავშირი თავისი ეკონომიკური სისტემით, ანუ თავისი სოციალიზმით უფრო ახლო იყო ქრისტიანობასთან, ვინემ ამერიკის შეერთებული შტატები თავისი კაპიტალიზმით, და რუსეთის იმპერიას სჭირდებოდა მხოლოდ შეცვლა დიდი ოქტომბრის მასონური რევოლუციის მიერ თავს მოხვეული ათეისტური იდეოლოგიისა, რაშიც, ჩვენის აზრით, მსოფლიოს სიონისტური მოძრაობისათვის, ყველაზე მეტად იყო ჩაბუდებული საშიშროება საბჭოთა კავშირის თვითგანვითარებისა.... და... 1975 წლის „ჰელსინკის დეკლარაციით“ შთაგონებული მსოფლიოს ახალი წესრიგით, რომელმაც საბჭოთა კავშირში შემავალ ხალხებთან ერთად, ჩვენი, ქართული მონოლითური ეროვნული მოძრაობის ამოხეთქვასაც დაუდო სათავე, მოძრაობის, რომელიც ეროვნული თვითმყოფადობის სრულყოფას დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივობის გზით ისახავდა მიზნად, უკვე 90-იან წლებში, მიაღწია მიზანს, და საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებთან ერთად ჩვენ, ქართველმა ხალხმაც, როგორც საბჭოთა კავშირის ერთერთ რესპუბლიკად ჩართულმა ქვეყანამ, ჩვენც მოვიპოვეთ დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა საბჭოთა კავშირიდან გამოსვლით.. მაგრამ „ჰელსინკის დეკლარაცია“, რო-

მელშიც ადამიანის უფლებათა დაცვასთან ერთად ხალხების ინდივიდუალური ერთობების, ანუ ე რ ე ბ ი ს უფლებათა, ღირსებათა და თავისებურებათა დაცვაც იყო წარმოდგენილი, ე ლ ვ ი ს ე ბ უ რ ი ს ი ს წ რ ა ფ ი თ ი ქ ნ ა ჩ ა ნ ა ც ვ ლ ე ბ უ-ლ ი ბ ა ტ ო ნ ჯ ო რ ჯ ს ო რ ო ს ი ს ს ი ო ნ ი ს ტ უ რ ი „ს ა მ ო ქ ა ლ ა ქ ო ს ა ზ ო-გ ა დ ო ე ბ ი ს" ვ ე რ ა გ უ ლ ი თ ე ო რ ი ი თ. უფრო ზუსტად,„ჰელსინკის დეკლარაცია" საბჭოთა კავშირიდან ჩვენი გამოყოფის შემდეგ, ჩანაცვლებულ იქნა კიდევ ახალი „დეკლარაციით", რომელიც „ერების"„სამოქალაქო საზოგადოებებად" გარდაქმნის აპოლოგიით, მსოფლიოს ახალი წესრიგის იდეოლოგიად აკანონებდა ერების თვითლიკვიდაციასა და უეროვნებო მსოფლიოს შექმნას. ეს ახალი, ანუ „ერების" „სამოქალაქო საზოგადოებებად", იგივ „მოქალაქეთა კავშირებად" გარდაქმნის ჯორჯ სოროსისეული დეკლარაცია-თეორია, რომელიც საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკურ იდეოლოგიად ჩაადუღაბა შემდგომ მსოფლიოს ახალი წესრიგის ერთერთ არქიტექტორად აღიარებულმა ე დ უ ა რ დ შ ე ვ ა რ დ ნ ა ძ ე მ, ბატონ ჯორჯ სოროსის განმარტებით, დემოკრატიაზედაც მაღლა იდგა. ეს სოროსისეული ხაზგასმა „სამოქალაქო საზოგადოების" „დემოკრატიაზეც" მაღლა დგომისა, რაც მსოფლიოს ახალი წესრიგის პრიორიტეტულ იდეად სახავდა „სამოქალაქო საზოგადოებას", თავისი ქვეტექსტით, უსათუოდ ნიშნავდა და ნიშნავს ამერიკის შეერთებულ შტატებზე მაღლა დგომასაც სიონიზმისას, ანუ მაღლა დგომასაც დემოკრატიის სიმბოლოდ აღიარებულ ქვეყანაზე. ამრიგად 21-ე საუკუნის პირველივე ათეულებში მივიღეთ რეალობა, რომლითაც ამერიკის შეერთებული შტატების ერთსახელმწიფოებრიობაში თავმოყრილი მსოფლიოს ხალხები, რომლებმაც გაამერიკელებით დაკარგეს თავიანთი გენეტიკური ეროვნულობა, მიილტვიან ეროვნულობა მოიპოვონ ახალი ნიშნით. ეს მათი ადამიანური შინაგანი მოთხოვნილებაა. მივიღეთ მსოფლიო რეალობა, რომლითაც მეორე მსოფლიო ომის შედეგად ებრაელმა ერმა დაიბრუნა ჯერ თავისი, ორი ათასი წლის განმავლობაში დაკარგული სახელმწიფოებრიობა, ხოლო შემდგომ, ამ ორი ათასი წლის განმავლობაში დაკარგულ და აღდგენილ სახელმწიფოებრიობაში დაიბრუნა თავისი „ტიტულოვანი." ძველი აღთქმისეული „რჩეულობის" სტატუსი, საპარლამენტო საკანონმდებლო წესით. პოლიტიკურად დაძაბულ ქართულ ცნობიერებას შეუმჩნეველი არ დარჩენია, თვით დიდი რუსეთის დღევანდელი პრეზიდენტის, ბატონ ვ ლ ა დ ი მ ი რ პ უ ტ ი ნ ი ს გამოსვლა, ვალდაის სახელგანთქმულ სადისკუსიო კლუბში, 2013 წლის 19 სექტემბერს, და მისი ღრმად ეროვნული განცხადება, რომ რუსი ხალხი ეროვნული თვითგამორკვევის გარეშე შორს ვერ წავა! და ყველაფერ ამის ფონზე, ჩვენ, პატარა, სადღეისო ათვლით, უკვე საკუთარ მიწაწყალზე მყოფი, და „მოწყვლად მოსახლეობად" შეფასებული, სამ, თუ ოთხმილიონიანი ქართველი ერი, მსოფლიოს ახალი წესრიგით მოსჯილი სახელმწიფო იდეოლოგიით, ა ლ ა ნ დ ა ლ ა ს ე ბ ი ს სტრატეგიებით აღჭურვილნი, ჯ ო რ ჯ ს ო რ ო ს ე ბ ი ს „სამოქალაქო საზოგადოების" თეორიებით დამოძღვრილნი და თვალებში ნაცარშეყრილნი, მსოფლიოს ახალი წესრიგის ერთერთი ქართველი არქიტექტორის, ბატონ ედუარდ შევარდნაძის პოლიტიკური გაერთიანების: „მოქალაქეთა კავშირის" იდეოლოგიური წინამძღოლობითა და დროშით, „სამოქალაქო საზოგადოებად" გარდასახვის გზით, მივიწევთ წინ ჩვენი ეროვნული თვითლიკვიდაციისაკენ. ეს

გახლავთ დღეს ის ავანტიურისტული მსოფლიო წესრიგი, რომელიც მიმართულია პატარა ერების დაპყრობისა და გადაყლაპვისაკენ. ეს გახლავთ ბატონ ჯორჯ სოროსის, „დიდი“ ქველმოქმედებისა და „დიდი“ თეორიული აზროვნების წყალობით, ანუ მასონურ-სიონისტური მოძრაობის თეორიული და პრაქტიკული სტრატეგიების წყალობით დამკვიდრებული რეალობა, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლისა და დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის განდევნის შემდეგ, ბატონ ედუარდ შევარდნაძესთან ერთად შემოიჭრა და დაინერგა საქართველოს სახელმწიფოებრივ მმართველობაში. და აღმოჩნდა, რომ ჩვენი ხალხის მონოლითური ეროვნული მოძრაობის შედეგად, საქართველოში მივიღეთ არა ჩვენი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, არა ჩვენი ეროვნული თვითმყოფადობის განვითარება და ახალ ხარისხში აყვანა, არამედ – ჩვენი ეროვნული არსებობისა და ვინაობის ნგრევა ყველა მიმართულებით: პირველ რიგში კი ჩვენი დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფოებრივი მანქანის საჭეთმპყრობელობის მიმართულებით, ანუ სახელმწიფო მანქანის მართვის. ჩვენი მონოლითური ეროვნული მოძრაობით მოპოვებული „დამოუკიდებელი და თავისუფალი“, ამასთან სრულიად დაუცველი სახელმწიფო მანქანა ხელთ იგდო მსოფლიოში ცნობილი მასონურ-სიონისტური კლუბის, ბილდერბერგის კლუბის წარმომადგენელმა, საბჭოთა სივრცეში ფუნქციონირებადი „ ბილდერბერგის“ ანალოგი სიონისტური ლოჟის – „მაგისტერიუმის“ ერთერთ პატრიარქად ცნობილმა ედუარდ შევარდნაძემ, საქართველოს ყოფილმა ცეკას მდივანმა და საბჭოთა კავშირის ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა, მოვლენილმა მსოფლიოს ახალი წესრიგის არქიტექტორად და ამ წესრიგის დამამყარებლად მშობლიურ ქვეყანაში. დამოუკიდებლობა-მოპოვებულ და ამ სრულიად დაუცველად დარჩენილ დამოუკიდებელ საქართველოში, მსოფლიოს მასონურ-სიონისტური ძალების მხარდაჭერით, ედუარდ შევარდნაძე შემოუძღვა მსოფლიოს მასონურ-სიონისტურ მოძრაობას, „ოკეანის გადაღმა, ვაშინგტონში დაგეგმილი“ სახელმწიფო გადატრიალების, საერთაშორისო სტატუსის მქონე სპექტაკლის, მოწყობის გზით...

ქართველი ხალხის გულამოხეთქილი წყურვილით, მერაბ კოსტავას მოწამებრივი თავგანწირვითა და ზვიად გამსახურდიას მებრძოლი სულით მოპოვებული დამოუკიდებელი საქართველოდან, ედუარდ შევარდნაძის მხარდამჭერი მსოფლიო ძალების მიერ მოწყობილი სახელმწიფო გადატრიალების, ანუ დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტისა და მისი სახელისუფლებო გუნდის გაძევებისა და ედუარდ შევარდნაძის შემოყვანის გზით, მსოფლიოს მასონურმა ძალებმა განახორციელეს საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის, ანუ ქართველი ერის ინტერესების გაძევება საქართველოდან, და საქართველოს სახელმწიფო ხომალდის მიმართულების შეცვლა 180 გრადუსით, რითაც მათ ფაქტობრივად შეძლეს, დღის წესრიგიდან საერთოდ მოეხსნათ საქართველოს დამოუკიდებლობისა და თვითმყოფადობის სახელმწიფო ორიენტაციაც. შეიძლება თავისუფლად ითქვას, რომ ეს ხდება შევარდნაძეზე, როგორც გამოცდილ პოლიტიკოსზე მინდობილი ქართული საზოგადოებრიობის ცნობიერებაზე გადასხლეტითა და გადაცურებით, სრულიად გაუცნობიერებლად იმისა, თუ რაზე თანხმდება ქართველი ხალხი დიდი გამოცდილების პოლიტიკოსს, ამასთან

მსოფლიოს ახალი წესრიგის ერთერთ არქიტექტორად მოვლენილს. ეს ხდება სრულიად გაუცნობიერებლად იმისა, თუ რას ნიშნავს შევარდნაძისეული ქვეტექსტი მისი ახალი პოლიტიკური ცნებისა: „სამოქალაქო საზოგადოების", რომელსაც შევარდნაძის ენაზე სრულიად უწყინარი სახელი – „მოქალაქეთა კავშირი" ჰქვია. მსოფლიოს სიონისტურმა ძალებმა შევარდნაძის პოლიტიკური და დიპლომატიური ხელოვნების გზით, ქართველი ხალხის მიმნდობი ბუნების კარგად ცოდნისა და გაცურების ვირტუოზული უნარით, შეძლეს ქართველი ხალხის ემოციურად მონოლითური ეროვნული მოძრაობის იდეოლოგიაში ისეთი ჩანაცვლება, ქართველი „ერის ცნობიერებაში სამოქალაქო საზოგადოების" ცნების ისეთი დამკვიდრება, ანუ ისეთი ტკბილი შეთანხმება ეროვნული თვითლიკვიდაციის პოლიტიკურ იდეოლოგიასთან, რომ 27 წელია, ვერ გაუგია ქართველ ხალხს, რა ხდება მის თავს: ქართველ ხალხს, რომელსაც არც „ჰელსინკის დეკლარაცია" გაუშიფრავს, არც სოროსის „სამოქალაქო საზოგადოების" თეორია, არც პროცესი ჰელსინკის დეკლარაციის ჩანაცვლებისა სოროსის თეორიით, არც ევრო-კავშირის კონსტიტუცია წაუკითხავს, საიდაც დღეს საქართველოს ე.წ. დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფოებრიობის მმართველი ახალი, ანუ მსოფლიოს მასონურ-სიონისტური ხელისუფლება მიაქანებს, სათუთად ნაოცნებარი და ერის გულამოხეთქილი მოძრაობით მოპოვებული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დასასამარებლად...ქართველმა ხალხმა არ იცის, თ უ რა მოხდა მის თავს, როგორ და რა უბედურება დაატყდა საქართველოს, ეროვნული მოძრაობის ე.წ. „გამოუცდელ" ლიდერთა მოშორებით და მსოფლიოს ახალი წესრიგის ერთერთი არქიტექტორის, „გამოცდილი" პოლიტიკოსის, ედუარდ შევარდნაძის მხარდაჭერით! შესწევს დღეს სახელმწიფოებრივი მორალური ძალა და ენერგია ამერიკის შეერთებულ შტატებს, როგორც ჩვენს ოფიციალურ პოლიტიკურ პარტნიორს, და მეგობარ ზესახელმწიფოს, მხარში დაგვიდგეს ამ მსოფლიო მასშტაბის სამარცხვინო ავანტიურიზმის მხილებაში?!

## ნაწილი მეორე

### რა შეიძლება დავარქვათ იმ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, რომელიც ჩვენ, ქართველმა ხალხმა მივიღეთ ე.წ. „მსოფლიოს ახალი წესრიგით"?!

საქართველოს ქრისტიანული ისტორია ათასობით წმინდანის მოწამეობით არის განათებული. მათ შორის არის ერთი მ ღ ვ დ ე ლ ი თ ე ვ დ ო რ ე, რომელიც მტრის მოულოდნელად შემოსეულ ლაშქარს გადაელობა და საკუთარ ქვეყანაში მეგზურობა შესთავაზა: ფარული თავგანწირული ჩანაფიქრით, რომ გზა აერია მტრისათვის და ამასობაში ქვეყანა ბრძოლისათვის მომზადებულიყო... საქართველოს საბჭოთა პერიოდის ყოფილმა სახელმწიფო მეთაურმა, თავისი ქვეყნის ძირფესვიანად მცოდნემ, და გამოცდილმა პოლიტიკოსმა, ბატონმა ე დ უ ა რ დ შ ე ვ ა რ დ ნ ა ძ ე მ, როგორც ქართველთა ისტორიული წმინდანის – თევდორე მღვდლის ალტერნატიულმა პიროვნებამ, ანუ ა ნ ტ ი თ ე ვ დ ო რ ე მ, მტრის შემო-

სეულ ლაშქარს, ანუ მსოფლიოს მასონურ-სიონისტურ მოძრაობას გაუღო საქართველოს სახელმწიფოს ყველა ლაბირინთის კარი, დაწყებული საქართველოს კანონმდებლობით და დამთავრებული, ქართველთა სიწმინდის, ბაზალეთის წმინდა ტბის ძირით, სადაც, ქართული მითოსური აზროვნებით, ერის ლეგენდარულ – გონითი ხედვით, სამოთხის ნაკრძალია წარმოსახული, და ამ სამოთხის ნაკრძალში, ასევე მითიური სიმბოლო, მარადიული ოქროს აკვანი დგას საქართველოს იმედად. ამ აკვანში ერის ნატრული გმირი უნდა იშვას...

ბატონი ედუარდის მეშვეობით საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფო მანქანა, სრულიად გამიზნულად და გეგმაზომიერად, ხელთ იგდეს, ამ მიზნით წინასწარვე ჩასაფრებულმა ამერიკულ-სიონისტურმა პოლიტიკურმა დესანტებმა, რომლებიც არ დაბრკოლებულან, ჰელსინკის დეკლარაცია, შევარდნაძისეული სახელმწიფო მმართველობის გამოცდილებაზე მინდობილი ქართველი ხალხისთვის და თვით ქართული ინტელიგენციის წარჩინებულ წარმომადგენელთათვის სრულიად გაუგონარის, ვიღაც ჯორჯ სოროსის „სამოქალაქო საზოგადოების" პოლიტიკური იდეოლოგიით შეეცვალათ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს მმართველობითი მანქანის საჭე, ამასთან კანონმდებლობითი მმართველობის, აღმოჩნდა უცხოეთის პოლიტიკური დესანტების ხელში, რომელთაც საქართველოს სახელმწიფოებრივი კანონმდებლობა წარმართეს საკუთარი ინტერესებით და ქართველი ერის ინტერესების საწინააღმდეგო მიმართულებით: სახელმწიფო იდეოლოგიის, პოლიტიკური კურსის, ტერიტორიული მთლიანობის, ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, განათლების, მეცნიერების, კულტურის, და ა. შ. თითქმის ყველა დარგში... შეიძლება ითქვას, რომ თავად ედუარდ შევარდნაძის განაცხადებით, განაცხადებით, რომელნიც საქართველოში საკმაოდ პოპულარული გაზეთის – „ასავალ-დასავალის" – ფურცლებიდან გაისმა, მისსავე ინტერვიუებში, თავად ბატონი ჯორჯ სოროსის პიროვნების შევარდნაძისეული, ამასთან ჩვენეული შეფასების თანხვედრილი შეფასებაც მოხდა: მხედველობაში გვაქვს შევარდნაძისმიერი განმარტება და შეფასება ჯორჯ სოროსის პიროვნული ღვაწლისა საქართველოსადმი დამოკიდებულებაში; ოღონდ ეს შეფასება მოხდა ე.წ. „ვარდების რევოლუციასთან" კავშირში, და ამასთან, მაშინ, როდესაც, ეს „ვარდების რევოლუცია" „რევოლუციების სპეციალისტის" – ჯორჯ სოროსის მიერ დაპროექტებულ-დაფინანსებულ „რევოლუციად" იყო უკვე აღიარებული და უკვე კონკრეტულად და პიროვნულად, შევარდნაძის მმართველობის წინააღმდეგ იყო მიმართული. ამ დროისათვის უკვე თავად ბატონი შევარდნაძე სრულყოფს „ვარდების რევოლუციის" ამ აღიარებას ახალი განმარტებით: – „ვარდების რევოლუცია" იყოო არა თუ სპექტაკლი – ბრძანებს იგი, – არამედ უცხოური დაზვერვის მიერ ორგანიზებული ძალიან დიდი დანაშაული". „...ვარდების რევოლოციით" მოყვანილი ხელისუფლების დროს – ბრძანებს ბატონი ედუარდი – საქართველოს „პარლამენტი იღებდაო ქართველი ერის ბედის საწინააღმდეგო იმდენ გადაწყვეტილებას, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა"-ო. ერთი რამ არ უთქვამს მხოლოდ ბატონ ედუარდს: რომ „ვარდებით" მოსული ხელისუფლე-

ბის პოლიტიკური კურსი, მისივე პოლიტიკის უერთგულესი გაგრძელება იყო, ქართველი ერის ბედის საწინააღმდეგოდ მიმართული. ამრიგად, თუ თქვენთვის, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტისათვის, სახელმწიფოს ფუნქცია ხალხის კეთილდღეობის მსახურებაა, საქართველოში, თქვენს პარტნიორ ქვეყანაში, სახელმწიფოს ფუნქცია ქვეყნის ძარცვა და ქართველი ხალხის განადგურებაა ძირითადად. ეს გახლავთ ქვეყანა, სადაც, ოფიციალურად ცნობილი მონაცემებით, უმწვავესი დემოგრაფიული კრიზისია ჩამომდგარი...და მოსახლეობის მდგომარეობის აღმწერ ძირითად პოლიტიკურ ტერმინად „მოწყვლადობაა" გამოყენებული.

: უკვე 2013 წლის ანალიზით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენლობის მიერ, საქართველოში, ყალიბდება ოფიციალური სტატისტიკური დასკვნა, რომლითაც საქართველოს მოსახლეობის 70% მოწყვლადია, ანუ მოსახლეობის 70%-ზე მეტის სიცოცხლე ბეწვზე ჰკიდია. გაეროს წარმომადგენლობამ საქართველოს მოსახლეობის ესოდენ ტრაგიკული მდგომარეობის საფუძვლად, ღიად გააცხადა და ამხილა საქართველოს ხელისუფლების მიერ გატარებული სახელმწიფო პოლიტიკა და ქართველ ხალხს სახელმწიფო პოლიტიკის გადახედვისაკენ მოუწოდა. მადლობა მას ამ გულწრფელობისათვის! საქართველოში დღესაც ოფიციალურად არის აღიარებული, რომ მიუღწეველია მოსახლეობის უზრუნველყოფა საარსებო მინიმუმით, ანუ სიცოცხლის ელემენტარული უფლება, რომელიც ღმერთმა მოგვცა, საქართველოში, მსოფლიოს ახალი წესრიგით წართმეულია! სახელმწიფოს ამოცანად ოფიციალურად არის გაცხადებული, დაძლევა ტოტალური სიღატაკისა, რომელიც საქართველოს ხელისუფლებათა 27 წლიანმა პოლიტიკამ მოგვიტანა. ამ ფონზე, 2014 წლის ოქტომბერში, მსოფლიო ებრაელობა, საქართველოს დედაქალაქის ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში, ზეიმობს მსოფლიო ებრაელობის პოსტსაბჭოთა სივრცეში ოფიციალური შემოსვლის 25 წლისთავს, 2016 წლის 24 დეკემბერს, თბილისის ოპერის თეატრში იხდის საერთაშორისო მასშტაბის „ხანუკობას", ებრაელთა ერთობის რელიგიურ დღესასწაულს, ხოლო 25 დეკემბერს იხდის მსოფლიო ებრაელობის ფორუმს, ებრაული პოლიტიკისა და დიპლომატიის ზეიმისას, რომელსაც თურმე ქართველი ხალხი უჭერს მხარს.

სამაგიეროდ, ტოტალურად გაღატაკებული საქართველოს ხუთმილიონიანი მოსახლეობა, საიდანაც მილიონნახევარზე მეტი გადახვეწილია უცხო ქვეყნებში, შრომითი ანაზღაურების მოსაპოვებლად და სიცოცხლის გადასარჩენად, ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი ქვეყნის, ამერიკის შეერთებული შტატების მიერ, დროდადრო ვჯილდოვდებით საომარი იარაღების შესაძენად, მილიარდობით დოლარით და ასეულმილიონობით დოლარის ჩადებით ჩვენი ულამაზესი და ღვთით მიმადლებული ქვეყნის მიწა-წყალზე აშენებული, პენტაგონის ბაქტერიოლოგიური სამხედრო ლაბორატორიების ვირუსებით, პირდაპირ თბილისის მისადგომიდან, დედაქალაქის აეროპორტის გზით. ვჯილდოვდებით ლუგარის ბაქტერიოლოგიური ლაბორატორიიდან შეყრილი ქათმებისა და ღორების გრიპებით... და სად შეიძლება უკეთესი ადგილი იქნას შერჩეული თბილისის ამ ლუგარის ბაქტერიოლოგიური ლაბორატორიების

ფილიალისათვის, თუ არა ტერიტორია საქართველოში სახელგანთქმული შავი ზღვისპირა კურორტისა, ქობულეთის?! ტერიტორია, რომელიც გულისა და საერთოდ გულ-სისხლ-ძარღვთა სამკურნალოდ არის ცნობილი?! 2013 წელს, ოფიციალური სტატისტიკით, ლუგარის ბაქტერიოლოგიური ლაბორატორიის ქობულეთის ფილიალიდან გავრცელებული ვირუსული დაავადების – „წითელას" ვირუსით დაავადებულთა ეპიდემიამ 8000 (რვა ათასს) ინფიცირებულ ადამიანს მიაღწია, 2014 წელს კი – 11 000 (თერთმეტი ათასს). ამჯერად, როდესაც, ოფიციალური ინფორმაციით, წითელას ახალ ეპიდემიურ აფეთქებას ველით, იმედია, ინფიცირებულთა რიცხვი, ლუგარის ლაბორატორიის ახალ წარმატებაზე იმეტყველებს.

ლუგარის ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია საქართველოში „ვარდების რევოლუციით" მოყვანილმა ხელისუფლებამ ააშენა, თუმცა, როგორც სპეციალისტები წერენ, არც „ქართული ოცნების" სახელწოდებით მოსულ ხელისუფლებას დაუბრკოლებია ლუგარის ლაბორატორიის წარმატებული ფუნქციონირება. როგორც ამერიკელი ჟურნალისტი, თავის დროზე, საქართველოს პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის მრჩეველი და საქართველოს რეალიებში გარკვეული ჯეფრი სილვერმანი გვაუწყებს, 2013 წლამდე ლუგარის ლაბორატორიის ოფიციალური ხელმძღვანელის მოადგილე იყოო ვინმე ვახტანგ ბერიაშვილი, რომელიც მანამდე ჩვენი სახელგანთქმული ქველმოქმედის, ჯორჯ სოროსის ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოში" მუშაობდა. ბატონი ჯეფრი სილვერმანი ამ ფაქტის აღნიშვნით, რომ სოროსის საზოგადოებიდან გადაყვანილი პიროვნებაა ლუგარის ლაბორატორიის ხელმძღვანელის მოადგილე, ქართული საზოგადოების ყურადღებას მიაპყრობს სოროსის ფონდისა და ლუგარის ლაბორატორიის დაკავშირებულობაზე, რასაც მოკლე და ლაკონიური განცხადებით გამოხატავს: „კავშირი ვახტანგ ბერიაშვილის წინა და ახალ სამუშაო ადგილებს შორის (ანუ სოროსის ფონდსა და ლუგარის ბაქტერიოლოგიურ ლაბორატორიას შორის! დ.ს.), ყველასთვის ნათელია"-ო! ფაქტი, რომ ამერიკელი სენატორის, ლუგარის სახელობის ბაქტერიოლოგიური ლაბორატორიის მავნებლობაზე, საჯაროდ, პირველი ალაპარაკდა საქართველოში ამერიკელი ჟურნალისტი და ამხილა სოროსის ფონდისა და ნატოს თანამშრომლობა ლუგარის სახელობის თბილისის ბაქტერიოლოგიურ ლაბორატორიასთან, ოფიციალური სახელწოდებით: „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრთან", ამასთან ისიც გვითხრა, რომ ამერიკა არღვევს გაეროს კონვენციას, ბიოლოგიური იარაღის დამზადების აკრძალვისას, გვაყენებს პასუხისმგებლობის წინაშე, მადლიერების ნიშნად ვაღიაროთ, რომ ამერიკის ნამდვილი სახე ჯეფრი სილვერმანია და არა ჯორჯ სოროსი. ჯეფრი სილვერმანია დღეს საქართველოში ამერიკელი ხალხის სინდისი! მადლობა უფალს, რომ ჩვენს დასნეულებულ დედამიწაზე, მაინც არსებობენ ჯეფრი სილვერმანისებური გაბედულებითა და პატიოსნებით აღსავსე ადამიანები! დიდმა ქველმოქმედმა, ბატონმა ჯორჯ სოროსმა კი, საუკეთესო შემთხვევაში, შესაძლოა, თვითონვე გადაგვიხადოს ვაქცინების ფული მისივე გამოგზავნილი ვირუსებისაგან განკურნებისათვის.

როგორც ვხედავთ, ჩვენსავე მიწა-წყალზე ვამზადებინებთ ჩვენს პატივცემულ სახელმწიფო მმართველს, ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი ქვეყნის მოქალაქეს

ჭირისა და სხვა ამგვარი ეპიდემიური უბედურების გამომწვევ საშუალებას – მასობრივი განადგურების ბიოლოგიურ იარაღს, პირდაპირ თბილისის მისადგომთან, ე.წ. „ალექსეევკის დასახლებაში". უნდა ვინუგეშოთ თავი მხოლოდ იმით, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში ჰქონია ოთხასამდე ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია: ამასთან უკრაინაში-უფრო მეტი რაოდენობით, ვინემ საქართველოში. საქართველოს ხელისუფლება გაყუჩებული მორჩილებით უმზერს ქართველი ერის გამანადგურებელი საშიშროების ლაბორატორიას, ჩვენსავე მიწა-წყალზე შექმნილს. საკვირველია და ამაზე ხმას არ იღებს არც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენლობა საქართველოში, რომელმაც ბრწყინვალედ იცის, რომ ტოტალურ სიღატაკე-მისჯილ და დამშეულ მოსახლეობას, ოფიციალური ინფორმაციით, ჩვენი ძვირფასი პარტნიორული პოლიტიკის წყალობით, ახალი ეპიდემიური აფეთქებაც ელის.

ლუგარის ბაქტერიოლოგიური ბიოლაბორატორიის შექმნა მახსენებს საბჭოთა პერიოდის ატომური რეაქტორის მიდგმას პირდაპირ მცხეთაზე, საქართველოს უძველეს დედაქალაქზე, სადაც საქართველოს და ქართველი ერის სიამაყისა და დიდების – „სვეტიცხოვლის" უძველესი საკათედრო ტაძარია აშენებული, ჩვენი წელთაღრიცხვის მე-4 და მე-6 საუკუნეებში . ეს ის ტაძარი გახლავთ, რომელშიაც დედა სიდონიაა დაკრძალული, გულში ჩაკრული მაცხოვრის კვართითურთ, დაი მცხეთელი ელიოზისა, ჯვარცმული იესო ქრისტეს საუფლო კვართი რომ ჩამოიტანა იერუსალიმიდან მცხეთას. დღეს მცხეთა, საქართველოს ძველი სამეუფო ქალაქი, მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის საგანძურთა ნუსხაშია შეტანილი და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „იუნესკოს" მფარველობაშია, როგორც ქალაქი-მუზეუმი.

ცხადია მეოცე საუკუნის მეორე ნახევარშიც იყო მცხეთა მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის ნიმუში და ქალაქი – მუზეუმი, მაგრამ საბჭოთა იმპერიის გარკვეულ ძალებს არ გასჭირვებიათ საქართველოს ხელისუფლება ასეთ მავნებლობაზე დაეთანხმებინათ: ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რომელ ნორმალურ ადამიანს შეიძლებოდა მოსვლოდა თავში, ან რომელ სახელმწიფო იდეოლოგიას შეიძლებოდა დაეშვა ქალაქ-მუზეუმის მისადგომთან ატომური რეაქტორის აგება?! დიდი ალბათობით, ეს ძალები, საბჭოთა კავშირის სახელისუფლებო სივრცეში მოკალათებული სწორედ ის ძალები უნდა ყოფილიყვნენ, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში მცხეთის ტერიტორიის ათვისებაზე და ქართული მოსახლეობისაგან დაცლაზე ოცნებობდნენ!

წლების წინ, როდესაც ჩემს უმცროს ძმას, სრულიად ჯანმრთელს, ცამოწმენდილზე უსწრაფესი ფორმის ლეიკემია აღმოაჩნდა, ექიმ- ჰემატოლოგების პირველი შეკითხვა გახლდათ, ხომ არ ვიყავით მცხეთის რაიონიდან? – 80% ლეიკემიით დაავადებულთაგან არისო მცხეთის რაიონიდან – განმიმარტა ექიმმა-ჰემატოლოგმა თავზარდაცემულს ჩემი უსაყვარლესი ძმის დიაგნოზით. ის ამ დროს 22 წლის იყო, მუსიკალური ტექნიკუმის, საფორტეპიანო კლასის მეოთხე კურსის სტუდენტი! ეს წუთი მცხეთისა და ლეიკემიის ერთად მოხსენიებისა, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს კერძო სახლს, იმდროის თბილისის გარეუბანში, მცხეთის ატო-

მურ რეაქტორთან 20 კილომეტრი მაინც აშორებდა, დაუვიწყარია ჩემი სიცოცხლის ყველაზე დიდ უბედურებასთან ერთად და თან მახლავს განუყრელად...

რა მიზანს ისახავდა მცხეთის ატომური რეაქტორი? რა ძალები მართავდნენ საბჭოთა ხელისუფლებიდან მცხეთის მოსახლეობისადმი და საერთოდ მცხეთისადმი, როგორც მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობისადმი დამოკიდებულებას? მართალია ამაოდ, მაგრამ რატომ მოისურვა ერთ მშვენიერ დღეს, ევროპიდან დაბრუნებულმა საქართველოს პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა, საფრანგეთის პრეზიდენტის, სარკოზისათვის პრეზიდენტობის მილოცვისთანავე, მცხეთის, უკვე ოფიციალურად იუნესკოს დაქვემდებარებაში მყოფი ქალაქ-მუზეუმის მისადგომებთან, კარგა ხნის გაუქმებული ატომური რეაქტორის აღდგენა? ეს ხომ იმ პრეზიდენტმა მოისურვა, რომელმაც ძალაუფლება სოროსის დაფინანსებული ვარდების რევოლუციით ჩაიგდო ხელთ, თავისი პრეზიდენტობა დავით აღმაშენებლის საფლავთან იზეიმა, ხოლო დავით აღმაშენებლის ძეგლი ქალაქიდან უცერემონიოდ გაიტანა. ამითაც არ დაკმაყოფილებულა: წმინდანად შერაცხული საქართველოს უდიდესი მეფის, დავით აღმაშენებლის უდიადესი გამარჯვების ადგილზე, დიდგორის ველის მემორიალურ ნაკრძალში ლუგარის ბაქტერიოლოგიური ლაბორატორიების საზეიმო პრეზენტაცია გადაიხადა, როგორც პენტაგონის დიდი საჩუქრისა ქართველ ხალხს!

– „ამერიკელებს ერთი დოლარის ინვესტიციაც კი არ განუხორციელებიათო ქართულ ეკონომიკაში – აცხადებს ამერიკელი ჟურნალისტი ჯეფრი სილვერმანი 2016 წელს მიცემულ ინტერვიუში, – მაშინ როდესაც, ლუგარის ლაბორატორიის გასახსნელად და შემდგომში უკვე ასამუშავებლად, 300 მილიონი აშშ დოლარი დახარჯაო პენტაგონმა“ (გაზ. „საქართველო და მსოფლიო“ №4,2018 წ.). ამ კითხვაზე დღეისათვის უკვე გაცემულია პასუხი, რამდენადაც, ამ სამიოდე წლის წინაც დასტურდება ლუგარის ბაქტერიოლოგიური ლაბორატორიის აქტიური პატრონობა: „2014 წელს, ლუგარის ცენტრი აღჭურვეს-ო მწერების გასამრავლებელი სპეციალური დანადგარებით-“-გვაუწყებს „საქართველო და მსოფლიო“-ს გაზეთი.

ძვირფასო ბატონო პრეზიდენტო ამერიკის შეერთებული შტატების!

მხოლოდ დიდი ბოდიშის მოხდით გაუწყებთ ესოდენ უსიამოვნო ინფორმაციას „ლუგარის“ ბუზანკლებით ინფიცირებული პაციენტებისას, რადგან ეს ინფორმაცია მრავალი თვალსაზრისით არის საინტერესო და შემაზრზენი: ..ლუგარის ცენტრში კვლევის დაწყებიდან ერთი წლის შემდეგ, თბილისელებმა და საქართველოსთან მოსაზღვრე რუსეთის, კერძოდ, დაღესტნის მოსახლეობის წარმომადგენლებმა განაცხადეს უცნაური ბუზების გამოჩენის შესახებ, რომლებმაც დაიბუდეს სააბაზანოებსა და კანალიზაციაში და ადამიანებს შხაპის მიღებისას კბენდნენ. ნაკბენ ადგილას იწყებოდა ანთებითი პროცესი“...

„იქმნება შთაბეჭდილება, რომ საქართველო ამერიკული ექსპერიმენტების ჩატარების პოლიგონად არის შერჩეული...რაც შეიძლება კატასტროფული შედეგით დამთავრდეს საქართველოს მოსახლეობისათვის“ – ვკითხულობთ ცნობილი ჟურნალისტის ნიკა კორინთელის წერილში(გაზეთი: „საქართველო და მსოფლიო“,№4 2018 წელი 7-18 თებერვალი, გვ.16-17, რედაქტორი აწ განსვენებული ბატონი ირაკლი თოდუა). ხომ უნდა დავსვათ შეკითხვა: ვინ

არის და რატომ არის დაინტერესებული ქართველი ერის განადგურებით? ვის აწუხებს ჩვენი არსებობა?

სხვათაშორის ლუგარის ბაქტერიოლოგიური ლაბორატორიის საქმიანობა ძალიან მაგონებს ბიბლიაში აღწერილ ეპიზოდებს, ეგვიპტის მოსახლეობაზე და ფარაონის კარზე ბუზანკლების და გომბეშოების შესევისას, ჭირისა და ბუწუკების გამონაყრიანი დაავადებების შეყრისას... ნუ დაგვავიწყდება, რომ ეგვიპტე ის ქვეყანაა, სადაც იაკობის, ღვთისგან მინიჭებული სახელით „ისრაელის" ერთი ოჯახი ჩავიდა შიმშილით სიკვდილისაგან თავის დასაღწევად, და ე რ ა დ იქცა, ისრაელიანთა ერად...... ეგვიპტელებზე ბუზანკლების შესევის ბიბლიურ ეპიზოდებში, ფარაონის თხოვნით თვითონ ებრაელები ათავისუფლებენ ეგვიპტელებს ამ დაავადებებისგან თავისივე ღმერთის შემწეობით, რადგან ეგვიპტელებზე ეს ბუზანკლების შესევაც და ეს ჭირების შეყრაც ებრაელთაგან, მათივე ღმერთის ლოცვა-კურთხევით ხდება... ბუნებრივია, ებრაელთა ღმერთი ეგვიპტელთა განთავისუფლების თხოვნასაც ებრაელთაგან ისმენს. მაგრამ ვინ იხსნის ქართველ ხალხს „ლუგარის" ბუზანკლებისაგან, ხალხს, რომლის ისტორიაც ლამის კაცობრიობის ისტორიას უტოლდება და ამჯერად, ჩვენი კეთილშობილი ბიზნესმენისაგან ინფიცირებული ბუზანკლების მსხვერპლად არის გამეტებული?!

ბატონო პრეზიდენტო ამერიკის შეერთებული შტატების!

ჩვენი ცივილიზაციის მსოფლიო ისტორიული პროცესები ისე წარიმართა, რომ საქართველო მსოფლიო საზოგადოებრიობამ არგონავტების ბერძნული მითით იცის, ოქროს საწმისითა და ევრიპიდეს გამოგონილი და შექმნილი კოლხეთის მეფის ასულის, მედეას ისტორიით....ოქროს საწმისით საქართველო დამპყრობელთა სამიზნედ იყო ქცეული, როგორც ოქროს საბადოების ქვეყანა... „ვარდების რევოლუციის შემდეგ", რევოლუციის დამფინანსებელმა, ბატონმა ჯორჯ სოროსმა, როგორც ცნობილია, საზღაურად ბიზნეს – რევოლუციისა, პირველ რიგში საქართველოს ოქროს საბადოები მოითხოვა რევოლუციით მოყვანილი ხელისუფლებისაგან. „ვარდების რევოლუციით" მოყვანილი ხელისუფლების შემდგომი ხელისუფლების მოყვანით კი „საყდრისი" აგვიფეთქა, მსოფლიო ცივილიზაციის უმნიშვნელოვანესი საუნჯე, ამსახველი და მადასტურებელი რამდენიმე ათასეული წლის ისტორიის მფლობელობისა საქართველოში, ოქროს საბადოების ტექნოლოგიური ცოდნის... მსოფლიოში გაფანტულ ებრაელთაგან კი მსოფლიომ გაიგო ერთი რამ, რომ საქართველო არის ერთადერთი ქვეყანა, სადაც არასოდეს ყოფილა ებრაელთა დევნა... სითბო, სიყვარული და თანადგომა არასოდეს დაუკლიათ ქართველებს 26 საუკუნის განმავლობაში საქართველოში შემოხიზნული ებრაელებისათვის...

საქართველო ნამდვილად არის მფლობელი ღვთით მიმადლებული მიწა-წყლისა, მაგრამ საქართველო არ გახლავთ მხოლოდ ოქროს საბადოების ქვეყანა თავისი მიწის წიაღში... არც მხოლოდ საბერძნეთიდან მოლაშქრე არგონავტების თავდასხმის სამიზნედ გაცნობიერებული ქვეყანა, კოლხური ვარსკვლავთმრიცხველურ-მაგიური სიბრძნის საბერძნეთში გადასაზიდად, თვით უდიდესი ხელდასხმულის ორფეოსის თანხლებით... ეს შუმერებისა და ქალდეველების მოდგმის ერი, ქართველი ერი, რომლის ისტორიაც ლამის კაცობრიობის ისტორიას უტოლდება,

ათასწლეულების განმავლობაში ამაოდ როდი იღწვოდა თავისი არსებობისათვის. თავისი არსებობის ამ ათასწლეულებში აწრთობდა იგი საკუთარი ეროვნული ცხოვრების ადათებსა და წესებს, ხვეწდა და ჰქმნიდა საკუთარი ეროვნულ-ზნეობრივი თვითმყოფადობის სამყაროს. ქართული ზნეობრივი ყოფიერება ეს გახლავთ ადამიანური ურთიერთობების სრულიად უნიკალური კაცობრიული ნაკრძალი, ზნეობრივი მარგალიტებით და ზნეობრივი ოქროს საბადოებით სავსე ულრმესი წიაღი, რომლის თვითმყოფადობას კაცობრიობის სულიერი სიმაღლისა და სიმდიდრის მნიშვნელობა აქვს. ამ თვითმყოფადობის გაფრთხილებას საკაცობრიო ძალისხმევა ესაჭიროება... მსოფლიოს ახალი წესრიგის დამამყარებელი მორალისტების სახით კი, ჩვენს ხედვაში, საქართველოს შემოესივნენ არა ადრეული საუკუნეების მონღოლები, ან არაბები, ან თურქები, რომელთა უღელსაც ჩვენ საუკუნეების განმავლობაში ვიხდიდით, არამედ გაურკვეველი ჯიშის ზნეობრივი ბარბაროსები და ჩვენი ღვთით ბოძებული ქვეყნის მძარცველები.

მე-19-ე საუკუნეში, საქართველოს ნაზიარები ინგლისელი ქართველოლოგი, ძმა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის" ინგლისურ ენაზე მთარგმნელი ქალბატონისა, მარჯორი უორდროპის, ბატონი ოლივერ უორდროპი წერდა: – მთავარი სიმდიდრე საქართველოში ეს ქართველი ხალხია-ო. ეს გახლავთო ხალხი, რომელთა შორის ცხოვრებით შესაძლოა ადამიანი განიკურნოსო კაცთმოძულეობისაგან. და იქვე დასძენს ბატონი ოლივერი, ავტორი „საქართველოს სამეფოს" ისტორიისა, ძალიან მნიშვნელოვან ხარვეზს ამ ხალხის ცხოვრებისას: ამ დიდებულ ხალხს ჯერ კიდევ არა აქვსო დაწერილი თავისი ისტორია, ისე, როგორც ეს ჩვენ გვესმისო, [ევროპელებს]. მართალია ბატონი ოლივერ უორდროპი! ქართველი ერის ნამდვილი ისტორია დღესაც არ არის აღწერილი, მიუხედავად იმისა რომ მეოცე საუკუნის დიდმა ისტორიკოსებმა სრულიად ახალ და მაღალ დონეზე აიყვანეს ბატონი ურდროპისათვის ცნობილი ქართული ისტორიოგრაფია მე-12 საუკუნისა. მთელი თავისი ენერგია, როგორც ჩანს, ქართველ ერს თავდამსხმელი დამპყრობლებისაგან მუდმივი მოგერიებისა და თავისი არსებობის შენარჩუნებისთვის სჭირდებოდა, ბარბაროსული მსოფლიო ისტორიის პროცესებში. თუმცა ყოველივე ამას მრავალი სულ სხვაგვარი ახსნის საფუძველიც აქვს. ბ-ნი ოლივერ უორდროპის ამ გულისტკივილით ნათქვამის წინასწარ განმარტებად გვესახება, ადრეულ ქრისტიანულ საუკუნეებში, ქართულ სამონასტრო სივრცეში, ქართული ენის ეზოთერული განსაზღვრების სახით, აღსარებად გაცხადებული ვინაობა ქართველი ერისა: „ყოველი საიდუმლოი ამას ენასა შინა დაფარულ არს"-ო. ეს გახლავთ სტრიქონი ესოტერული საგალობლისა ქართული ენის შესახებ: „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი", რომელიც გერმანელმა მეცნიერმა, ბატონმა ტიშენდორფმა, ბიბლიის სრულყოფილი ტექსტის მაძიებელმა, შემთხვევით იპოვა, სინას მთაზე, მე-19-ე საუკუნეში, და ფრანგ ქართველოლოგს, მარი ბროსეს გადასცა შესასწავლად და გამოსაქვეყნებლად. მაგრამ ამ გამოქვეყნებას ქართველი ერის ვინაობის დიდი გაცნობიერება და ინტერესი არ მოჰყოლია.

საგალობლის უცნობი ავტორი „ყოველ საიდუმლოში" კაცთა მოდგმის საიდუმლოთ გულისხმობდა და ქართულ ენას მეორედ მოსული უფლის სალაპარაკო ენად წინასწარმეტყველებდა...

ევროპის ფილოსოფიური აზროვნების ფუძემდებელი გვიწერს, რომ იდეალური სახელმწიფოს მმართველი იდეალური ადამიანი უნდა იყოს. შემთხვევითი არ არის, რომ საქართველოში, სწორედ ქართველი ერის ოქროს ხანაში, მეთორმეტე საუკუნეში შეიქმნა ქართველთა წმინდა წიგნად აღიარებული და ქართველთა „ბიბლიად" წოდებული რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი". იგი შეიქმნა საქართველოს სამეფოს იდეალური სახელმწიფოებრივ-ზნეობრივი მმართველობის ეპოქაში, როდესაც თავად მმართველი ქვეყნისა, მეფე-ქალი, დიდი თამარი, გაღმერთებული თავისი ხალხის მიერ, თავად იყო შთაგონება და მუზა ქართველთა „ბიბლიად" წოდებული წიგნის ავტორისა. კაცობრიობას სჭირდება ეს ახალი წმინდა წიგნი. ეს წიგნი ქრისტიანული ეპოქის ზნეობრივ – სიბრძნისმეტყველებითი გამოცხადება და კაცობრიული ამონამღერია ქართულ ენაზე, საგალობელია ზნეობრივი კაცობრიობისა. ეს გახლავთ დოქტრინა კაცობრიობისა და მოყვასის სიყვარულის, რომელიც საფუძვლად უდევს სახელმწიფოს და სახელმწიფო მმართველის, სამეფოს და მეფის ზნეობრივ სამართალსა და იდეოლოგიას, ანუ სახელმწიფოს ზნეობრივ მმართველობას.

ძვირფასო ბატონო პრეზიდენტო ამერიკის შეერთებული შტატების!

როგორც უკვე შევნიშნე, თქვენ მობრძანდით მსოფლიოს ერთ-ერთი დიდი ზე სახელმწიფოს მართვის საჭესთან პლანეტის უდიდესი პოლიტიკური განსაცდელის ჟამს. ეს განსაცდელი უწინარეს ყოვლისა ადამიანური ზნეობრიობის სახელმწიფოებრივ გაგებასთან არის დაკავშირებული, რომელმაც საბოლოოდ უნდა განსაზღვროს ჩვენი დედამიწისა და კაცობრიობის სიცოცხლის მომავალიც.

თქვენ, თქვენი ახალი სახელმწიფოებრივი ხედვით, ახალი მსოფლმხედველობით, კაცობრიობის სიძულვილის პოლიტიკას დაუპირისპირდით და ცვლით კაცობრიობის სიყვარულის ქრისტიანული პოლიტიკით. თქვენ, თქვენი საინაუგურაციო სიტყვით, თქვენი ახალი მსოფლმხედველობით, კაცობრიობას, მსოფლიო საზოგადოებრიობას, უთხარით ახალი ზესახელმწიფოებრივი სიტყვა, რომელიც თქვენამდელი, დონალდ ტრამპამდელი მსოფლიო პოლიტიკის გაკეთილშობილებას ითხოვს. ამერიკის შეერთებული შტატები ისედაც წარმოადგენს ერთსახელმწიფოებრიობაში მოქცეულ პატარა მსოფლიოს. ამერიკის შეერთებული შტატების სახით, ჩვენ ვუკავშირდებით კაცობრიობის ისტორიის შედეგად, **ბუნებრივად ალმოცენებულ,** ერთსახელმწიფოდ ქცეულ პატარა მსოფლიოსაც და ამერიკელ ერსაც. ჩვენ, ქართველ ხალხს, მოყვასისა და მთელი კაცობრიობის მოყვარულ ხალხს, რომლის ზნეობრივი პრინციპები და ეროვნული სინდისი ერთიანდება ქრისტეს მოძღვრებაში, ხიდად თქვენი ახალი მსოფლმხედველობის ამერიკასთან, გვჭირდება არა მასონურ-სიონისტური კავშირი, არამედ ახალი, შესაფერისი და შესაბამისი კავშირი და მაკავშირებელი. ჩვენ თქვენთან, ანუ ამერიკის შეერთებულ შტატებთან ერთად უნდა გავნთავისუფლდეთ მსოფლიოს ე.წ. ახალი წესრიგის ავანტიურისტული აზროვნებისაგან.

საოცარია, და მიჭირს გადავიტანო სიტყვა და ხაზგასმით არ შევნიშნო, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ბიოლოგიური იარაღის შექმნის სახელმწიფოებრივი მისწრაფება მოწინააღმდეგის განადგურების მეთოდებზე, (რა თქმა უნდა,

დონალდ ტრამპამდელ ამერიკას ვგულისხმობთ!), მეტყველებს აგრეთვე თავად ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფოებრივი აზროვნების თქვენთვის მიუღებელ პრინციპებზე და მიუღებელ სახელმწიფოებრივ ბუნება-ხასიათზე, რომელსაც ჰქმნის არა „ჯეფრი სილვერმანი", არამედ „ჯორჯ სოროსი", რომლისათვისაც ომებიც, რევოლუციებიც, და ადამიანების განადგურებაც, ეს ბიზნესია და სიკვდილიც ფული ღირს! ბიოლოგიური იარაღი მასობრივი განადგურების ყველაზე იაფი საშუალება ყოფილა! ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში დაგეგმილი ერთერთი სცენარით, „625 ათასი ადამიანის განადგურების შემთხვევაში, თურმე თითოეულის სიკვდილი პენტაგონს 29 ცენტი უჯდებოდა, ხოლო თუ მსხვერპლის რაოდენობა 10-ჯერ ნაკლები იქნებოდა, თითოეული სიცოცხლის ღირებულება 2,86 დოლარს აღწევდა" – ეს ფრაგმენტი ჟურნალისტს ამოღებული აქვს ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტროს 1981 წლის ნაწილობრივ გასაჯაროებული მოხსენებიდან (მით. გაზ.).

ისრაელი და მისი მასონურ-სიონისტური მსოფლიო მოძრაობა. წარმოიდგინეთ, რა დღეში უნდა იყოს ჩვენი ეკლესია, რომელიც 27 წელია კონკორდაციულ თანამშრომლობაში იმყოფება ჩვენს ხელისუფლებასთან. ამ „კონკორდაციულობას" ოფიციალურად მოეწერა ხელი 2002 წელს, როგორც საკონსტიტუციო შეთანხმებას საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლებასა და ეკლესიას შორის, საქართველოს ძველ სამეუფო ქალაქში, მცხეთაში მდებარე სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში, სადაც ქართველი ხალხის უმთავრესი ქრისტიანული სიწმინდეა დაკრძალული: ჯვარცმული იესო ქრისტეს საუფლო კვართი, იერუსალიმიდან ჩამოტანილი მცხეთას, მცხეთელი ქალდეველი მოგვების მიერ.

რა თქმა უნდა, თქვენი ძალზედ საინტერესო და თქვენი ქვეყნისათვის უჩვეულო იდეა ეკლესიის უფლებების გაფართოვებისა პოლიტიკაში, როგორიც არ უნდა იყოს შინაარსი თქვენი დაინტერესებისა, ჩვენი ქვეყნისათვის, სადღეისოდ, არსებული ხელისუფლების ზეობაში, ერთგვარად საფრთხილო იდეაა. ამიტომ, როდესაც თქვენ თქვენი საპრეზიდენტო მრწამსის მთავარ მოწოდებად ბრძანებთ: „ამერიკა უპირველეს ყოვლისა!" და, ვფიქრობთ, პირველ რიგში, ამერიკაშივე გულისხმობთ უპირატესობას ამერიკის ეროვნული მეობისას, ჩვენთვის მთლად ნათელი არ არის თქვენი მიმართება: ვისთან და რასთან მიმართებაში იგულისხმება ეს უპირველესობა, რადგან აქ მარტო საკუთარი ქვეყნის სიყვარულში არ არის საქმე! შესაძლოა, ვცდებით, მაგრამ ძალაუნებურად ჩვენს ცნობიერებაში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მანქანის ებრაულ-ნეოკონური მმართველობა იწყებს ამოტივტივებას: ანუ მიზნობრიობა საკუთრივ ამერიკის სახელმწიფოებრივი მეობისა და ინტერესების პოლიტიკის.

ამერიკის სახელმწიფოებრივ სისტემაში „ – ყველაზე საპასუხისმგებლო პირთა მოადგილეებად, დამხმარეებად თუ თანაშემწეებად და მრჩევლებად რომ ძირითადად ე ბ რ ა ე ლ ი ი ნ ტ ე ლ ე ქ ტ უ ა ლ ე ბ ი, ე. წ. ნ ე ო კ ო ნ ე ბ ი არიან ჩართულნი და, როგორც პატივცემული პროფესორი აკბარ ტურსონი ბრძანებს, არავითარ ანგარიშს არ უწევენ საკუთრივ ამერიკის ინტერესებს და ქმნიან საკუთარი ინტერესების ნეოკონურ-ამერიკულ პოლიტიკას", ძალაუნებურად ჩნდება ინტერესი და მოთხოვნა საკუთრივ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფოებრივი ინდივიდუალობის.

თქვენი ახალი მსოფლმხედველობრივი პოზიციები, ჩვენს ხედვაში, თავიანთი მაღალი ეთიკურ-პოლიტიკური კულტურით ფუნდამენტურად ცვლიან უეროვნებო კაცობრიობის სიონისტურ იდეას და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენ გვიბრუნებენ უფლებას საკუთარ ქვეყანაში, პირველ რიგში დავიცვათ ჩვენი ეროვნული უფლებები და ინტერესები. ეს კი რეალურად ნიშნავს იმას, რომ ჩვენი, ანუ საქართველოს სახელმწიფო ჩადგეს, პირველ რიგში, თავისი ხალხის, ანუ ქართველი ერის სამსახურში. ამისათვის კი ჩვენ უნდა დავიბრუნოთ ის ელემენტარული, ღვთით ბოძებული და ღვთით დადგენილი უფლება ერად ყოფნის, რომელიც „სამოქალაქო საზოგადოების" მზაკვრული „მოძღვრებით" წაგვერთვა მსოფლიოს ახალი წესრიგის თეორეტიკოსების მიერ. ეს სიონისტური თეორია, რომელიც ტოლერანტიზმის იდეის სპეკულაციაზე, ანუ გაყალბებაზეა დაშენებული, მთელ დედამიწაზე ხორციელდება, როგორც ნებისმიერი ქვეყნის ერთი ერის სამშობლოს

გარდასახვა მსოფლიოს ყველა ხალხების სამშობლოდ. ეს სახელმწიფო იდეოლოგიებად გაფორმებული და დაკანონებული სამშობლოების ნგრევა გახლავთ კანონმდებლობით მიღწეული და დაშვებული უფლებამოსილება სხვათა კუთვნილი ისტორიული ტერიტორიების დაყაჩაღებისა და მითვისებისა ადამიანისათვის მინიჭებული კერძო საკუთრების უფლებითა და ფულის გადახდის, ანუ სამშობლოს ყიდვის ფორმით. ასე რომ მსოფლიოს სიონისტურმა მოძრაობამ, რომელმაც თავისი ორიათასი წლის დაკარგული ისტორიული სამშობლოს დაბრუნებისათვის მსოფლიო შექრა, თავისი შემოთავაზებული ე.წ. „მსოფლიოს ახალი წესრიგითა" და ერების „სამოქალაქო საზოგადოებებად" გარდასახვით მთელ კაცობრიობას, ანუ მთელი მსოფლიოს ხალხებს მოუწყო სამშობლოების ყიდვა-გაყიდვის ბაზარი.

თქვენი განაცხადით, რომ მსოფლიოს ხალხებთან მეგობრობის პოლიტიკაში თქვენ არა გაქვთ სურვილი ამერიკული ცხოვრების გზა მოახვიოთ თავს სხვა ქვეყნებსაც, თქვენ ჩამოხსენით ნეოკონურ-ამერიკული ტანსაცმელი ჯორჯ სოროსის სამოქალაქო საზოგადოების დამპყრობლურ თეორიასაც, რადგან მსოფლიოს საზოგადოებრივ ცნობიერებაში სიონისტური „სამოქალაქო საზოგადოების" მოდელი ამერიკულ მოდელად არის გააზრებული და გასაღებული. ამიტომ ბუნებრივია, ისმის კითხვა: რას ემსახურება მთელი ამ „სამოქალაქო საზოგადოების" მოდელის დანერგვა მსოფლიოში, მოდელის, რომელიც ჯორჯ სოროსის აზრით, საერთოდ დემოკრატიაზედაც, და ე. ი. ამერიკულ დემოკრატიაზედაც მაღლა დგას?! პირდაპირ ვუპასუხოთ: კაბალისტურ მიზანს – ერთი ერისა და ყველა დანარჩენი ხალხების მსოფლიო იმპერიის შექმნას. მოვუსმინოთ ცნობილ კაბალისტს, მიხეილ ლაიტმანს, როგორ განგვიმარტავს ებრაელთა წმინდა წიგნის „თორას" სულისკვეთებასა და მის არსობრივ ამოკითხვას: „სწრაფვას შემოქმედი ღმერთისაკენ" ჰქვია „ისრაელი", „სწრაფვას თვითკმაყოფილებისაკენ" ჰქვია „მსოფლიოს ხალხები" (მ. ლაიტმანი, „ზოჰარის წიგნი. კაბბალა. საიდუმლო მოძღვრება", მ. 2003 წ. გვ. 190). კაცობრიული გონიერებით მიჩნეულია, რომ ხალხებს, რომელთაც არა აქვთ ღმერთისაკენ სწრაფვა და ტრფობა, ისინი ცხოველურ მასებად აღიქმებიან. შესაძლოა ამიტომ ურჩევს მოსე წინასწარმეტყველი თავის რჩეულ ერს, რომ ლეში, ანუ დროგადაცდენილი ხორცი არ შეიძლება მიირთვას ებრაელმა, რადგან ის წმინდა ერია უფლისათვის. გაფუჭებული ხორცი ებრაელმა უნდა მისცესო მდგმურს, თუნდაც მისსავე სახლში მცხოვრებს, ან მიჰყიდოსო უცხოელს (იხ. ბიბლია, 2 რჯ. 14,21).

ჩვენ, ქართველ ხალხს, რომელსაც არავისგან არ ესწავლება ტოლერანტობა, როგორც ბუნებით ტოლერანტსა და ბუნებით ქრისტიანს, და მითუმეტეს, არ ესწავლება არც ჯორჯ სოროსის რასისტულ-სიონისტური აზროვნებისაგან, გვჭირდება თქვენი თანადგომა მსოფლიოს ახალი წესრიგის, ფსიქოლოგიური, ფილოსოფიურ-მსოფლმხედველობრივი და საკუთრივ ეთიკური საფუძვლების აკადემიური შეფასებისათვის, მისი ანალიტიკური სურათის შექმნისათვის და მსოფლიო საზოგადოებრიობის გონივრული აზრის ჩამოყალიბებისათვის დღევანდელი მსოფლიო წესრიგის მიმართ, მისი გადაუდებელი და დაჩქარებული რიტმით მოწესრიგებისათვის. თქვენი საპრეზიდენტო მრწამსის გაცხადებით, თქვენ მოგვეცით უფლება თანადგომა გთხოვოთ ქართველი ხალხის სახელით, როგორც პარტნიორი ქვეყნის

პირველ პირს, რომ მხარი დაგვიჭიროთ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში აღიძრას საკითხი კაცობრიობის შემადგენელი ერების სამოქალაქო საზოგადოებებად გარდაქმნის მსოფლიო პოლიტიკის შეფასებისათვის, როგორც პლანეტის ღვთიური წესრიგის საწინააღმდეგო ქმედების.

ჯორჯ სოროსის მიერ გამოგონილი „ღია სამოქალაქო საზოგადოების" თეორია, ერების მკვლელობის თეორიაა. არავისთვის არ უნდა იყოს სადაო და საკამათო, რომ ერები ღვთით დაწესებული ერთობებია ამა თუ იმ ხალხისა. ცნობილია ისიც, რომ ყოველ ერს თავისი ღვთით ბოძებული მისია აქვს. ეს მისიები და მათი ეროვნული სულისკვეთებანი ქმნიან დედამიწის სულიერ აურას, რომელიც სასიცოცხლო ჰარმონიაშია თავის კოსმიურ ველთან. როდესაც მსოფლიოს ახალი წესრიგის იდეოლოგიით უეროვნებო კაცობრიობის შექმნისაკენ მიაქანებს დღევანდელი მსოფლიოს „ღია სამოქალაქო საზოდოების" სიონისტური მოძღვრება, ის ანგრევს ღვთით ბოძებულ მისიებსაც კაცობრიობის არსებობაში და თავად ამ მისიების მომნიჭებელი ძალისადმი წინ აღდგომით, ებრძვის და ეტოქება ამ მისიების მომნიჭებელ ძალასაც. ამგვარ სულისკვეთებას აღიარებულად სატანური სულისკვეთება ჰქვია. ჯორჯ სოროსის ღია სამოქალაქო საზოგადოების თეორიაში, პირველ რიგში ჩადებულია ამოცანა, ეროვნული ტერიტორიების ისტორიულად მესაკუთრე სუბიექტების მოსპობისა, ანუ ისტორიულად მესაკუთრე ერების უფლებამოსილების ჩანაცვლებისა ყველა ჯურისა და წარმომავლობის მქონე ხალხით: ე. წ. მსოფლიოს წარმომადგენელი ხალხების ახალ-ახალი მოქალაქეებით და საბოლოო შედეგად ვიღებთ მეპატრონის – ისტორიული ერის გათქვეფას საკუთარ მიწაზე მსოფლიოს ხალხებში და ამ გზით თვითლიკვიდაციას ერისას; ამ პრინციპით, საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს ებრაულ-სიონისტური ორიენტირების მატარებელი ხელისუფლება, რომელიც მოგვევლინა ჩანაცვლებულად საქართველოს ეროვნულ ხელისუფლებაში, წარმოგვიდგა, მეპატრონე-კანონმდებლადაც ქართველი ერის კუთვნილი ისტორიული მიწა-წყლის პატრონობაში, წარმოგვიდგა ჩვენი, ქარველი ერის წინაპართა სისხლით გაჟღენთილი ქართული მიწის, როგორც უძრავი ქონების ბაზარზე ყიდვა-გაყიდვის კანონების დამდგენად და ამ კანონების განმახორციელებლად, რის შედეგადაც მივიღეთ საქართველოს ტერიტორიის ნაკუწ-ნაკუწ დაჭრა, ზოგის – ოკუპაციის სასარგებლოდ, ზოგის – ინვესტიციების, ზოგის – მავანთა და მავანთა კერძო საკუთრებაში გადაბარგებისა სამუდამოდ. საქართველოს დღევანდელი, მასონურ-სიონისტური ინტერესების მატარებელი ხელისუფლება არ შეიძლება იყოს ქართველი ერის ისტორიულად კუთვნილი მიწის მეპატრონე, განმგებელი და გაყიდვების წესისა და კანონების დამდგენი. ჯორჯ სოროსის თეორია ერის გარდაქმნისა სამოქალაქო საზოგადოებად, მისი აღიარება ქართული დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის იდეოლოგიად უნდა შეფასდეს, როგორც აღიარება საქართველოს სახელმწიფოებრივი პოლიტიკის დანაშაულებრივი იდეოლოგიურ-თეორიული საფუძვლისა, გამიზნული ქვეყნის დაყაჩაღებისა და ერების მოსპობისათვის. ეს გახლავთ სახეობა მკვლელობისა, რომელიც უნდა დაექვემდებაროს დასჯას კანონით: ერის მკვლელობის განზრახვისათვის, და სხვათა კუთვნილი ისტორიული ქონების მიტაცებისათვის.

ბატონო პრეზიდენტო!

მოგვეცით უფლება, ვიცოცხლოთ და ჩვენი სიცოცხლე, ანუ ის, რაც მთავარია, ჩვენი ცხოვრების გზა წარვმართოთ იმ ღვთითბოძებული ჭეშმარიტებით, როგორც ეს ჩვენ, ქართველ ერს, ათასწლეულებგამოვლილი ცივილიზაციების შემოქმედ ხალხს გვესმის და გვწამს. მხოლოდ სამართლიანი და ჭეშმარიტების მწყურვალი კაცობრიობა შესძლებს კაცობრიობის მიერ ჩადენილი უსამართლობითა და უგუნურებით დასნეულებული ჩვენი დედამიწის განკურნებას სნეულებათაგან.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგამარჯვებინოთ თქვენი ქვეყნისა და კაცობრიობის სამსახურში!

მოკრძალებით, უდიდესი გულშემატკივრობით და იმედით, რომ მომიტევებთ სრულიად გულწრფელობას.

**დენიზა სუმბაძე,**

ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საზოგადოებრივი გაერთიანების: „თბილისის უნივერსიტეტის ასამბლეის“ „ეროვნული პრობლემების ანალიტიკური დარბაზის ხელმძღვანელი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არეოპაგიტული სამეცნიერო ცენტრისა და ნიუ იორკის ქართველოლოგიური ცენტრის: „ბიბლია და საქართველოს“ დამფუძნებელი და ხელმძღვანელი.

2017-2018 წწ.



**დონალდ ტრამპი:**

**„ჩვენ განვკურნავთ დედამიწას სნეულებათაგან“**

ღია წერილი მის აღმატებულებას,
ამერიკის შეერთებული შტატების
პრეზიდენტს, ბატონ დონალდ ტრამპს

**ბატონო პრეზიდენტო,**

მოგესალმებით შორეული საქართველოდან თქვენდამი სრულიადი კეთილგანწყობითა და საუკეთესო სურვილებით, თქვენი პიროვნებისადმი, თქვენი ოჯახისადმი და თქვენი ქვეყნისადმი.

მინდა გითხრათ, რომ წელიწადზე მეტია, მე თქვენი საინაუგურაციო სიტყვის შთაბეჭდილების ქვეშ ვარ და ეს წერილიც ამ შთაბეჭდილების გავლენით იწერება.

**ბატონო პრეზიდენტო!**

თქვენ ბრძანდებით დღეს პირველი პირი და წარმმართველი ისეთი ქვეყნისა, რომლის სახელმწიფოებრივი აზროვნებაც და პოლიტიკური კურსიც, პირდაპირ თუ ირიბად, გარკვეულ გავლენას ახდენს მთელი კაცობრიობის ცხოვრებაზე. უფრო მეტიც, თქვენ მობრძანდით აშშ-ის სახელმწიფო მმართველობის საჭესთან მთელი კაცობრიობის უდიდესი პოლიტიკური განსაცდელის ჟამს, როდესაც ჩვენი პლანეტარული სივრცე მოცულია უჩინარი ძალების მიერ მართული ე.წ. „მსოფლიოს ახალი წესრიგის“ სრულიად გაურკვეველი ორიენტაციით, და ამავდროულად, რაც არც ისე იოლია ხმამაღლა სათქმელად, რეალური საშიშროებით, მთელი პლანეტარული სიცოცხლის დასასრულის...

მსოფლიო მეცნიერებამ მეოცე საუკუნე აღიარა განგაშის საუკუნედ, ხოლო 21-ე საუკუნეში, კაცობრიობის სახლი, ჩვენი პლანეტა — დედამიწა, ფაქტობრივად, ერთდროულად აღმოჩნდა ჩაძირული პოლიტიკური და ეკოლოგიური კატასტროფის საშიშროებაში.

ჩვენ მეორე მსოფლიო ომისშემდგომი კაცობრიობა ვართ, მეორე მსოფლიო ომისშემდგომი ცნობიერების მატარებელი ადამიანებისაგან შემდგარი, იმ მეორე მსოფლიო ომის, რომელიც წარმოადგენს ევროპის შუაგულში აღმოცენებული ეროვ-

ნულ-ეგოცენტრული სულისკვეთებით ზეანთებული და მსოფლიო ბატონობის ვნებით შეპყრობილი სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის დაპირისპირების შედეგს, ამავე მიზნის მატარებელ იმ პოტენციურ პრეტენდენტებთან, რომელთაგანაც ერთი, ხალხთან თანასწორობისა და მეგობრობის იდეოლოგიით უკვე დამკვიდრებული, ისტორიულად უპრეცედენტო ზესახელწმიფო გახლდათ, ევროპელი უტოპისტების ეკონომიკური იდეალისაკენ გადახრილი, ხოლო მეორე, მეორე მსოფლიო ომში გერმანელთაგან წამებული, საკუთარი წმინდა წერილიდან ამოსვლით, მსოფლიო მოძრაობად გარდასახული, ყველა ხალხზე ალმატებულისა და რჩეული ერის პრეტენზიით, მსოფლიო იმპერიის შექმნისკენ იყო უკვე მიმართული.

1975 წლის „ჰელსინკის დეკლარაციით" შთაგონებული მსოფლიოს ახალი წესრიგით, რომელმაც საბჭოთა კავშირში შემავალ ხალხებთან ერთად ჩვენი, ქართული მონოლითური ეროვნული მოძრაობის ამოხეთქვასაც დაუდო სათავე, მოძრაობის, რომელიც ეროვნული თვითმყოფადობის სრულყოფას დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის გზით ისახავდა მიზნად, უკვე 90-იან წლებში, მიაღწია კიდევაც მიზანს – საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებთან ერთად, ჩვენ, ქართველმა ხალხმაც, როგორც ჰელსინკის დეკლარაციის მხარდამჭერ მოძრაობაში ჩართულმა საბჭოთა კავშირის ერთ-ერთმა რესპუბლიკამ, ჩვენც მოვიპოვეთ დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა საბჭოთა კავშირიდან გამოსვლით, მაგრამ „ჰელსინკის დეკლარაცია", რომელშიც ადამიანის უფლებათა დაცვასთან ერთად ხალხების ინდივიდუალური ერთობების, ანუ ერების უფლებათა, ღირსებათა და თავისებურებათა დაცვაც იყო წარმოდგენილი, ელვისებური სისწრაფით იქნა ჩანაცვლებული ჯორჯ სოროსის სიონისტური, ჰელსინკის დეკლარაციის სრულიად ალტერნატიული „სამოქალაქო საზოგადოების" ვერაგული თეორიით, რამაც საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფო პოლიტიკა შეცვალა სრულიად ახალი და ქართველი ხალხის მიერ გაუცნობიერებელი მიმართულებით. უფრო ზუსტად, აღმოჩნდა, რომ „ჰელსინკის დეკლარაციამ" საბჭოთა კავშირიდან ჩვენი გამოყოფის შემდეგ თავისი ფუნქცია დაასრულა და ჩანაცვლებული იქნა უკვე ახალი „დეკლარაციით", რომელიც „ერების" „სამოქალაქო საზოგადოებებად" გარდაქმნის აპოლოგიით, მსოფლიოს ახალი წესრიგის იდეოლოგიად აკანონებდა ერების თვითლიკვიდაციასა და უეროვნებო მსოფლიოს შექმნას. აღმოჩნდა, რომ ჩვენი ხალხის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი მონოლითური ეროვნული მოძრაობის შედეგად, საქართველოში მივიღეთ არა ჩვენი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, არა ჩვენი ეროვნული თვითმყოფადობის განვითარება და ახალ ხარისხში აყვანა, არამედ ჩვენი ეროვნული არსებობისა და ვინაობის ნგრევა, ყველა მიმართულებით: პირველ რიგში კი ჩვენი დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფოებრივი მანქანის საჭეთმპყრობელობის მიმართულებით, ანუ სახელმწიფო მანქანის მართვის, ჩვენი მონოლითური ეროვნული მოძრაობით მოპოვებული „დამოუკიდებელი და თავისუფალი", ამასთან, სრულიად დაუცველი სახელმწიფო მანქანის საჭე, მსოფლიოს სიონისტური ძალების მხარდაჭერით, ხელთ იგდო მსოფლიოში ცნობილი ბილდერბერგის მასონური კლუბის ანალოგი ლოჟის: „მაგისტერიუმის" ერთ-ერთ პატრიარქად აღიარებულმა ედუარდ შევარდნაძემ და საქართველოს სახელმწიფო ხომალდი წარმართა ჯორჯ სოროსის „სამოქალაქო საზოგადოებაზე" დამყარებული „მოქალაქეთა კავშირით", ანუ ქართველი ერის „სამოქალაქო საზოგადოებად" გარდასახვის იდეოლოგიით. ედუარდ შევარდნაძემ ეროვნული მოძრაობის იდეოლოგიური მიმართულება შეცვალა 180 გრადუსით და ქვეყნის სახელმწიფოებრივი აზროვნება გადაიყვანა ეროვნული თვითლიკვიდაციის პოლიტიკურ კურსზე.

ვგრძნობ, ვერ ვთავისუფლდები თქვენი საინაუგურაციო სიტყვის დიდი შთა-

ბეჭდილებისგან, რადგან თქვენ მსოფლიოს ამცნეთ, რომ ახალი მსოფლმხედველობრივი ჩირაღდანი აღმართეთ და ამერიკული თავისუფლების ახალი გაგება წამოსწიეთ წინ, რომლითაც თქვენ მსოფლმხედველობრივად შეცვალეთ ამერიკის მსოფლიო პოლიტიკაც... ამგვარი გარდატეხით, მართალია, არაპირდაპირ, მაგრამ თქვენი ახალი თვალსაზრისებითა და ხედვით, აზრობრივად მაინც შეეხეთ ჩემი ქვეყნის საბედისწეროდ მძიმე განსაცდელში ყოფნის მიზეზებს და ვხედავ, რომ **ჩვენ, ქართველ ხალხს, გვჭირდება თქვენი თვალსაზრისების გამარჯვება, რადგან თქვენამდელი, ანუ დონალდ ტრამპამდელი მსოფლიოს ახალი წესრიგის პრინციპები და მორალურ-იდეოლოგიური თვალსაზრისები, ჩვენს ხედვაში, გადაუდებლად არის შესაფასებელი და შესაცვლელი. რა გზას შეიძლება მივმართოთ ამისათვის?!**

იძულებული ვარ, როგორც მეცნიერმა, თავს ნება მივცე და ამერიკის მეცნიერებისადმი თქვენი წინამორბედი პრეზიდენტის მოწოდებით ვისარგებლო: – “ნებისმიერ სამეცნიერო საზოგადოებას ვანიჭებო დაუბრკოლებელ უფლებას, პირდაპირ ჩაერთოსო სახელმწიფოს პრობლემებში!“ ამ მოწოდებით თქვენმა წინამორბედმა, ერთი მხრივ, სახელმწიფო მართვის შედეგებებზე პასუხისმგებლობა გადაუნაწილა მეცნიერებს, მეორე მხრივ, გარკვეული შესაძლებლობების პიროვნებებს, სახელმწიფოსთვის კრიტიკულ სიტუაციებში, გულგრილობის უფლება წაართვა. არადა, არც თქვენ ბრძანდებით ამ მოწოდების ავტორი და არც მე გახლავართ ამერიკელი მეცნიერი. მაგრამ მადლობა უფალს, რალაც განგებით თუ ბედისწერით, ვარ ნიუ-იორკის ბიბლიის შემსწავლელი ქართველოლოგიური ცენტრის: „ბიბლია და საქართველოს“ დამფუძნებელი და ხელმძღვანელი, ჩემი ქვეყნის დედა- უნივერსიტეტის თეოლოგიური, ეკლესიოლოგიური და ისტორიოსოფიული პრობლემების შემსწავლელი ერთ-ერთი ჩემივე დაფუძნებული სამეცნიერო ცენტრის – არეოპაგიტული სამეცნიერო ცენტრის თეორიულ ბაზაზე დაყრდნობით.

არ მეჩვენება! თქვენ გჭირდებათ ჩვენი სამეცნიერო ცენტრის: „ბიბლია და საქართველოს“ თანადგომა. თქვენ გჭირდებათ ჩვენი თანადგომა თქვენი პოზიციების გამარჯვებისათვის. თქვენ გჭირდებათ და ჩვენ ვალდებული ვართ ხმა მოგაწვდინოთ, რადგან ჩვენ გვჭირდება თქვენი პოზიციების გამარჯვება ჩვენი პოზიციების გამარჯვებისათვისაც და არა მხოლოდ ჩვენი! ჩვენ გვჭირდება თქვენი პოზიციების გამარჯვება ჩვენი დედამიწისა და კაცობრიობის გადარჩენისთვის!... და ამავე დროს ჩვენ, ქართველ ხალხსაც და ნიუ-იორკის ქართველოლოგიურ ცენტრსაც გვჭირდება თქვენი თანადგომა – როგორც ჰაერი! ნიუ-იორკის ქართველოლოგიური ცენტრი, ძირითადად, ეწევა წარმომადგენლობით მუშაობას საქართველოში და მსოფლიოს ახალ წესრიგს განიხილავს მთლიანად კაცობრიობის ბიბლიური ისტორიის კონტექსტში...

წლების წინ მეოცე საუკუნის ერთერთი მნიშვნელოვანი მოაზროვნე, ფილოსოფოსი კარლ იასპერსი წერდა: – როგორიც იქნება ბიბლიის შეფასება ჩვენი თანამედროვეობის მიერ, ისეთი იქნებაო მისი, ჩვენი თანამედროვე კაცობრიობის მომავალიც.

დღევანდელი მსოფლიოს ახალი წესრიგის ანალიზი შეუძლებელია თავად ბიბლიის მორალურ-ფილოსოფიური, ასევე მორალურ-ფსიქოლოგიური ანალიზის გარეშე.

**ბატონო პრეზიდენტო!**

ეს ერთგვარად ვრცელი, ჩვენეული წიაღსვლები, თქვენს საინაუგურაციო სიტყვაში გამოთქმული თქვენი სახელმწიფოებრივი მსოფლმხედველობისა და პრინციპების, თქვენი ახალი ამერიკული აზროვნების საფუძვლიანი აღქმისა და შეფასებისათვის ვიხმე ფონად, იმ პოლიტიკური მრწამსის შეფასებისთვის, რომელიც

თქვენ შესთავაზეთ ამერიკელ ხალხსა და მსოფლიო საზოგადოებრიობას 2017 წლის 20 იანვარს.

ამ დღეს თქვენ ბრძანეთ:

„...ისტორიული მოძრაობა, რომელსაც ჩვენ ვიწყებთ, უპრეცედენტოა და ანალოგი არა აქვს". „მსგავსი მოძრაობა მსოფლიოს არ უნახავს!" „ამ მოძრაობის გულში დევს რწმენა, რომ სახელმწიფოს ფუნქცია საკუთარი ხალხის მსახურებაა". „სახელმწიფო არსებობს იმისათვის, რომ ემსახუროს თავის მოქალაქეებს"...

„ჩვენს ქვეყანაში დედები და შვილები სიღატაკეში ცხოვრობენ... დაჟანგული ქარხნები საფლავის ქვებივით მიმოფანტულან", „ფულით სავსე განათლების სისტემა ახალგაზრდებს ვერ აძლევს ცოდნას". .. „ კრიმინალმა და ნარკოტიკებმა უამრავი სიცოცხლე წაგვართვეს"... ეს შეწყდება აქ და ახლა! დღეიდან ჩვენს ქვეყანას ახალი მსოფლმხედველობა მართავს!"

„ჩვენ მოვიძიებთ მეგობრობას და კეთილ სურვილებს სახელმწიფოებთან და მთელი მსოფლიოს ხალხებთან, მაგრამ ჩვენ ამას გავაკეთებთ იმ გაგებით, რომლითაც ყველა ხალხს აქვს უფლება, პირველ რიგში დააყენოს თავისი საკუთარი ინტერესები! **(It is the right of all nations to put their interests first!)**.

„ჩვენ არ ვეძებთ იმას, რომ ჩვენი ცხოვრების გზა მოვახვიოთ სხვას, მაგრამ ვეცდებით, რომ ჩვენი ცხოვრების გზა ბრწყინავდეს, როგორც მაგალითი".

„ჩვენ გავაერთიანებთ ცივილიზებულ მსოფლიოს რადიკალური ისლამური ტერორიზმის წინააღმდეგ და სრულიად აღვგვით პირისაგან მიწისა!"..

„ჩვენ ახალი ათასწლეულების კარიბჭესთან ვდგავართ. ჩვენ მზად ვართ კოსმოსის საიდუმლოებანი ამოვიცნოთ, დედამიწა განვკურნოთ სნეულებათაგან, მომავლის ენერგია და ტექნოლოგიები ვმართოთ"...

„ჩვენ უნდა გავაფართოოთ ეკლესიის უფლებები პოლიტიკაში!"..

ვერც ერთი ამერიკელი მოძღვარი ვერ გაბედავს საყვედურით შეუძახოს პრეზიდენტ დონალდ ტრამპს, რომ მას ამერიკა ანტიქრისტეს გზით მიჰყავს. თქვენ შემოაბრუნეთ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო ხომალდი ანტიქრისტეს საპირისპირო მიმართულებით და თქვენი პოზიცია და ხედვა თვალნათლივ და ყველას დასანახად გახადეთ ქრისტიანულ-ეკლესიური, ანუ ალტერნატიული ე.წ. „კულტურული რევოლუციისა" ამერიკაში და შემდგომ მსოფლიო სივრცეში. თქვენ დაგმეთ ე.წ. „ისლამური სახელმწიფო", რომელიც ადამიანებს თავებს აჭრის დემონსტრატიულად, მარტო იმიტომ, რომ ისინი ქრისტიანები არიან. თქვენ დაგმეთ მსოფლიო წესრიგის ფორმა, რომელიც ხალხებს ისტორიულ პრიორიტეტს უკარგავს მშობლიურ მიწა-წყალზე და აღიარეთ, რომ ყველა ხალხს აქვს უფლება, თავის ქვეყანაში, პირველ რიგში, დაიცვას თავისი ქვეყნის ინტერესები. თქვენ ამით დაგვიბრუნეთ უფლება ერად ყოფნის, ის, რაც ღმერთმა მოგვცა და სიონისტურმა პოლიტიკამ წაგვართვა მსოფლიოს ახალი წესრიგის სახელით. პასუხისმგებლობას ვგრძნობ გითხრათ, რომ თქვენი ერთ-ერთი განცხადება, რომლითაც მხარს უჭერთ, საერთოდ, ეკლესიის უფლებათა გაფართოებას პოლიტიკაში, ეს სრულიად თანხვედრილია ჩვენი საზოგადოებრივი გაერთიანების – „თბილისის უნივერსიტეტის ასამბლეის" „ეროვნული პრობლემების ანალიტიკური დარბაზის" პოზიციისა, რომელიც ჩვენ საჯაროდ გავიტანეთ და საქართველოს პარლამენტში კანონპროექტის სახით წარვადგინეთ, 2009 წელს, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მოწესრიგებისათვის.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენლობამ საქართველოში, ჯერ კიდევ 2013 წლის ანალიტიკური დასკვნით, წარმოადგინა საქართველოს მოსახლეობის სოციალურად დაუცველი საგანგაშო სურათი: 70%-ზე მეტი მოსახლეობისა

არის მოწყვლადი, ანუ ბეწვზე ჰკიდია მოსახლეობის ნახევარზე მეტის სიცოცხლე და ქართველმა ხალხმა უნდა გადახედოს-ო თავისი ქვეყნის პოლიტიკას. ამ დროს ჩვენ გვაუწყებენ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს, როგორც ჩვენს პარტნიორ ქვეყანას, საქართველოში, პენტაგონის ბაქტერიოლოგიური ლაბორატორიების დაფინანსება უფრო მეტად აინტერესებს, ვიდრე ქართველი ხალხის სიცოცხლე. უპატრონობის განცდა, რომელიც დღეს უკვე მოთმინებაავსებული ქართველი ხალხის უმძაფრესი და აფეთქებისთვის მზადყოფნის განწყობად აღიქმება, რეალობაა, მაგრამ ამ უპატრონობის შემოქმედსა და გარედან მმართველ ძალას, უკვე 27 წელია არანაირად არ ერქმევა საკუთარი სახელი. ეს არ არის ამერიკის შეერთებული შტატები, ამის მაგალითია ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლების დამოკიდებულება საკუთარი ქვეყნის მეცნიერებისადმი და საერთოდ, განათლებისადმი და მისი სრულიად საპირისპირო პოლიტიკა საქართველოში.

ამ უპატრონობის შემოქმედი და გარე ძალა უკვე კარგა ხანია დაეპატრონა საქართველოს ეკლესიას და მას თავს მოახვია არამეცნიერული და არაკანონიკური, ყოვლად გათავხედებული ვამპირისტული აზრი საქართველოს ისტორიის მზემანათობელ მეფეთა ებრაული წარმომავლობისა. სიონისტური ვნება მსოფლიოს ბატონობისა თვით საქართველოს ქრისტიანული ისტორიის მითვისებასაც კი არ ერიდება.

ამერიკის სახელმწიფოებრივ სისტემაში „– ყველაზე საპასუხისმგებლო პირთა მოადგილეებად, თანაშემწეებად თუ მრჩევლებად, როგორც წესი, – წერს ამერიკელი პროფესორი, აღმოსავლეთმცოდნე, ბატონი **აკბარ ტურსონი,** ძირითადად გვევლინებიან ებრაელი ინტელექტუალები, ე.წ. ნეოკონები, რომლებიც არავითარ ანგარიშს არ უწევენ საკუთრივ ამერიკის ინტერესებს და ქმნიან საკუთარი ინტერესების ნეოკონურ-ამერიკულ პოლიტიკას". მაგალითისათვის ბატონ პროფესორს უმცროსი ჯორჯ ბუში მოჰყავს: იმისათვის, რომ ამ უმცროს ბუშს ნეოკონურ-ამერიკული ინტერესები გაეტარებინა, ამ „უმეცარ და უპატიოსნო კაცს" (აკბარ ტურსონის სიტყვებია!) ნეოკონებმა შეუქმნეს ლამის ღვთით მიმადლებული კაცის ავტორიტეტიო.

**თქვენი მოსაზრებები, თავიანთი მაღალი ეთიკურ-პოლიტიკური კულტურით, ფუნდამენტურად ცვლიან უეროვნებო კაცობრიობის სიონისტურ იდეას და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენ გვიბრუნებენ უფლებას საკუთარ ქვეყანაში, პირველ რიგში, დავიცვათ ჩვენი ეროვნული უფლებები და ინტერესები.** ეს კი, რეალურად, ნიშნავს იმას, რომ ჩვენი, ანუ საქართველოს სახელმწიფო ჩადგეს, თავისი ხალხის, ე.ი. ქართველი ერის სამსახურში. ამისათვის კი ჩვენ უნდა დავიბრუნოთ ის ელემენტარული, ღვთით ბოძებული და ღვთით დადგენილი უფლება ერად ყოფნის, რომელიც „სამოქალაქო საზოგადოების" მზაკვრული „მოძღვრებით" წაგვერთვა მსოფლიოს ახალი წესრიგის თეორეტიკოსების მიერ. ეს სიონისტური თეორია, რომელიც ტოლერანტიზმის იდეის სპეცულაციაზე, ანუ გაყალბებაზეა დაშენებული, მთელ დედამიწაზე ხორციელდება – როგორც ნებისმიერი ქვეყნის ერთი ერის სამშობლოს გარდასახვა მსოფლიოს ყველა ხალხების სამშობლოდ. ეს სახელმწიფო იდეოლოგიებად გაფორმებული და დაკანონებული სამშობლოების ნგრევა გახლავთ კანონმდებლობით მიღწეული და დაშვებული უფლებამოსილება სხვათა კუთვნილი ისტორიული ტერიტორიების დაყაჩაღებისა და მითვისებისა კერძო საკუთრების უფლებითა და ფულის გადახდის ფორმით. ასე რომ, მსოფლიოს სიონისტურმა მოძრაობამ, რომელმაც თავისი ორიათასი წლის დაკარგული ისტორიული სამშობლოს დაბრუნებისათვის მსოფლიო შეძრა, სამაგიეროდ, მთელ კაცობრიობას, ანუ მსოფლიოს ხალხებს, თავისი შემოთავაზებული ე.წ. „ მსოფ-

ლიოს ახალი წესრიგითა“ და ერების სამოქალაქო საზოგადოებებად გარდასახვით, მოუწყო სამშობლოების ყიდვა-გაყიდვის ბაზარი.

თქვენი განაცხადით, რომ მსოფლიოს ხალხებთან მეგობრობის პოლიტიკაში თქვენ არა გაქვთ სურვილი ამერიკული ცხოვრების გზა მოახვიოთ თავს სხვა ქვეყნებსაც, თქვენ ჩამოხსენით ნეოკონურ-ამერიკული ნიღაბი ჯორჯ სოროსის სამოქალაქო საზოგადოების დამპყრობლურ თეორიასაც, რადგან მსოფლიოს საზოგადოებრივ ცნობიერებაში, სიონისტური „სამოქალაქო საზოგადოების“ მოდელი ამერიკულ მოდელად არის გასაღებული. ამიტომ, ბუნებრივია, ისმის კითხვა: რას ემსახურება მთელი ამ „სამოქალაქო საზოგადოების“ მოდელის დანერგვა მსოფლიოში, მოდელის, რომელიც ჯორჯ სოროსის აზრით, საერთოდ დემოკრატიაზეც, და ე.ი. ამერიკულ დემოკრატიაზედაც მაღლა დგას?! პირდაპირ ვუპასუხოთ: კაბალისტურ მიზანს – ერთი ერისა და მის მიერ ყველა დანარჩენი ხალხების მსოფლიო იმპერიის შექმნას.

ჩვენ, ქართველ ხალხს, რომელსაც არავისგან არ ესწავლება ტოლერანტობა, როგორც ბუნებით ტოლერანტსა და ბუნებით ქრისტიანს, და, მით უმეტეს, არ ესწავლება არც ჯორჯ სოროსის რასისტულ-სიონისტური აზროვნებისაგან, გვჭირდება თქვენი თანადგომა მსოფლიოს ახალი წესრიგის, ფსიქოლოგიური, ფილოსოფიურ-მსოფლმხედველობრივი და საკუთრივ ეთიკური საფუძვლების აკადემიური, ანალიტიკური სურათის შექმნისათვის და მსოფლიო საზოგადოებრიობის გონივრული აზრის ჩამოყალიბებისათვის დღევანდელი მსოფლიო წესრიგის მიმართ, მისი გადაუდებელი და დაჩქარებული რიტმით მოწესრიგებისათვის.

თქვენი საპრეზიდენტო მრწამსის გაცხადებით, თქვენ მოგვეცით უფლება თანადგომა გთხოვოთ ქართველი ხალხის სახელით, როგორც პარტნიორი ქვეყნის პირველ პირს, რომ მხარი დაგვიჭიროთ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში აღიძრას საკითხი კაცობრიობის სამოქალაქო საზოგადოებებად გარდაქმნის, როგორც პლანეტის ღვთიური წესრიგის საწინააღმდეგო ქმედების ამსახველი პოლიტიკის შეფასებისათვის.

**ბატონო პრეზიდენტო!**

მოგვეცით უფლება, ვიცოცხლოთ და ჩვენი სიცოცხლე, ანუ ის, რაც მთავარია – ჩვენი ცხოვრების გზა წარვმართოთ იმ ღვთითბოძებული ჭეშმარიტებით, როგორც ეს ჩვენ, ქართველ ერს, ათასწლეულებგამოვლილი ცივილიზაციების შემოქმედ ხალხს გვესმის და გვწამს. მხოლოდ სამართლიანი და ჭეშმარიტების მწყურვალი კაცობრიობა შეძლებს კაცობრიობის მიერ ჩადენილი უსამართლობითა და უგუნურებით დასნეულებული ჩვენი დედამიწის განკურნებას სნეულებათაგან.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგამარჯვებინოთ თქვენი ქვეყნისა და კაცობრიობის სამსახურში!

მოკრძალებით, უდიდესი გულშემატკივრობით და იმედით, რომ მომიტევებთ სრულიად გულწრფელობას.

**დენიზა სუმბაძე**
**თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი გაერთიანების: „თბილისის უნივერსიტეტის ასამბლეის“ „ეროვნული პრობლემების ანალიტიკური დარბაზისა“ და ნიუ-იორკის (აშშ) ბიბლიის შემსწავლელი ქართველოლოგიური ცენტრის: „ბიბლია და საქართველო“-ს დამფუძნებელი და ხელმძღვანელი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.**

# დანართები

## ამერიკის პრეზიდენტისადმი, ბ-ნ დონალდ ტრამპისადმი ქ-ნ დენიზა სუმბაძის მიწერილი წერილისათვის: „ჩვენ განვკურნავთ დედამიწას სნეულებათაგან“

დანართი პირველი

ქ-ნ დენიზა სუმბაძის კონცეფცია ერის ფენომენის შესახებ, პირველად გამოქვეყნდა გაზეთში: „ერის ღირსება“:

2001 წელს, ბროშურის სახით, სრულიად საქართველოს თეოლგიურ-პოლიტიკური მოძრაობის: „ერის უფლებისა და ღირსების“, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნვიერსიტეტის არეოპაგიტული სამეცნიერო ცენტრისა და ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესის სახელით გამოიცა ქართულ ენაზე. 2002 წელს კი – ქართულ და რუსულ ენაზე ერთ ბროშურად. წინამდებარე დანართის სახით ქ-ნ დენიზა სუმბაძის კონცეფციის გაცნობისათვის ერის ფენომენის შესახებ, მკითხველს ვთავაზობთ ამონარიდებს სწორედ ამ ქართულ-რუსული გამოცემიდან.

**Дениза Сумбадзе**

Теолог-философ, писательница-эссеист

Является основоположницей и руководительницей до сей день Ареопагитского научного Центра в Тбилисском гос. Университете им. Иванэ Джавахишвили и Всегрузинского теолого-политического движения: "Право и Достоинство Нации". Председатель палаты Картвелологии (грузиноведения) в неправительственной организации - Всемирном Конгрессе Всех Грузин, Автор многих философско-эстетических эссе и научно-философских трудов: "Идеал Государства и человека в Философии Платона", "Этическое осмысление ирреального в свете философии Платона, "Дионисий Ареопагит и Данте Алигьери", "О Боге-Матери, т. е. Гелатская Академия и конец греческой неоплатонической философии", "Христианство и Орфизми", "Мученичество и мышление, т. е. Христианство и Плотин", "Размышления... о женском монастыре", "Халдеи в Библии, т. е. самопознание человечества и феномен Грузинского народа"...

Перевела - с др. греческого "Первоосновы теологии" Прокла Диадоха и трактат св. Дионисия Ареопагита - "О мистической теологии".

**Из Резюме**
**Книги г-жи Денизы Сумбадзе:**
**"О правах и достоинствах нации"**

Любой народ, или нация, которая существует под нашим небосводом на земле, является созиданием не человеческой воли или желания, а - какой-то возвышенной над ним силой, которую обычно называем мы: волей Божией.

Поэтому любой народ, или нация под нашим небосводом располагает в себе свое данное Богом естественное право существования и право на защиту этого своего богосозданного существования достоинств. В заключение по концепций г-жи Сумбадзе приходим к мысли: что каждый народ, каждая нация имеет как свою трансцендентную сущность, так и, исходя из этого, свою собственную земную МИССИЮ.

Гармоничное сосуществование жизни на земле является гарантией осуществления тех трансцендентных национальных миссии, а в итоге уже -гарантией осуществления всей энтелехиальной миссии человеческого бытия, человеческой жизни.

Таким образом, по интерпретации самого автора, проблема нации, как таковой, - перерастается в проблему мировой цивилизации, мировой гармонии. В Толковании своей концепции г-жа Сумбадзе определённо отмежёвывается и сопоставляет свою позицию с известной теорией "Столкновения цивилизации" Самуэла Хантингтона. Мировое человеческое бытие в первую очередь она представляет как из разных нации и народов составленную реальность, ландшафт, а не как разделённую на разных цивилизационных блоках действительность. Поэтому проблему мировой гармонии она начинает с необходимости правильного вычитывания проблемы основной структурной части той или иной цивилизации. т. е. с проблемы феномена народа, как нации.

По мнению автора новая мировая политика может править человеческую жизнь только с новым религиозным сознанием. Ориентир этого нового религиозного мышления отмечен озарением человеческого разума, в явлении иисуса Христа, в частности же пока ещё в не совершенстве осознанном его учение о Святом Духе, как материнской силе, одесную отца, создателя Вселенной.

**От переводчика**

Каждый народ имеет своё собственное, от всех других отличитильное, и особое переживание своего национального бытия и соответственно этому и свое представление о том, что такое нация. В этом смысле и грузины не создают какое-то исключение. Но исключительной является нация, которая имея осознание этого своего переживания и представления жизни, философски осмысливает его и дает юридическое толкование.

Г-жа Дениза Сумбадзе, известная ученая Грузии, Месхско-Лазской крови, философ-теолог, создала эпохального значения концепцию о нации, притом теологическо-политическую концепцию, создание которой она начала опубликованием открытого письма к генеральному секратарю Юнеско, Г-ну Федерико Майору, в 1990 году. В концепции г-жи Сумбадзе, которую первые же ее слушатели уже назвали "доктринальной", мировое сообщество, в свете анализа сознания нашей всеобщей цивилизации, имеет в руках осознанную необходимость международного закона зашиты прав существования и достоинства нации, как основной ориентировочной опоры для будущего человечества, его гармоничного бытия.

Доктринальная концепция г-жи Денизы Сумбадзе дает мировозренческую основу для новой большой мировой политики... Досадно будет, если упустят это найтие сами лидери духовенства и политики нашего времени.

**Александр Саджаиа**
Редактор и переводчик Книги
Денизы Сумбадзе «Концепция О Нации»

Генеральный секретарь Грузинского
теолого-политического движения:
«Право и достоинство нации». 2002 г.

დანართი № 2

# ნიუ-იორკის ბიბლიის შემსწავლელი ქართველოლოგიური ცენტრი: „ბიბლია და საქართველო"

დაფუძნებულ იქნა, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო და კვლევით-მეცნიერული ორგანიზაცია, 2004 წელს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არეოპაგიტული სამეცნიერო ცენტრის თეორიულ ბაზაზე, ნიუ-იორკის წმ. ნინოს სახელობის ქართული და რუსული მართლმადიდებლური ეკლესიების მხარდაჭერით. მისი მიზანია ბიბლიის შესწავლა და პრობლემათა მეცნიერული გაშუქება ძველი ქართული ცივილიზაციების კონტექსტში.

დენიზა სუმბაძე

## ქართველოლოგიური ცენტრი ნიუ-იორკში „ბიბლია და საქართველო"

2003 წლის ოქტომბრისათვის, პატივი მქონდა, მიწვევა მიმეღო ბალტიმორის (აშშ) წმ. მარიამის უნივერსიტეტში, იოანეს სახარებისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობისათვის. ბალტიმორიდან ნიუ-იორკში გავემგზავრე, თბილისის უნივერსიტეტიდან მივლინების წესით, ჩემს სამეცნიერო შრომაზე სამუშაოდ, რომელიც ბიბლიურ თეოლოგიურ პრობლემებთან იყო დაკავშირებული.

წმ. ნინოს სახელობის ნიუ-იორკის ქართულ ეკლესიაში, წირვაზე მყოფს, ეკლესიის მოძღვარი – მამა ალექსანდრე თანდილაშვილი, ჩემი ყოფილი სტუდენტი მცხეთის სასულიერო სემინარიაში, ამბიონიდან ქართული სტუმართმოყვარეობით მომესალმა, დამლოცა და ლოცვა-კურთხევა მომცა ქართული მართლმადიდებლური მრევლისათვის რამდენიმე ლექცია წამეკითხა. ლოცვა-კურთხევა რუსული მართლმადიდებლური ეკლესიიდანაც შემომაგება მამა ქრისტოფერმა, რომელიც საკუთარ მრევლში, ნიურ-იორკის მეორე ავენიუზე, ქართველი ემიგრანტებისადმი განსაკუთრებულ გულითადობას არ ფარავდა. თემები ჩემი ლექციებისათვის იყო: მცხეთელი მოგვები და ქართული ქრისტიანობის მისტერია, ბიბლიური თეოლოგია და თანამედროვე კაცობრიობის სულიერი განვითარების გზა, ქალდეველები და ქართველები.

აღმოჩნდა, რომ ნიუ-იორკის მართლმადიდებლურ საზოგადოებაში ამგვარმა შემეცნებითმა საუბრებმა მართლაც გამოიწვია ინტერესი და დაბადა აზრი, რომ ლექციათა ციკლის ერთჯერადობა გაუმართლებელი იქნებოდა. – როგორაა შესაძლებელი, რომ ყველაფერ ამას, ამ საგანმანათლებლო და შემეცნებით საუბრებს, მიეცეს სისტემური ხასიათი?! – ასეთი შეკითხვით მოგვმართა წმ. ნინოს სახელობის ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ერთ-ერთმა წევრმა, ჩვენმა თანამემამულემ, ახალგაზრდა ქორეოგრაფმა და პოეტმა თეა კანდელაკმა, რომელსაც ეს კითხვა მსმენელთა საერთო აზრის გამოხატვად შეუფასდა.

ამ დროისათვის ნიუ-იორკში უკვე გარკვეული კონტაქტები მქონდა დამყარებული ცნობილი ბიბლეისტის – ნაიდას მიერ დაარსებულ ბიბლიის ინსტიტუტთან,

მართლმადიდებლურ თეოლოგიურ აკადემიასთან, საჯარაო ბიბლიოთეკასთან, რამდენიმე უნივერსიტეტთან... და ვხედავდი, რომ ნიუ-იორკში, სადაც მთელი მსოფლიო იყო თავისი წარმომადგენლებითა და ღირებულებებით თავმოყრილი, უმრავალფეროვანესი კულტურული და სულიერი ლანდშაფტების სპეციალურ ლაბირინთებშიც კი, ქართული ფენომენი არ არსებობდა. ქართველოლოგია, როგორც მეცნიერების დარგი, კაცობრიობის ისტორიის შემსწავლელ ამ უჩვეულო ამერიკულ ინტეგრაციაში, აღარსად სუნთქავდა. როგორც გადმომცეს, ქართულით ღრმად დაინტერესებული ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორის, ბლეიკის სიცოცხლის შემდეგ, ჰარვარდშიც დამთავრებულიყო ქართული ენის ვინაობისა და მისი ქვეყნის რაობისადმი ინტერესი. ნიუ-იორკში, რომელიც თითქოს იმისთვის არსებობს, რომ უფრო მოხერხებულად და მკვეთრად აჩვენოს კაცობრიობამ თავისი თავი, ერთი ქალაქის მასშტაბში, სადაც თითქოს ეპოქის „პოდიუმზე" უნდა გაიარონ ხალხებმა და მათმა ცივილიზაციებმა, ქართველი ერის ვინაობისა და საქართველოს, როგორც ქვეყნის წარმომჩენი ინფორმაცია, ფაქტიურად, არსაიდან ჩანდა.

შემთხვევითი არ იყო იმავე ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორის, რიჩარდ პაიპსის სიტყვა, წარმოთქმული თბილისში 1996 წელს, კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე: – როდესაც შეერთებული შტატების კონგრესში ვამბობთ, რომ მივდივართო ჯორჯიაში (საქართველოში), ამას ყველა ისე იგებს, რომ მივდივართო ატლანტაში და არავის აზრად არ მოსდის თავში, რომ მოვდივართ თბილისში.

ჩემი თეოლოგიური საუბრებისადმი წმ. ნინოს სახელობის ქართული მართლმადიდებლური მრევლის განწყობა და შემეცნებითი ინტერესის მკვეთრი გამოვლენა, სწორედ ის მუხტი იყო, რომელიც მართლაც რეალური ნაბიჯისაკენ მიბიძგებდა. დემოკრატიისა და თავისუფლების ქვეყანაში სრულიად არ გამჭირვებია, დამესვა საკითხი ქართველი ერისა და მისი ვინაობის შემსწავლელი და საგანმანათლებლო ცენტრის დაფუძნებისა მსოფლიო კულტურისა და მსოფლიო საზოგადოებრიობისათვის გასაგებ ენაზე. ასეთი ენა იყო ქართველი ერის ფენომენის გაშუქება ბიბლიური რეალობის კონტექსტში, რომელიც, ბუნებრივია, თავის თავში მოიცავდა თავად ბიბლიურ რეალობასა და თეოლოგიურ ტენდენციას ქართული ცნობიერების შუქზე.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არეოპაგიტული სამეცნიერო ცენტრი პირდაპირი თეორიული ბაზა იყო ამ მიზნისათვის, რადგან არეოპაგიტული ცენტრის კვლევით-მეცნიერული შემეცნება, შეიძლება ითქვას, მთლიანად ამ მიმართულებით იყო ამუშავებული.

– ბიბლიის შემდეგ არავის და არაფერს მოუხდენია ჩემს აზროვნებაზე იმხელა გავლენა, რამხელაც არეოპაგიტულმა ტრაქტატებმა მოახდინეს-ო, წერდა კათოლიკური თეოლოგიის უდიდესი ავტორიტეტი – თომა აქვინელი. ბიბლიის გავლენასთან გატოლებული მასშტაბი არეოპაგიტული ტრაქტატების გავლენისა ევროპის სულიერ კულტურაზე, ერთი მხარე იყო მხოლოდ არეოპაგიტული პრობლემების კვლევის.

არაოპაგიტულ ცენტრში წლების განმავლობაში იქმნებოდა თეოლოგიური კონცეფციები, რომელნიც, ერთი მხრივ, ემსახურებოდნენ თავად ქართველი ერის თვითგამორკვევასა და თვითშემეცნებას, ხოლო მეორეს მხრივ, საკაცობრიო მომავლის საკურთხეველზე მიჰქონდათ ჩვენი ეროვნული სიცოცხლის საკუთარი შე-

საწირავი. ეს კონცეფციები გახლავთ: ბიბლიური ღმერთის გაგების საკითხი ადამიანის პირველხატთან მიმართებით (რომელზედაც შედგა ჩვენი მოხსენება ბიზანტინოლოგთა საერთაშორისო სიმპოზიუმზე, თბილისში, 1979 წელს), ქალკედონის კრებისა და სულიწმიდის თეოლოგიის ურთიერთმიმართების საკითხი (რომელზედაც საშუალება მქონდა მოხსენება წარმედგინა პეტერბურგის მართლმადიდებლური სასულიერო აკადემიის პროფესორ-მასწავლებლებისათვის, 1989 წელს), ქრისტიანობის, როგორც ქალდეური ცნობიერების აღორძინების, ქალდეველობის შუამდინარული და პონტოსპირული ფენომენების საკითხით გამოვსულიყავი პარიზში, სორბონის უნივერსიტეტში, 2001 წელს, ბიზანტინოლოგთა საერთაშორისო კონგრესზე, ერის ფენომენის რაობის, მცხეთელი მოგვებისა და ქართული ქრისტიანობის მისტერიის და სხვა.

მოგეხსენებათ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არეოპაგიტული ცენტრის დაფუძნება დიდწილად აკადემიკოს **შალვა ნუცუბიძისა** და ბელგიელი მეცნიერის, აკადემიკოს **ერნესტ ჰონიგმანის** თეორიით იყო განპირობებული, რომლითაც არეოპაგიტული ტრაქტატების იდუმალებით მოცულ ავტორად მეხუთე საუკუნის ბიზანტიაში მოღვაწე ქართველი უფლისწული, ეკლესიის დიდი და ცნობილი მამა, წმინდა პეტრე იბერიელი იყო მიგნებული. ამ თეორიის საფუძველზე მსოფლიო მეცნიერების წინაშე, რომლისთვისაც პეტრე იბერიელიცა და იბერიელი ხალხიც თანაბრად იყო უცნობი, დაისვა ერთი ძნელად პასუხგასაცემი კითხვა: შეეძლო თუ არა მეხუთე საუკუნის იბერიული, ანუ ქართული ცნობიერების მატარებელ ხალხს მსოფლიოსათვის მიეცა იმ დონის მოაზროვნე თეოლოგოსი და თეოსოფოსი, იმ დონის მანათობელი გონება, როგორიც იყო ავტორი არეოპაგიტული ტრაქტატებისა?!

პეტრე იბერიელის ფენომენმა არეოპაგიტული პრობლემების ველში, გარდა იმისა, რომ ბიბლიური თეოლოგიისა და არეოპაგიტული თეოლოგიის ურთიერთმიმართების საკითხები დააყენა დღის წესრიგში, თავად იბერიელობის გენეტიკური ვინაობის, გენეტიკური სულიერი პოტენციის პრობლემაც ამოზიდა, ანუ პრობლემის განმარტების ის აკადემიური და გამჭვირვალე აუცილებლობა, რომელიც თბილისის უნივერსიტეტის არეოპაგიტული ცენტრის კვლევით – მეცნიერულ მიმართულებას ქართველოლოგიურ შინაარსს უქმნიდა. „იბერიელობა“, როგორც „ქართველობა“, როგორც „ქართველობის“ ერთერთი წინარე ტერმინოლოგიური ისტორიული ფორმა, გვაყენებდა პასუხისმგელობის წინაშე, გვეჩვენებინა ქართული ცნობიერების რაობა მეხუთე საუკუნის წინარედ და ქართველი ერის ეს წინარექრისტიანული სულიერებისა და რელიგიური ცნობიერების გზა ქრისტიანულ შემეცნებასთან შეგვეერთებინა: გაგვეთვალსაჩინოებინა ქართული გონის უხანგრძლივესი ისტორია, როგორც წინარექტრისტიანულისა და ქრისტიანულის ერთიანი გზა. ეს გამთლიანება ადრექრისტიანული ქართული ცნობიერებისა წინარექრისტიანულ, ამასთან უძველეს ქართველურ მოდგმათა ცივილიზაციებთან, გვაძლევს გრანდიოზულ სურათს შემეცნებითი ევოლუციისას, რომელიც ლამის კაცობრიული ცნობიერების ისტორიას უტოლდება და რომელსაც საბოლოოდ, სწორედ, მსოფლიო ისტორიისა და კაცობრიული რელიგიური ცნობიერების უსათუთეს ისტორიასთან მივყავართ; ამ გზის ყველაზე ნათლად და გამჭვირვალედ წარმოჩენა თანამედროვე საზოგადოებისათვის, ბიბლიური რეალიების კონტექსტში აღმოჩნდა შესაძლებელი.

1918 წელს, როდესაც პირველი ქართული უნივერსიტეტი დაარსდა თბილის-

ში, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, მისმა უწმინდესობამ, კირიონ მეორემ (საძაგლიშვილმა) აკურთხა იგი. ლოცვა-კურთხევის საზეიმო ცერემონიალზე წარმოთქმულ სიტყვაში საქართველოს კათალიკოსმა ქართულ უნივერსიტეტს უსურვა იმ შემეცნებითი იდეალის რეალიზაცია, რომელიც უძველეს ქალდეველებს ჰქონდათ, ანუ სამყაროს რელიგიური და ფილოსოფიური შემეცნების სრულყოფილი ერთიანობის იდეალისა.

არეოპაგიტული სამეცნიერო ცენტრის თეორიულ ბაზაზე, ჯერ კიდევ 1991 წელს, თბილისში დაარსდა საქართველოს სახელგანთქმული მეფის, ერეკლე მეორის ასულის – თეკლა ბატონიშვილის სახლად მიჩნეულ ისტორიულ შენობაში, წმ. პეტრე იბერის სახელობის რელიგიურ-ჰუმანიტარული საგანმანათლებლო ინსტიტუტი, რომლის რელიგიათმცოდნეობითი პროფილიც არსებითად ბიბლიის შესწავლისა და ახალთეოლოგიური ინტერპრეტაციის კონტექსტში იყო გააზრებულიც და წარმოდგენილიც (ინსტიტუტის რექტორი ნელი მახარაძე, სამეცნიერო ხელმძღვანელი დენიზა სუმბაძე). სწორედ, ამ ტრადიციის განგრძობა და ერთგვარი აუცილებლობა გახლდათ ბიბლიოლოგიურ-ქართველოლოგიური ცენტრის – „ბიბლიისა და საქართველოს“ დაფუძნება ნიურ-იორკში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თეორიულ ბაზაზე; მით უმეტეს, რომ პეტრე იბერის სახელობის რელიგიურ-ჰუმანიტარული ინსტიტუტი საქართველოში უკვე მოკლებული იყო ფუნქციონირების საშუალებას.

ნიუ-იორკის ქართველოლოგიური ცენტრი – „ბიბლია და საქართველო“ – რეგისტრაციაში ოფიციალურად გატარდა და ინტერნეტში განთავსდა 2004 წლის გაზაფხულზე. რეგისტრაციაში გატარების დიპლომი, საფოსტო წესით მორთმეული, ცენტრის დამფუძნებლების ბინაზედ, მართლაც დიდი და ცივილიზებული ქვეყნისთვის საკადრისი ფორმით იყო ჩვენთვის მოწოდებული. შეერთებული შტატების სახელმწიფოებრივი წესრიგით, ტრადიციისამებრ, ცენტრის დაფუძნებას გვილოცავდა და წარმატებებს გვისურვებდა ნიუ-იორკის გუბერნატორი, ბ-ნი ჯორჯ პატაკი.

ნიუ-იორკის ქართველოლოგიური ცენტრი – „ბიბლია და საქართველო“ – გულითადი წერილით დალოცა **მსოფლიო პატრიარქმა**, მისმა ყოვლადუწმინდესობამ – **ბართლომე პირველმა**. ცენტრის დაფუძნებას მხარდაჭერით შეხვდა ნიუ-იორკის მართლმადიდებლურ-თეოლოგიური აკადემიის რექტორი, ცნობილი თეოლოგი, პროფესორი ჯონ ერიქსონი. სრულიად გულითადი მხარდაჭერა და თანამშრომლობის სურვილი გამოხატა ამერიკელი **ქალდეველების ერთ-ერთმა სათაყვანო მოძღვარმა მიჩიგანის შტატში, მამა ემანუილ ბოჯიმ**.

ნიუ-იორკის ქართველოლოგიური ცენტრის დაფუძნება გააშუქა ნიუ-იორკის ქართულმა გაზეთმა „ივერიამ“, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთმა, „თბილისის უნივერსიტეტმა“ და სრულიად საქართველოს მოძრაობის „ერის უფლებისა და ღირსების საზოგადოებრივ-თეოლოგიურმა გაზეთმა „ერის ღირსებამ“ (2006 წ. 5-6-7). ასევე საქართველოს სატელევიზიო არხმა „კავკასიამ“ და საქართველოს რადიოს ცნობილმა ჟურნალისტმა, ილია კევლიშვილმა რადიო პროგრამით: „ინფორმაცია განსჯისათვის“.

ნიუ-იორკის საჯარო ბიბილიოთეკაში, სადაც მსოფლიოს ხალხების ისტორიისა და კულტურის ამსახველ ლიტერატურას ცალკეული დეპარტამენტები აქვს დათმობილი, მხოლოდ რამდენიმე ქართული წიგნი შეიძლება აღმოვაჩინოთ კატალოგების ზღვაში. ასეც რომ არ იყოს, ბუნებრივია, ქართველოლოგიურ ცენტრს

თავისი საკუთარი წიგნადი ფონდი ესაჭიროება. ცენტრის დაფუძნებისთანავე მივიღეთ გადაწყვეტილება ქართული ბიბლიოთეკის შექმნისა. ამის შესახებ იქიდანვე, პირველ რიგში, ვაცნობეთ საქართველოს პატრიარქს, მის უწმინდესობას — ილია მეორეს, მოვწერეთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, როინ მეტრეველს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორს — დავით მუსხელიშვილს, ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორს — ზაზა ალექსიძეს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის კომისიის თანამშრომელს, ბიბლიოლოგსა და ლექსიკოლოგს ქ-ნ თინა ცქიტიშვილს და ვთხოვეთ, ინსტიტუტის თანამშრომელთა შრომების სახით შემოწირულობა გამოეგზავნათ ჩვენი ბიბლიოთეკისათვის. მათ ეს სიამოვნებით შეგვისრულეს, რისთვისაც უღრმესად ვმადლობთ.

ჩემი საკუთარი წიგნადი ფონდიდან გამოყოფილი ხუთასამდე წიგნის ნიუ-იორკში გასაგზავნად დახმარებისათვის მივმართეთ აშშ-ის საელჩოს საქართველოში. დასანანია, რომ ამ მხრივ, არანაირი მხარდაჭერის სურვილი არ გამოიხატა მათგან: „ჩვენ შეგვიძლია იქიდან გადმოგზავნაში დაგეხმაროთ, აქედან იქით კი — არა", გვითხრეს მათ მშრალად და მოკლედ, საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მეშვეობით.

ნიუ-იორკში დაგეგმილი ჩვენი პირველი საერთაშორისო კონფერენცია თემაზე „ბიბლია და საქართველო", დაყოვნდა (ბანკი „ქართუს" საქველმოქმედო ფონდისაგან მტკიცე უარით). მიუხედავად უამრავი დაბრკოლებისა, არეოპაგიტული ცენტრი, რომელიც უკვე ნიუ-იორკის ქართველოლოგიური ცენტრის წარმომადგენლობასაც ნიშნავს საქართველოში, განაგრძობს მუშაობას ნიუ-იორკის ქართველოლოგიური ცენტრის პირველი საერთაშორისო კონფერენციის პროექტზე: „ქალდეველები და ქართველები".

პროექტს დიდი მხარდაჭერა გამოუცხადა ნიიმეიჰენის (ჰოლანდია) უნივერსიტეტის აღმოსავლური ქრისტიანობის ინსტიტუტის **პროფესორმა, ბ-ნმა ჰერმან ტოილემ.**

თბილისის უნივერსიტეტის სამეცნიერო დეპარტამენტის ხელმძღვანელობამ დიდი გულისხმიერება გამოიჩინა ჩვენს მიერ ნიუ-იორკში დაგეგმილი საერთაშორისო კონფერეციის მიმართ. თანამშრომლობის ახალი კონტრაქტის საფუძველზე, რომელიც დაიდო თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და პარიზის სორბონის უნივერსიტეტს შორის, შესაძლოა ჩვენი, ნიუ-იორკის ქართველოლოგიური ცენტრის პირველი საკონფერენციო პროექტის განხორციელება სორბონის უნივერსიტეტის აღმოსავლური ცივილიზაციების შემსწავლელი ინსტიტუტის წარმომადგენლობასთან ერთად შევძლოთ.

იმედი გვაქვს, ნიუ-იორკის ქართველოლოგიურ ცენტრსაც და მის პირველ საერთაშორისო კონფერენციასაც უფალი შეეწევა და ქართველი მეცნიერები შეძლებენ საერთაშორისო საზოგადოებას საკუთარი ხედვით გააცნონ ქართველი ერის ფენომენი და ქართული მეცნიერების ბიბლიურ-თეოლოგიური კვლევის შედეგები.

ყოველთვიური სამეცნიერო ჟურნალი „ქართველოლოგია"
(დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი, პროფესორი მაგალი თოდუა)
№2, 2008 წლის თებერვალი. გვ. 78-82.
გამომცემლობა „უნივერსალი", თბილისი.

STATE OF NEW YORK

GEORGE E. PATAKI
GOVERNOR

I would like to congratulate you on the formation of your business in New York State. I am pleased that you have chosen the Empire State because we are moving aggressively to transform New York into a business-friendly state.

My administration will continually strive to provide your business with incentives for job creation and economic opportunity. We will also work diligently to cut back on unnecessary regulations that hurt your ability to compete.

Please be assured that I will make every effort to ensure that your business experience in the state is rewarding. Thank you for your confidence in New York.

Once again, congratulations and best wishes.

Very truly yours,

George E. Pataki
Governor

EXECUTIVE CHAMBER STATE CAPITOL ALBANY 12224

STATE OF NEW YORK

GEORGE E. PATAKI
GOVERNOR

ნიუ-იორკის გუბერნატორის მილოცვა ნიუ-იორკში ბიბლიის შემსწავლელი ქართველოლოგიური ცენტრის: „ბიბლია და საქართველოს" დამფუძნებლებისადმი, 2004 წლის აპრილში:

„მინდა მოგილოცოთ თქვენი საქმიანობის ნიუ-იორკის შტატში დაფუძნება. მოხარული გახლავართ, რომ თქვენს სამუშაო ადგილად ნიუ-იორკი აირჩიეთ, რადგან ჩვენ გამძაფრებით ვილწვით იმისათვის, რომ ნიუ-იორკი გადავაქციოთ მეგობრული საქმიანობის შტატად.

ჩემი ადმინისტრაცია უწყვეტად შეეცდება, უზრუვნველყოს თქვენი საქმიანობა წახალისებებით, შემოქმედებითი მუშაობისა და ეკონომიკური შემძლეობისათვის.

ჩვენ აგრეთვე გულმოდგინედ ვიმუშავებთ იმაზეც, რომ აგაცილოთ ის არაუცილებელი წესები, რომლებიც ვნებენ თქვენს უნარიანობას კონკურენციაში.

გეთაყვათ, დარწმუნებული იყავით, მე ყველანაირად ვეცდები უზრუნველყოთ იმისათვის, რომ თქვენი საქმიანობა ჩვენს შტატში იყოს წარმატებული.

გმადლობთ თქვენი ნდობისათვის ნიუ-იორკისადმი.

კიდევ ერთხელ ჩემი მილოცვები და საუკეთესო სურვილები.

გულწრფელად თქვენი
ჯორჯ ე. პატაკი
გუბერნატორი

# გამოხმაურებანი

## ამერიკის პრეზიდენტისადმი, ბ-ნ დონალდ ტრამპისადმი ქ-ნ დენიზა სუმბაძის მიწერილ წერილზე: „ჩვენ განვკურნავთ დედამიწას სნეულებათაგან“

**გურამ პეტრიაშვილი:**
**მწერალი**

## „მჯერა და მხარს ვუჭერ ქალბატონი დენიზას წერილის ყოველ სიტყვას“

ვაპირებდი კომენტარების წერას ქალბატონი დენიზა სუმბაძის წერილზე, რომელიც მიმართულია ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის – ბატონი დონალდ ტრამპისადმი. ამ დროს შევიტყვე, რომ ქალბატონი დენიზა წამოყენებულია საქართველოს პრეზიდენტობის ერთ-ერთ კანდიდატად.

და თუმცა არ ვიცნობ სხვა კანდიდატების სრულ ბიოგრაფიებსა და პროგრამებს, შემიძლია თამამად განვაცხადო, რომ საქართველოს დღევანდელ პოლიტიკურ-საზოგადოებრივ სივრცეში ვერ მოიძებნება ადამიანი, ვინც შესძლებდა დენიზა სუმბაძის დონალდ ტრამპისადმი გაგზავნილი წერილის მსგავსის დაწერას.

როცა ვწერ „მსგავსს“, ვგულისხმობ წერილის სიღრმეს, საკითხების ცოდნას, ღირსებით (ქართული ღირსებით!) სისავსეს, ეროვნული ტკივილებით დატვირთულობას, პირდაპირობას და გულწრფელობას.

თუმცა წერილის ადრესატი ბატონი დონალდ ტრამპია, დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ წერილი ყველა და ყოველი ქართველისადმია გამოგზავნილი. ყოველისადმი, ვინც სასოწარკვეთამდეა მისული სამშობლოს დღევანდელი მდგომარეობით.

არ შევუდგები ქალბატონი დენიზას წერილის დაწვრილებით განხილვას, რადგან ამას დასჭირდებოდა ვრცელი კომენტარები, რომლებიც უფრო დიდ ადგილს დაიკავებდა ვიდრე თვით წერილი.

ამას გარდა, ჩემს მკითხველს შეიძლებოდა შეჰქმნოდა შთაბეჭდილება, რომ ვეჯიბრები ქალბატონ დენიზას მრავალრიცხოვანი საჭირბოროტო პრობლემების უფრო ნათლად დანახვაში.

ვაცხადებ, არც ვეჯიბრები და ვერც შევეჯიბრებოდი, რადგან ამისთვის არ მეყოფოდა სულიერი და ინტელექტუალური ძალები.

მოვიტან ქალბატონი დენიზას წერილიდან მხოლოდ ერთ ვრცელ ციტატას, რომელშიც ნაჩვენებია ჩვენი დღევანდელი უბედურებების წყაროც და აქვეა იმედიც, რომ წერილის მთავარი ადრესატი ხელს გამოგვიწვდის:

„ჩვენი მონოლითური ეროვნული მოძრაობით მოპოვებული, „დამოუკიდებელი და თავისუფალი“, ამასთან სრულიად დაუცველი სახელმწიფო მანქანა ხელთ იგდო მსოფლიოში ცნობილი მასონურ-სიონისტური კლუბის, ბილდერბერგის კლუბის წარმომადგენელმა, საბჭოთა სივრცეში ფუნქციონირებადი, „ბილდერბერგის“ ანალოგი სიონისტური ლოჟის – „მაგისტერიუმის“ ერთერთ პატრიარქად ცნობილმა ედუარდ შევარდნაძემ. დამოუკიდებლობამოპოვებულ და ამ სრულიად დაუცველად დარჩენილ დამოუკიდებელ საქართველოში, მსოფლიოს მასონურ-სიონისტური ძალების მხარდაჭერით, ე დ უ ა რ დ შ ე ვ ა რ დ ნ ა ძ ე შემოუძლვა მსოფლიოს მასონურ-სიონისტურ მოძრაობას, „ოკეანის გადაღმა, ვაშინგტონში დაგეგმილი“ სახელმწიფო გადატრიალების საერთაშორისო სპექტაკლის მოწყობის გზით... და ქართველი ხალხის გულამოხეთქილი წყურვილით, მერაბ კოსტავას მოწამებრივი თავგანწირვითა და ზვიად გამსახურდიას მებრძოლი სულით მოპოვებული დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლო-

გიის გაძევებით, საქართველოს სახელმწიფო ხომალდის მიმართულება შეცვალა 180 გრადუსით, ანუ ჯორჯ სოროსის „მოქალაქეთა კავშირის", იგივ ქართველი ერის სამოქალაქო საზოგადოებად გარდასახვის და ეროვნული თვითლიკვიდაციის პოლიტიკური იდეოლოგიით.

შესწევს დღეს სახელმწიფოებრივი მორალური ძალა და ენერგია ამერიკის შეერთებულ შტატებს, როგორც ჩვენს ოფიციალურ პოლიტიკურ პარტნიორს, მხარში დაგვიდგეს ამ მსოფლიო მასშტაბის სამარცხვინო ავანტიურზმის მხილებაში?"

ჩემთვის განსაკუთრებით ძვირფასია ის ტონი, რომლითაც ელაპარაკება ქალბატონი დენიზა ზემძლავრი სახელმწიფოს პრეზიდენტს, ტონი, რომელიც აღსავსეა ღირსებით, როგორიც შეეფერება მსოფლიოს ერთერთი უძველესი ერის წარმომადგენელს.

აი, ნახეთ: „ის დიდი პოლიტიკური ტემპერამენტი, რომლითაც თქვენ ამერიკელი ხალხის სიყვარული და მხარდაჭერა მოიპოვეთ, დღეს შესულია სრულიად ახალ ფაზაში: ამერიკელი ხალხის არჩევანისა და გადაწყვეტილების სისწორე უნდა დაადასტურონ უკვე მსოფლიოს ხალხებმა, და მათ შორის პატარა ხალხებმაც, თვით ჩვენმა პატარამ და დაპყრობილმა ქვეყანამაც... ამასთან არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სიპატარავეც და სიდიადეც ხალხებისა თუ ერების, სხვადასხვა დროში სხვადასხვა კრიტერიუმებით იზომება".

მე საკმაოდ სკეპტიკური ადამიანი ვარ და ჩემი მოხიბვლა ადვილი არაა.

მაგრამ მჯერა და მხარს ვუჭერ ქალბატონი დენიზას წერილის ყოველ სიტყვას.

გთხოვთ მაპატიოთ მცირე ლირიკული გადახვევა.

ადრე დავბოლდი და მუდამ ვმეგობრობდი ბრენდ ადამიანებთან.

ურთიერთობა მქონდა აღიარებულ ავტორიტეტებთან: იოსებ ნონეშვილთან, მიხეილ კვესელავასთან, აკაკი გაწერელიასთან, რეზო ინანიშვილთან, დავით კვიტაიშვილთან, რეზო ჩხეიძესთან... და ბოლოს მერაბ კოსტავასთან და ზვიად გამსახურდიასთან.

ამ ურთიერთობებში ჩემი სული გაიწვრთნა და ახლა უცებ ვგრძნობ პიროვნებას, რომელშიც შერწყმულია გულანთებული პატრიოტი და ბრძენი ადამიანი.

სწორედ ასეთია ქალბატონი დენიზა.

სულითა და გულით მსურს მისი გაპრეზიდენტება.

იგი ცალ-ცალკე რაღაც პრობლემების გროვად კი არ დაინახავს საქართველოს, არამედ როგორც ჭეშმარიტი ფილოსოფოსი მთლიანობაში შეისისხლხორცებს ერის სულსა და სხეულს, და უშველის, რა სატკივარებიც აქვს სამშობლოს.

*16 სექტემბერი 2018 წელი*

## მალე, ძალიან მალე, ისტორიული ბორბლის ტრიალის თვალსაზრისით...

ქალბატონ დენიზა სუმბაძის სამოქალაქო და მსოფლმხედველობრივი პოზიცია, როგორც წესი, გამოირჩევა ქართულობით, მართლ მადიდებლობით და სიმწვავითა და სიღრმით, რაც პრაქტიკული აუცილებლობით არის ნაკარნახევი, ისტორიული სინამდვილით, ამ შემთხვევაშიც, როდესაც იგი მსოფლიოს ერთ-ერთი ძლევამოსილი სახელმწიფოს ხელმძღვანელს მიმართავს. მაგრამ სად არის აქ პრაქტიკა? იკთხავს დაკვირვებული მკითხველი და ჩემი აზრით ლოგიკურადაც. საქმე იმაში გახლავთ, რომ ჩემივე დაკვირვებით მალე, ძალიან მალე ისტორიული ბორბლის ტრიალის თვალსაზრისით და ისედაც, შინაგანადაც ძალიან ბევრი, დღეს ვითომცდა ლიბერალურად და დემოკრატიული პრინციპებით მოაზროვნე ქართველი იტყვის და იკითხავს, რა მართალი ყოფილა ქალბატონი დენიზა და როგორ ვცდებოდით ჩვენ. არ არის გამორიცხული იგივე გაიმეოროს არაერთი და ორი დასავლური სახელმწიფოს ხელმძღვანელმა და მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების. ჩვენ უბრალოდ მერე და მერე მეხსიერებიდან გვივარდება ადრე (ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ამის პრაქტიკული აუცილებლობა ნამდვილად არსებობდა და შეიძლება გადამწყვეტ მნიშვნელობასაც იძენდა ზოგჯერ სწორად დანახვისა და გამოყენების შემთხვევაში) ნათქვამი სრული სიმართლე და ისე ვაგრძელებთ გზას, ვითომცდა აქ არაფერი მომხდარა, არც შეცდომები დაგვიშვია და არც გვიწვალია მერე იმ შეცდომების კვალობაზე მრავალი წლის განმავლობაში. რაც შეეხება ზემოხსენებული ბროშურის ამ მოკლე შეფასების პირუთვნელობას და სისწორეს – ამ ნიუანსის ზუსტი განსაზღვრაც უახლოეს მომავალს მივანდოთ ჩვენსას – უახლოეს საათებს, დღეებს, თვეებს ჩვენი ცხოვრების. დრო არის მხოლოდ პირუთვნელი შემფასებელი – მისი უდიდებულესობა დრო – ეს ჩვენ ხომ ვიცით და მრავალგზისაც გამოგვიცდია.

19.10.18.

ფილოსოფოსი, ესეისტი

**ლაზარე ზაქარიაძე.**

**ზურაბ ხასაია**

**ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი**

## „თავისგაყოფა პროდასავლურობის ახალ უღელში მაშინ ვერავინ შენიშნა“

ქალბატონო დენიზა, სავსებით ვიზიარებ თქვენს მიერ ბ-ნ დონალდ ტრამპისადმი მიწერილ ღია წერილში გატარებულ თვალსაზრისს. ჩვენი ეროვნული მოძრაობა დაიწყო სსრკ-სგან საქართველოს განთავისუფლების მიზნით, მაგრამ მაშინ ვერავინ ვერ შენიშნა, რომ ჩვენი „პროდასავლურობა“ ახალ უღელში თავის გაყოფა იყო. რუსულ ინტერნაციონალიზმს ცვლიდა მხოლოდ უფრო საშიში ,,სამოქალაქო საზოგადოების“ სოროსული იდეა, რომელიც პიროვნებას ათავისუფ-

ლებს „ეროვნების ტირანიისგან“. პრიმიტიული ოკუპაცია შეცვალა მენტალურმა ოკუპაციამ, რაც გამოიხატა საკუთარ ეროვნულ კულტურაზე უარისთქმაში, საკუთარი კულტურისა და ფესვების წინააღმდეგ „ახალი ქართველების“ ჯერ შეთქმულებაში და შემდეგ კი ალვირახსნილ ბრძოლაში. თქვენს წერილში ზუსტადაა შემჩნეული ეს ახალი ბოროტება, ახსნილია მისი არსი და ნაჩვენებია მისი საშიში მასშტაბები. ასევე გონივრულადაა დასახული მის წინააღმდეგ ბრძოლის პერსპექტივა.

ჩემს ყველა პუბლიკაციაში, ლექციებსა და საუბრებში მეც ამ თვალსაზრისს გამოვთქვამ-ხოლმე. ხალხსაც ჭკუაში უჯდება და ბევრი თვითონაც ხვდება ამას ინტუიციით, მაგრამ საკმარისი არგუმენტი არა აქვთ და ჩვენი მედიიდან მძლავრად მომდინარე პროპაგანდას ვერ უმკლავდებიან. ეს პროპაგანდა კი ,,ჩაციკლულია" გასული საუკუნის 70-ანი წლების დისიდენტურ რკალში: ,,ბოროტი რუსეთი და კეთილი დასავლეთი" (სახაროვი, სოლჟენიცინი, მამარდაშვილი...). პროპაგანდისგან გაბრუებულ ტვინს უჭირს ,,ოკუპანტი რუსეთის" იქით არანაკლებ ,,ოკუპანტი დასავლეთის", ხოლო თვით დასავლეთში -- დასავლური ,,ლიდერი სახელმწიფოების" იქით არაფორმალური ,,ბილდერბერგის ლოჟის" განჭვრეტა.

როცა მიზეზების ძიებისას რუსეთის იქით გაიხედავ, მაშინვე ,,ოკუპანტი პუტინის აგენტად", ანუ საკუთარი ქვეყნის მოღალატედ გამოგაცხადებენ. ეს მზაკვრული კვანძი ერთობ მარჯვედ შეჰკრა დასავლურმა პროპაგანდამ ქართულ ცნობიერებაში და პრაქტიკულად დაბლოკა ეს უკანასკნელი. ასე რომ, ამ რკალის გარღვევა მხოლოდ ლოგიკით და ფაქტებით შეუძლებელი ჩანს. ერთადერთი, რასაც მასების ტვინზე ზემოქმედება შეუძლია, მძლავრი მედიაა, ,,MEDIAHOLDING-ია", პროპაგანდის ინდუსტრიაა. ასეთი ბერკეტი მხოლოდ ხელისუფლების ხელთაა. ხელისუფლებაში კი მხოლოდ მედროვეები, საშოვარზე მონადირეები, ანუ ჭეშმარიტების მტრები მოდიან. ჯანსაღ სულსა და გონებას მისკენ გზა სამუდამოდ გადაკეტილი აქვს.

თუ სიტუაციის შეცვლა გინდა, ხელისუფლებაში უნდა მოხვიდე. მაგრამ თუ ხელისუფლებაში მოსვლა გინდა, სიტუაციის შეცვლა არ უნდა გინდოდეს, მასთან ზედმიწევნით შეგუებას უნდა ნატრობდე. ასე იკვრება საბედისწერო რკალი, რის გამოც მე ,,პრაქტიკული ნაბიჯების" გადადგმაზე უარს ვამბობ, მხოლოდ აზრითა და სიტყვით ვმოღვაწეობ. ესაა, რაც შემიძლია, და რასაც მტკიცედ და პატიოსნად ვაკეთებ კიდეც. ვფიქრობ, რომ ამ ეტაპზე ესეც საქმეა და ნიადაგს ჰქმნის სხვაგვარად აზროვნების თუნდაც ელემენტარული განწყობის შესაქმნელად ჩვენს ერთგანზომილებიან სივრცეში.

25 ოქტომბერი, 2018

**მარინე ხარჩილავა,**
პოეტი, თბილისის სანდრო ახმეტელის თეატრის
ერთერთი დამფუძნებელი და
წამყვანი მსახიობი.

# „სამართლიანი გამოთხოვაც და მოთხოვნაც"

**ქალბატონ დენიზა სუმბაძეს**
ამერიკის პრეზიდენტისადმი მიწერილი ღია
წერილის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით

ღვაწლმოსილო, დიდო ქალბატონო!

ჩემი გონება, ხსოვნა, ვერ იტევს იმ უნიჭიერესთ, უბრძენესთ ბანოვანთა ჩამონათვალსაც კი, რომელთაც გამორჩეული ადგილი დაიმკვიდრეს ჩვენს სინამდვილეში. ისინი მხოლოდ ღვაწლის სიდიდით და სიკაშკაშით გამოირჩევიან ერთმანეთისაგან.

თქვენს გამორჩეულობას და ღვთისგან ბოძებულ მისიას ასე შევაფასებდი: ცხოვრების არც ერთ ეტაპზე არ ყოფილხართ ქვეყნის სატკივარს განრიდებული. გამუდმებით იბრძოდით ჩვენი საზეპურო ერის ინტერესებისათვის და იბრძვით მისი გადარჩენისათვის. თქვენ მოწოდებული იყავით ამისთვის ყოველთვის და მოწოდებული ხართ დღესაც. თავს ნებას მივცემ, „ღვთით კურთხეული და მადლმოსილი" გიწოდოთ! უკანდახევა არ გჩვევიათ, თქვენს ხელში კალამი მტრის მიმართ მამხილებელია, მოყვასის მიმართ კი ლმობიერი და მიმტევებელი. ამის კიდევ ერთი და უტყუარი დასტურია გაზეთ „საერთო გაზეთის" ფურცლებზე, 2018 წლის 5 სექტემბერს გამოქვეყნებული თქვენი წერილი, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის – დონალდ ტრამპისადმი. ამ წერილის ხილვამ და კითხვამ იმედი ჩამისახა და სიხარულით ამავსო. კიდევ ერთხელ ალმაფრთოვანა თქვენმა სიბრძნემ და უტყუარმა ალღომ, მოვლენებისადმი თქვენმა გამორჩეულმა ხედვამ და გამჭრიახობამ, ქალურმა სითბომ და შეუმცდარმა დამოკიდებულებამ!

დღეს, ჩვენს ქვეყანაში უძრაობის ხანაა!

მხოლოდ ავის მომასწავებელი მოლოდინია! მძიმე და გაუსაძლისი ყოფა, უიმედობა მეფობს ირგვლივ! საშინელ, გაუგონარ კანონთა კასკადი, თავზე ერთმანეთის მიყოლებით გვემხობა. მუდმივი წყევლა გასდევს ჩვენს გაუსაძლის ყოფას, გაძაღლებულ ცხოვრებას. თითქოს პირი შეკრესო, საითაც გაიხედავ, ყველგან თავს იწონებს უგვანო გამყიდველი და გადამთიელი... მართალთა პროტესტს ახშობენ, დევნიან, იჭერენ... ამ ვაკხანალიის აპოთეოზი უკვე მოუთმენელია და გაუსაძლისი და ამ დროს, თითქოს ბომბი აფეთქდაო, ისეთი სიბრძნით და ისეთი სიდინჯით, ისე გულმხურვალედ და მიზანმიმართულად, მ ი ზ ა ნ შ ი მ ო ხ ვ ე დ რ ი ლ ი ყ ვ ე ლ ა ს ს ა თ ქ მ ე ლ ი თ, გაიელვებს და ჩნდება თქვენი წერილი, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტისადმი, დიპლომატიური წიაღსვლებით აღსავსე, ქალის მოქნილი აზროვნების, ქალური სინაზისა და უძლიერესი დედური კეთილი ნების გამომხატველი თხოვნაც და შეძახილიც, ქართველი ქალისა, დედისა, ბანოვანისა, ბრძენი ქალბატონისა, რომელიც თავისი გამორჩეულობით და სიკაშკაშით ქართული ცის კაბადონზე სამუდამოდ იმკვიდრებს თავის გამორჩეულ

ადგილს. მისი **სამართლიანი გამოთხოვაც და მოთხოვნაც არის**, რომ ჩვენ, ქართველ ერს „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს.“

ამინ იყოს! გისმინოთ ღმერთმა და დედაღვთისმშობელმა!

14 სექტემბერი, 2018 წელი

## „საოცარი სიზუსტით და სისრულით გადმოცემული გულისტკივილი ქართველი ხალხისა.“

### გამოხმაურება ქ-ნ დენიზა სუმბაძის ღია წერილზე ბატონ დონალდ ტრამპისადმი

მძიმე დღეშია ქვეყანა! გამოსავალი არ ჩანს! ხელისუფლებაში მყოფთა 95%-ს საკუთარი ჯიბის გასქელების სურვილი, კაზინოში შესული მოთამაშის მსგავსად, გონებას უბნელებს. რა ვქნათ ჩვენ, იმ მოქალაქეებმა, ვისაც სამშობლოს ბედზე ფიქრი არ გვასვენებს, მაგრამ მიუხედავად კვალიფიკაციისა და გამოცდილებისა, ჩამოშორებულნი ვართ ქვეყნის მართვას ყველა დონეზე. „დემოკრატია“ – მათი სატყუარა და ბერკეტია, ვინც ადვილად ცვლის სამშობლოს...

ამ დროს უფრო ზუსტად, ერთი წლის წინ, მსოფლიო პოლიტიკის განმსაზღვრელი ქვეყნის მართვის სადავეებს იბარებს ახლადარჩეული პრეზიდენტი, რომლის საინაუგურაციო სიტყვაში ზედმიწევნით ზუსტად არის ჩამოყალიბებული ქვეყნის მართვის პრინციპები, რომელზეც მსოფლიოს ნებისმიერი დამოუკიდებელი ქვეყნის პატრიოტი მოქალაქე, არა მარტო ხელს მოაწერდა, არამედ ყველაფერს გაიღებდა ამ პრინციპების საკუთარ ქვეყანაში დასანერგად!

ამერიკის პრეზიდენტი შესაშური გულმოდგინებით შეუდგა საკუთარი ხალხისათვის მიცემული პირობის შესრულებას. ჩვენ, საქართველოს მოქალაქეებსაც, გვქონდა იმედი, რომ ჩვენი ქვეყნის ხელისუფლება მიბაძავდა „სტრატეგიული პარტნიორი ქვეყნის“ პირველი პირის ძალისხმევას საკუთარი ქვეყნის საკეთილდღეოდ. მწარედ შევცდით – ჩვენმა „პატრიოტმა“ ხელისუფლებამ გაზარდა ძალისხმევა საკუთარი ჯიბის საკეთილდღეოდ!

ამ დროს, საქართველოს რეალობაში ერთ-ერთი გამორჩეული, აკადემიური გამოცემა, „საერთო გაზეთი“ ბეჭდავს ქალბატონ დენიზა სუმბაძის ღია წერილს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტისადმი.

წერილი რამდენჯერმე წავიკითხე, უკვე ზეპირად შემიძლია გადმოვცე, ამ საკითხებზე ხომ გაუთავებლად ვმსჯელობთ თანამოაზრეები, მხოლოდ ამ წერილში ჩვენი, საქართველოს მოქალაქეების, გულისტკივილი საოცარი სიზუსტით და სისრულით, აკადემიურად არის ჩამოყალიბებული.

ამ წერილის ქვემოთ, ჩვენი ხელმოწერით, პატივისცემასა და მხარდაჭერას ვუდასტურებთ არა მარტო ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს, ბატონ დონალდ ტრამპს, არამედ მკაფიოდ მივუთითებთ ჩვენი ქვეყნის დღევანდელ ხელისუფლებასაც, თუ რა ცვლილებების განხორციელებას ელოდება მათგან საქართველოს მოსახლეობა!!!

**ვლადიმერ (ვოვა) ჭანტურიძე**
10 სექტემბერი, 2018 წ.
ფიზიკოსი, თბილისი

## მჯერა, რომ საქართველო თავს დააღწევს მარწუხებს, ვით კავკასიონზე მიჯაჭვული ამირანი...

სამყაროს, ცივილიზაციის განვითარების ქარტეხილებში, სხვადასხვა ეტაპზე, განგება გამოუჩენს ხოლმე კაცობრიობას ისეთი ნათელი გონების ადამიანებს, რომლებიც თვითგანადგურებისაკენ მიდრეკილ მსოფლიოს აიძულებს შეჩერდეს და დაფიქრდეს თავის ნამოქმედარზე. ასეთი ერთეული ადამიანების რიგს მიეკუთვნება ქ-ნი დენიზა სუმბაძე, რომელიც თავისი ქვეყნის სიყვარულით სულდგმულობს, და სწორედაც რომ მისი ნაშრომი, ნააზრევი-მიმართვა ამერიკის პრეზიდენტისადმი ბ-ნ დონალდ ტრამპისადმი, ჩვენი სამშობლოს წარმოჩინებას და მის სულიერ მისიას ემსახურება დანარჩენი მსოფლიოს წინაშე.

ქ-ნი დენიზას ნაშრომი უნდა იყოს ყველა განვითარებული ქვეყნების მთავრობის მეთაურების სამაგიდო ორიენტირი და მსჯელობის საგანი, რამეთუ მას მკაფიოდ აქვს გამოხატული, რომ სამშობლო და თავისუფლებაა თითოეული მამულიშვილი ქართველის არსებობის მთავარი მიზანი და ეს მიზანი ყველა ერისთვის საერთო დ საკაცობრიო ჭეშმარიტებად უნდა იყოს აღიარებული და დაურღვეველი! მჯერა, რომ საქართველო თავს დააღწევს მარწუხებს ვით კავკასიონზე მიჯაჭვული ამირანი და ჩადგება ერთა თვითგამორკვევის და თავისუფლების ავანგარდში, როგორც მსოფლიო ცივილიზაციის ნამდვილი სახე.

გაუმარჯოს სამშობლოს და თავისუფლებას!

გაუმარჯოს მარადიულ ქვეყანას – საქართველოს!!!

5.11.2018 წელი

**ტარიელ ამირაჯიბი**

პოეტი, ინჟინერ-ენერგეტიკოსი.
ჟურნალ „ფენომენით" ცნობილი
ნათელმხილხველი ფსიქოგრაფის
ქ-ნ ლიანა ამირეჯიბის ვაჟიშვილი.

## „ჩვენ უნდა გავაფართოვოთ ეკლესიის უფლებები პოლიტიკაში..." დონალდ ტრამპი

ქალბატონ დენიზა სუმბაძის ღია წერილი ამერიკის პრეზიდენტისადმი, ორლესული მახვილივით მჭრელია საქართველოს შინაური და გარეული მტრების წინააღმდეგ, ხილული და უხილავი მტრების წინააღმდეგ. ამის თვალსაჩინოდ წარმოჩენა შორიდან შემოვლას საჭიროებს...

ყველას თავისი სტკივა, მე ჩემი დაჭრილი ქვეყნისა მტკივა... დღეს, ოცდამეერთე საუკუნეში – დედამიწის ფინიშთან, ამერიკის პრეზიდენტმა, ბატონმა

ტრამპმა ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრა რომ იმ გზას, რომლითაც დაწინაურებული ამერიკა 180-ით მიჰქროდა, ტაძართან კი არა, სოდომ გომორისკენ – თავისივე ცოდვის ოკეანეში ჩახრჩობისკენ მიჰყავდა ქვეყანა, და თუ დროზე არ მოატრიალებდა საჭეს ღვთისკენ-ეკლესიისკენ, ცუდი სიზმარივით აუხდებოდა ამერიკას წყალში ჩაძირვის წინასწარმეტყველებები.

შემთხვევითი არ არის რომ ამერიკის პრეზიდენტის, ბატონ დონალდ ტრამპისადმი მიწერილ ღია წერილში, ქალბატონმა დენიზამ საგანგებო ყურადღების საგნად ბატონი ტრამპის სწორედ იმ დებულების მრავალმნიშვნელოვნება ამოიღო მიზანში, რომელსაც დღეს განსაკუთრებული და შესაძლოა, გადამწყვეტი ღირებულება აქვს ქართველი ხალხის და საერთოდ ჩვენი ქვეყნის მომავლისთვის. ეს დებულება გახლავთ: „გავაფართოვოთ ეკლესიის უფლებები პოლიტიკაში". ამერიკის შეერთებული შტატები ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი ქვეყანაა და ის ახალი მსოფლმხედველობა, რომელიც ხმამაღლა შესთავაზა მსოფლიოს ამერიკის პრეზიდენტმა, პოლიტიკაში ეკლესიის უფლებათა გაფართოების ხედვით, ბუნებრივია შეეხება ჩვენს ქვეყანასაც. მოგეხსენებათ დღეს, საქართველოში, ეკლესიაა მთავარი ავტორიტეტი, მაგრამ ქ-ნ დენიზას რაღაც შემაშფოთებელი აქვს ნაგრძნობი ბატონი ტრამპის განაცხადში, და როგორც ირკვევა ამის საფუძველი საკმაოდ სერიოზულია. ჩვენ ამ საფუძველს ვუწოდებდით „კოჰაბიტაციურ თანამოსაყდრეობას" ქართული ეკლესიისას საქართველოს ხელისუფლებასთან. ხელისუფლებასთან, რომელიც ქ-ნ დენიზას განმარტებით მსოფლიოში სახელგანთქმული ბილდერბერგის მასონური კლუბის დირექტივებით იმართება. დავით აღმაშენებელს არავის ვადრი, მაგრამ იმისათვის, რომ ეკლესიის უფლებები აემაღლებინა მან, დავით აღმაშენებელმა, ჯერ გაწმინდა ეკლესია რუის-ურბნისის საეკლესიო კრებით, და შემდეგ დაიყენა იგი გვერდში: გაწმენდილი ეკლესია. ამჯერად, კიდევ უფრო მეტად და ძალიან რთულ ვითარებასთან გვაქვს საქმე ამერიკისათვისაც და საქართველოსთვისაც...

თუ ტრამპის დებულებაში, ეკლესიის უფლებების გაფართოების შესახებ პოლიტიკაში, მხოლოდ ტრამპის კეთილშობილი ხედვა დევს და ებრაული ჩანაფიქრი არ იგულისხმება – ეკლესიის შეტყუებისა სახელმწიფოს ჩარჩოებში, ძალიან საშიშია ტრამპისთვის, ისევე, როგორც საშიში იყო **კენედისთვის**, დოლარის ბეჭდვის უფლება ჩამოერთმია კერძო ბანკისთვის და სახელმწიფოსთვის გადაეცა...

ამ ყველაფრის ფონზე, იმიტომ ვადარებ ქალბატონ დენიზას მართალ სიტყვას მტკიცედ მოქნეულ ორლესულ მახვილს, აშკარად დიდი სიმაღლიდან რომ ხედავს და აანალიზებს ისტორიულ მოვლენებს, თუ მიმდინარე სიტუაციას, რომ მისი დიაგნოზი ზუსტი და სათქმელად მტკივნეული სიმართლეა. ამიტომ ყვირის იგი ხმამაღლა, ერისა და ქვეყნის ბედით შეშფოთებული, ათეული წლებია, ყველა საფრთხეზე, შინ და გარეთ, გაღმა თუ გამოღმა, როგორც ნამდვილი დედა, და ამიტომ შევთხოვ ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს და გულმოწყალე დედას, გააძლიეროს, იგი და გაამარჯვებინოს და დიდხანს გვესმოდეს მისი მართალი სიტყვა მალამოდ და მახვილად.

**ლია ამანათაშვილი**
*ინჟინერ-მშენებელი,*
*ქართული ეკლესიის სულიერი შვილი*

## ქ-ნ დენიზა სუმბაძის სახელმწიფოებრივ-მსოფლმხედველობრივი პოზიციები, მისივე სიტყვებით: „ქირფესვიანი ქართული, ქირფესვიანი ქრისტიანული და პროკავკასიური“

ჩემი მშობლიური სოფელი – ნიგორზღვა მთიან დასავლეთ საქართველოში, ზღვიდან ორმოციოდე კილომეტრის დაშორებით მდებარეობს. აქ ზღვისა და მთის ნაზავი საოცარი ჰაერია. ამ ზაფხულს, ნიგორზღვაში, სადაც ორი კვირით ვიყავი ჩასული და დასასვენებლად ქ-ნი დენიზა სუმბაძე თავის ვაჟიშვილთან, ნოდართან ერთად მყავდა დასასვენებლად მიპატიჟებული, საშუალება მქონდა ქ-ნ დენიზას მიერ ამერიკის პრეზიდენტისადმი მიწერილი ღია წერილი, მის გამოქვეყნებამდე წამეკითხა. ქ-ნი დენიზა ისეთი აღფრთოვანებული იყო ჩემი სოფლით, ამბობდა: „ეს სოფელი კი არა სამოთხეა. პირდაპირ ღმერთის სამყოფელში ვართო და ბოლოს დასძენდა: ჩვენ ევროკავშირში კი არ უნდა შევიდეთ, საქართველოში უნდა შევიდეთო“. ამერიკის პრეზიდენტისადმი მიწერილ წერილში წამოწეულ პრობლემებზე ხშირად გვიხდებოდა საუბარი. წაკითხულს ხშირად ვუბრუნდებოდი და მიყალიბდებოდა აზრი, რომ ქართველმა ხალხმა საკუთარი ვინაობისა და დღევანდელი მდგომარეობის სიღრმითი ცოდნისათვის ქ-ნ დენიზა სუმბაძის ეს წერილი უნდა გაითავისოს და ისე მოიძიოს თავისი მომავალი, თუ რა გზით უნდა წავიდეს საქართველო.

ქ-ნ დენიზას დიდი ხანია ვიცნობ. ჩემი ცხოვრება, ჩემი წილხვედრილი ბიოგრაფია ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას ლიდერობით წარმართულ ეროვნულ მოძრაობას მივუძღვენი, ამ დიდი და თავგანწირული მამულიშვილების დაფასებას, მათ სიყვარულსა და ერთგულებას. ჰელსინკის კავშირის წევრი ზვიადის სიცოცხლეშივე გახლდით, 1989 წლიდან. უკანასკნელი წლების მანძილზე სწორედ ამ ეროვნული მოძრაობის ერთგულებამ დამაკავშირა და დამაახლოვა ქ-ნ დენიზას პიროვნებასთან. მასში ერისა და ქვეყნის ნამდვილ სიყვარულთან შერწყმულია ეროვნული სახელმწიფოებრივი ხედვა, ეროვნული პრობლემების ისეთ სიღრმეებში წვდომის შესაძლებლობა, რომ იგი პიროვნულად არის არა მხოლოდ მეგობარი ზვიადისა და მერაბის, არამედ დღესაც უწყვეტი, ერთდროულად სარწმუნოებრივი და პოლიტიკური ეროვნული მოძრაობა. მისი პიროვნული თვისებებით და ეროვნულ თვითშემეცნებაზე დაუოკებელი ზრუნვით, საქართველოს და ქართველ ერს ჰყავს უერთგულესი შვილი, ერის ღირსების დაუღალავი და ხმალამოღებული დამცველი.

ვეთანხმები ქ-ნ ლეილა მირიანაშვილს: ქ-ნ დენიზა სუმბაძეს პოლიტიკურადაც და მეცნიერულადაც აზრობრივად აჰყავს მე-20 საუკუნის ქართული ეროვნული მოძრაობა ახალ სიმაღლეზე, ახალ ხარისხში, მე ვიტყოდი არა მხოლოდ მე-20 საუკუნის ეროვნული მოძრაობა, არამედ მე-19 და მე-20 საუკუნეების ეროვნული მოძრაობები, რადგან მისთვის ახალ ხარისხშია აყვანილი არა საქართველოს რუსეთთან მიმართება, არამედ საქართველოს და ქართველი ერის მიმართება მსოფლიოსთან, მის ისტორიასთან და ისტორიულ შედეგთან, ე. წ. მსოფლიოს თანამედროვე ახალ წესრიგთან, რომლის ორგანიზატორებად და მმართველებად უკვე საყოველთაოდ არიან აღიარებულნი ებრაულ-სიონისტური ძალები.

ქ-ნი დენიზა სუმბაძე ჩემი ინიციატივით იქნა წარდგენილი საქართველოს 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებში პრეზიდენტობის კანდიდატად.

მან გააპროტესტა 2018 წლის 28 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების პროცედურული კანონმდებლობა, როგორც არასრულფასოვანი და წინააღმდეგობრიობის შემცველი თავისთავში. სამწუხაროდ ეს პროტესტი საქართველოს პარლამენტის მიერ რეაგირების გარეშე იქნა დატოვებული. მისი საპრეზიდენტო ბიულეტენი გვაუწყებს, რა არის მისი მთავარი გზავნილი ქართველი ხალხისადმი:

„ჩემი ამოცანაა შევცვალო საქართველოს სახელმწიფო აზროვნება, და სახელმწიფო იდეოლოგია, რომელიც ემყარება ედუარდ შევარდნაძის მიერ დამკვიდრებულ სოროსის თეორიას, ერების ლიკვიდაციისა და სამოქალაქო საზოგადოებებად გარდასახვის შესახებ. აქედან იწყება ქართველი ერის უბედურება და უბედურების სათავე თუ არ გამოსწორდა, არაფერი გვეშველება". (12.09.2018).

ქ-ნ დენიზა სუმბაძეს თავისი ღია წერილი ამერიკის პრეზიდენტისადმი, ბატონ დონალდ ტრამპისადმი, მიაჩნია თავისი ეროვნული და საკაცობრიო პოზიციების სრულიად სადღეისო განცხადებად, რისთვისაც თავის საპრეზიდენტო კანდიდატობის ბიულეტენში სრულად ჩართო თავისი ღია წერილის საგაზეთო მოკლე ვარიანტი ამერიკის პრეზიდენტისადმი, გამოქვეყნებული გაზეთ „საერთო გაზეთში": 2018 წლის 5 სექტემბერს, სათაურით: „ჩვენ განვკურნავთ დედამიწას სნეულებათაგან".

ვფიქრობ, ქ-ნ დენიზა სუმბაძის ღია წერილით ამერიკის პრეზიდენტისადმი, ბატონ დონალდ ტრამპისადმი, დაიწყო ახალი ეტაპი მე-20 და 21-ე საუკუნის ქართული ეროვნული მოძრაობის ისტორიაში. ეს ახალი ეტაპი უკვე საერთაშორისო სამართლიანობის მოთხოვნით, მძაფრ დიალოგში და დებატებში იწვევს თავად მსოფლიოს ახალი წესრიგის მესვეურებს, ამჯერად ამერიკის პრეზიდენტის, ბატონ დონალდ ტრამპის ახალი მსოფლმხედველობრივი პოზიციების ხმამაღალი მხარდაჭერის გზით. ქართული ეროვნული მოძრაობის ამ ახალი სიცოცხლის აზრობრივი წინამძღოლიც და პრეზიდენტიც ქალბატონი დენიზა სუმბაძე გახლავთ.

თავს ნებას მივცემ, ვისარგებლო შესაძლებლობით და ერთი აუცილებელი კომენტარი შევთავაზო მკითხველს ქ-ნ დენიზა სუმბაძის მიერ ამერიკის პრეზიდენტისადმი მიწერილი წერილის ისტორიასთან დაკავშირებით, რამდენადაც საზოგადოებრივი გაერთიანების: „ეროვნული პრობლემების ანლიტიკური დარბაზის" 2017 წლის 30 მაისის იმ სხდომის მონაწილე გახლავრთ, რომელზეც ქ-ნმა დენიზამ საზოგადოებას პირველად წარუდგინა თავისი წერილი გასაცნობად.

ქ-ნი დენიზა ამერიკის პრეზიდენტს მიმართავს, როგორც ნიუ იორკის ქართველოლოგიური ცენტრის „ბიბლია და საქართველოს" დამფუძნებელი და ხელმძღვანელი. მის მიერ განცდილი და ამერიკის პრეზიდენტისადმი ღია წერილში აღწერილი უმძიმესი მდგომარეობა ქართველი ხალხისა, მას საფუძველს უქმნიდა აღნიშნულ სხდომაზე, როგორც მომხსენებელს დღის წესრიგში დაეყენებინა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში, სრულიად საქართველოს სახალხო სათათბიროს მოწვევის საკითხი, მითუმეტეს, რომ აღნიშნულ სხდომას სულ რამდენიმე დღით უსწრებდა წინ საქართველოს პატრიარქის საგანგაშო განაცხადები საქართველოში შექმნილი უმძიესი მდგომარეობის გამო. რომელზედაც საზოგადოებას არანაირი რეაგირება არ გამოუმჟღავნებია. ქ-ნმა დენიზამ სიღრმისეულად განსაზღვრა რა სირთულე საქართველოში შექმნილი უმძიმესი მდგომარეობისა, სრულიად საქართველოს სახალხო სათათბიროს მოწვევის სახით თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში დღის წესრიგში დააყენა მთელი

ქვეყნის ინტელექტუალური პოტენციალის ინტეგრაცია და აკადემიურ-მეცნიერული ძიება გამოსავლის მიგნებისა. და რა სამწუხარო იყო, რომ ქ-ნ დენიზა სუმბაძის ასეთ ხედვას თბილისის უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ ყველაზე პოპულარული სატელევიზიო არხებით უკადრისი პროვოკაციული თავდასხმით უპასუხა: თითქოს ზემოთ აღნიშნული 2017 წლის 30 მაისის სხდომით ქ-ნმა დენიზამ დასავლეთის ღირებულებები დაგმო და რუსეთის ინტერესების დასაცავი პოზიციები წარმოადგინა. უნდა გვახსოვდეს, რომ მეცნიერი ვალდებულია და უფლება აქვს, ჯერ ერთი თუ ობიექტურობა მოითხოვს რუსეთი დაიცვას და რუსეთის ღირსებაც. უნივერსიტეტი და მეცნიერება პოლიტიკური რუსოფობიის პროვინციული წარმომადგენლის როლში ვერ იქნება. როცა რუსეთის პატრიარქმა, მისმა უწმინდესობამ ალექსი მეორემ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ მხარი არ აუბა რუსეთის ხელისუფლებას აფხაზეთისა და შიდა ქართლის, ამჟამად სამხრეთ ოსეთად წოდებული ძირძველი ქართული ტერიტორიების რუსეთის ეკლესიების დაქვემდებარებაში გადაყვანას და საქართველო ეკლესიურ-ეპარქიულად, ტერიტორიულად მთლიანი დაგვიტოვა, საქართველოს პატრიარქის, მისი უწმინდესობის, ილია მეორისადმი იურიდიული დაქვემდებარების სტატუსით, ქ-ნმა დენიზა სუმბაძემ პირველმა მისცა რუსეთის ეკლესიურ პოზიციას უმაღლესი ზნეობრივი ღირსების შეფასება.

ქ-ნი დენიზა სუმბაძე უკვე საჯაროდ გამოქვეყნებული ღია წერილით ამერიკის პრეზიდენტისადმი მორალური პასუხისმგებლობის წინაშე აყენებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციასაც და გაზეთ „რეზონანსის" რედაქციასაც, რადგან აღნიშნული წერილით დოკუმენტურად არის სახეზე 2017 წლის 30 მაისის სხდომის იდეური სულისკვეთებაც და სულისკვეთებაც ქ-ნ დენიზა სუმბაძის მსოფლმხედველობრივი პოზიციებისაც. სრულიად ნათელია, რომ თვით ამ წერილითაც კი ქ-ნი დენიზა სუმბაძე არ არის არც მიკერძოებული პროამერიკული. ამიტომ თავს მოვალედ ვთვლი იმ უკადრისი პროვოკაციის დამკვეთთა და შემსრულებელთა მისამართით განვაცხადო, 2017 წლის 30 მაისის მთელი სხდომის მონაწილეთა სახელით, რომ ქ-ნ დენიზა სუმბაძის პოზიციები, მისივე ტერმინებით, „ძირფესვიანი ქართული, ძირფესვიანი ქრისტიანული და პროკაცობრიულია". ეს არის და ეს!

**კლარა (კამკამა) ტონია,**
*საქართველოს სარწმუნოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის: „ჰელსინკის კავშირისა" და საზოგადოებრივი გაერთიანების: „ეროვნული პრობლემების ანალიტიკური დარბაზის" წევრი.*

## „ჩვენ განვკურნავთ დედამიწას სნეულებათაგან"

## რეზიუმე

### ქ-ნ დენიზა სუმბაძის ღია წერილისა, მისი აღმატებულების აშშ პრეზიდენტის – ბ-ნ დონალდ ტრამპისადმი ქართული ტექსტი ინგლისური თარგმანისათვის

პროფესორი დენიზა სუმბაძე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს, მის აღმატებულებას, ბატონ დონალდ ტრამპს მიმართავს სრულიადი კეთილგანწყობით მისი პიროვნებისადმი, მისი ოჯახისადმი და მისი ქვეყნისადმი. ბ-ნი ტრამპის მოსვლას სახელმწიფო მმართველობის საჭესთან იგი განიხილავს კაცობრიობის ორმაგი უდიდესი განსაცდელის კონტექსტში: ეკოლოგიურისა და პოლიტიკურის. წერილის ავტორის ხედვაში კაცობრიობის სახლი - პლანეტა დედამიწა ჩაძირულია ეკოლოგიური და პოლიტიკური კატასტროფების საშიშროებაში, რადგან ეკოლოგიური კატასტროფის საშიშროება, მისი თავიდან აცილება, მოითხოვს სახელმწიფოთაშორისი დაპირისპირებების აკრძალვას, მაშინ როდესაც დღევანდელი მსოფლიო, თავისი ახალი წესრიგით, ანუ მსოფლიოს დაპყრობის სიონისტური პოლიტიკით, აშკარად მიიმართება მესამე მსოფლიო ომისაკენ. ქ-ნი პროფესორი ითხოვს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციისაგან ახალი კანონმდებლობის შემუშავებას, პლანეტაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებისათვის. მისი აზრით თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკის შინაგანი სულისკვეთება, მეოცე საუკუნის დიდი მეცნიერის ალბერტ აინშტაინის თეორიით, რომელსაც ქ-ნი სუმბაძე „კაცობრიობის სიცოცხლისადმი გულგრილობის თეორიას" უწოდებს, შინაგანწონასწორობადარღვეული კაცობრიობის სულისკვეთებად შეიძლება შევაფასოთ, ხოლო ქრისტიანული მოძღვრების შუქზე – მოყვასის სიყვარულდაკარგული კაცობრიობის კაცთმოძულეობის სულისკვეთებამდე მისულ მდგომარეობად.

ავტორის ხედვაში, თანამედროვე მსოფლიოს ახალი წესრიგის იდეოლოგიის სახით, გაცხადებულია, ამერიკის შეერთებულ შტატებში, მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის პერიოდში განხორციელებული კულტურული რევოლუციის შემოქმედი და მაორგანიზებელი ძალა, რევოლუციისა, რომელმაც ამერიკის შეერთებული შტატების, როგორც ქვეყნის დექრისტიანიზაცია მოგვცა შედეგად, და, თუ ბოდიშის მოხდით გავიმეორებთ ბატონ პატრიკ ბიუკენენის სიტყვებს: „ამერიკის შეერთებული შტატები გადაისროლა ეთიკურ კანალიზაციაში".

ღია წერილის ავტორი საგანგებო ყურადღებას მიაპყრობს ჰელსინკის 1975 წლის ცნობილ დეკლარაციას, კერძოდ ფაქტს ჰელსინკის დეკლარაციისას, რომლითაც დადასტურებულია, როგორც ადამიანის პიროვნულ უფლებათა და ღირსებათა დაცვის კანონიერება, ისე კანონიერება ეროვნული ერთობების, ანუ ერების დაცვისა, რასაც ავტორი წარმოაჩენს ჯორჯ სოროსის „სამოქალაქო საზოგადოების" კონტექსტში. ამ კონტექსტით, ავტორი ღია წერილისა ამერიკის პრეზიდენტისადმი, ჰელსინკის დეკლარაციის დანიშნულებად, მსოფლიოს ახალი წესრიგის დინამიკაში, ამხელს საბჭოთა კავშირის დაშლის ამოცანას, ხალხების მიერ დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის მოთხოვნით, ხოლო ამ ამოცანის განხორციელების შემდგომ, მსოფლიოს ახალი წესრიგის პროექტით, „ჰელსინკის დეკლარაციის" ჩანაცვლებას ჯორჯ სოროსის „ღია სამოქალაქო სა-

ზოგადოების" თეორიით. ჯ ო რ ჯ ს ო რ ო ს ი ს ამ კაბალისტურ მოძღვრებას ერების გარდაქმნისას სამოქალაქო საზოგადოებებად და უეროვნებო მსოფლიოს, ანუ „ყველა დანარჩენი ხალხების" მსოფლიოს შექმნის მოძრაობას, ავტორი განიხილავს, როგორც უდიდეს ავანტიურას მსოფლიო პოლიტიკაში, რომლითაც ეროვნული მოძრაობების აფეთქება უნდა შემდგარიყო საბჭოთა კავშირის სივრცეში, საბჭოთა კავშირის დასაშლელად და ხელში ჩასაგდებად რუსეთისაგან დამოუკიდებელი სახელმწიფოებისა, არა მათი თვითმყოფადობის განვითარებისათვის, არამედ მათი გარდაქმნისათვის ჯორჯ სოროსის „სამოქალაქო საზოგადოებებად", ეროვნული ღირებულებების სახელმწიფოებრივ – კანონმდებლობითი თვითლიკვიდაციის ფორმით. ეროვნული მოძრაობის ლიდერთა ლიკვიდაციით და საქართველოს ეროვნულ ხელისუფლებაში მსოფლიოს ახალი წესრიგის ერთერთი არქიტექტორის, ბილდელბერგის ცნობილი მასონური კლუბის ანალოგი სიონისტური ლოჟის: „მაგისტერიუმის" ერთ-ერთ პატრიარქად წოდებული პოლიტიკური მოღვაწის, ბატონ ე დ უ ა რ დ შ ე ვ ა რ დ ნ ა ძ ი ს ჩანაცვლებით, მსოფლიოს სიონისტურმა მოძრაობამ შესძლო საქართველოს სახელმწიფო მანქანის სრული დაუფლება და სოროსის იდეოლოგიის წარმატებული განხორციელება, ანუ საქართველოს, როგორც ქართველი ერის ისტორიულად კუთვნილ ქვეყანაში, მისი გასხვისების პოლიტიკის ჩანერგვა და ეროვნულობის ნგრევა.

აღიარებულია, რომ ყოველ ერს თავისი ღვთითბოძებული მისია და ამქვეყნიური დანიშნულება აქვს. უკანასკნელი 27 წლის მანძილზე საქართველოში შეიქმნა ფაქტობრივი სურათი იმისა, რომ სოროსის თეორია ერების გარდასახვისა სამოქალაქო საზოგადოებებად, ანგრევს ერების არა მხოლოდ ფიზიკურ არსებობას, არამედ ერების ღვთით ბოძებულ სულიერ მისიებსაც, რითაც სიონიზმი, როგორც მსოფლიოს ახალი წესრიგის დამამყარებელი მოძრაობა, გვევლინება უფალთან შეტოქებულ ძალად. უნდა აღინიშნოს, რომ თავისი „სამოქალაქო საზოგადოებების" ვერაგი მოდელით უეროვნებო მსოფლიოს შექმნისათვის, ბ-ნი ს ო რ ო ს ი ლოგიკურად აუქმებს სიონისტური მოძრაობის იდეას ებრაელი ერის ძველი აღთქმისეული „რჩეულობის" აღორძინებისასაც, რადგან ნებისმიერი ერი, რჩეული შეიძლება იყოს მხოლოდ ეროვნებათაგან შემდგარ კაცობრიობაში და არა უეროვნებო მსოფლიოში.

2014 წელს მსოფლიო ებრაელობამ, საქართველოს დედაქალაქში, თბილისში, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში, გადაიხადა 25 წლისთავის ზეიმი მსოფლიო ებრაელობის ოფიციალური შემოსვლისა პოსტ საბჭოთა სივრცეში.

წინამდებარე ღია წერილი ამერიკის პრეზიდენტისადმი წარმოადგენს მხარდაჭერას და აღფრთოვანებას ამერიკის პრეზიდენტის, ბატონ დონალდ ტრამპის იმ საპრეზიდენტო მრწამსით, იმ კრედოთი, რომელიც მან წარმოსთქვა თავისი საინაუგურაციო სიტყვით, 2017 წლის 20 იანვარს. აღიარა რა ნებისმიერი ხალხის და ე.ი. ნებიმიერი ერის ბუნებრივი, ღვთით დაწესებული უფლება თავის "სახლში", ანუ თავის ქვეყანაში პირველ რიგში დაიცვას თავისი საკუთარი უფლებები, პროფესორ დენიზა სუმბაძის აზრით, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა, ბატონმა დ ო ნ ა ლ დ ტ რ ა მ პ მ ა მოახდინა გადატრიალება მსოფლიოს ახალი წესრიგის ებრაულ-სიონისტურ იდეოლოგიაში და ნებისმიერ ხალხს დაუბრუნა ერად ყოფნის უფლება, რომელიც წაართვა მსოფლიოს ახალი წესრიგის სოროსულ-სიონისტურმა თეორიამ, უეროვნებო მსოფლიო საზოგადოებრიობის შექმნის საკუთარი იდეალით. ერების მხარდაჭერის ამ პრინციპის კანონიზაციით

ბატონმა ტრამპმა შეცვალა სიონისტურ-კაბალისტური ერთი ერისა და ყველა დანარჩენი მსოფლიო ხალხების, ანუ უეროვნებო მსოფლიოს იდეალი, მისი ალტერნატიული, ანუ ერებისაგან შემდგარი კაცობრიობის იდეალით. ქალბატონი პროფესორის აზრით ბ-ნი ტრამპის ახალი მსოფლმხედველობით, მისი ახალი მიზანდასახულებით და ახალი ზნეობრივი პრინციპებით, დღის წესრიგში დადგა მსოფლიოს ე.წ. „ახალი წესრიგის", იგივ ნეოკონურ-სიონისტური წესრიგის შეცვლა ღვთით დაწესებული ახალი მსოფლიო წესრიგით, ანუ მსოფლიო ქვეყნების პოლიტიკაში, ღვთის საწინააღმდეგო პრინციპების აკრძალვითა და ღვთით დაწესებული ზნეობრივი პრინციპების გატარებით. ეს გახლავთ დღეს პრეზიდენტ ტრამპის ამერიკისეული გზა დედამიწის გადარჩენის.

## "We will Cure the Earth from Illnesses"

## SUMMARY

## Open letter of Professor Denyza Sumbadze to the President of the USA - His Excellency Mr. Donald Trump


Professor Denyza Sumbadze addresses his Excellency, the president of the United States of America Donald Trump, with the highest respect to his personality, his family and his country. She considers Mr. Trump's coming to the office in the context of two calamities: ecological and political. In the vision of the author of the letter, the House of the mankind – Our Planet faces the threat of ecological and political catastrophes, as for the threat of ecological calamities, prevention of the latter, calls for banning of interstate opposition, while the contemporary world with its new order, or in other words – with the Zionist plans of the world conquer – is directly heading to the third world war. Mrs. Denyza demands from the Organization of the United Nations to work out a new regulation for declaring the state of emergency on the planet. In her opinion, the inner urge of the modern world politics, according to the theory of a great scientist of the 20th century – Albert Einstein, which Mrs. Sumbadze calls "the theory of indifference towards the life of the mankind", might be assessed as the aspiration of the mankind that has lost its inner equilibration, as from the viewpoint of the Christian Teaching – coming of the mankind, which has lost its love towards its neighbors, brings to the state of misanthropy.

According to the author's vision, creative and organizing power of the cultural revolution, born in the USA is the creative and organizing Power of an ideology of the new world order as well; that is the revolution that resulted in the dechristianising of the country and which, according to Mr. Patrick Buckenen:"Threw the United States into the ethical drainage."

The author of the open letter pays a special attention to the famous "Helsinki Declaration" received in 1975 – namely the fact from the declaration, which confirms both the legitimacy of defense of human right and dignities and the legitimacy of national unities, id est defense of nations, which the author reflects in the context of George Soros 'Civil Society'. In this context the author of the open letter to the President of the US, states that the main goal of Helsinki Declaration was the collapse of the Soviet Union, on the background

of the nations' demand for the state independence; as after the completion of the task, the next stage was to introduce a new world order and substitute the existing "Helsinki Declaration" with George Soros's theory of "Open Civil Society." This cabbalistic theory of transformation of nations into civil societies and creation of impersonal nation-free world -in other words the author considers the movement of creation of the "all remaining nations' world" as the adventure in the world politics, which should have brought the explosion of national movements in the Soviet space to guarantee the collapse of the Soviet Union and gaining the hold over the liberated from Russia states, not for the development of their individuality but for their transformation into George Soros's "Civil Societies", establishing the self-destructive state-legislative form. With the liquidation of national movement leaders and introduction of **Eduard Shevardnadze**, one of the architects of a new world order, into the national government of Georgia, the world Zionist movement managed to snatch the full control over the state machine of Georgia and successfully accomplished the plans of Soros ideology or in other words deprived Georgia and Georgian nation of its historical country and accomplished its complete expropriation and destruction.

It is well admitted that each nation has its own divine and earthly mission. The example of last 27 years of Georgia, is a factual demonstration that Soros theory about the transforming nations into civil societies, not only threatens the physical existence of nations, but also the fulfilment of their spiritual missions; in this regard Zionism as the movement establishing new world order is seen as the force juxtaposing the Creator. It should be noted that by his perfidious model of "civil society" aiming at establishing the world without nations, Mr. Soros logically abolishes the idea of Zionist movement and the revival of the Jewish nation as a distinguished national according to the Old Testament as any nation can be considered as distinguished only in the world which consists of nations and not in the world which denounces nations.

In 2014, in the capital of Georgia, Tbilisi, in the big Concert Hall, the Zionism of the world officially celebrated 25$^{th}$ anniversary of entering the post -Soviet space.

The given open letter to the president of the United States is the manifestation of full support and admiration to the president of America Mr. Donald Trump, for his believes, his credo expressed in his inauguration speech on January 20, 2017. With the recognition of the rights of every nation, to enjoy their bestowed by the God rights and protect their "home", id est, their country and their rights - professor Denyza Sumbadze thinks that with this position the president of the United States, Donald Trump made a revolution in the Jewish-Zionist ideology of a new world order and returned each world state the right **of being an independent nation**, which they had been deprived from the Soros -Zionist theory of a new world order. By canonizing this principle Mr. Trump changed the Zionist – cabalistic ideal of one nation, or the notion of a world free of nations, with the alternative one or with the ideal of the mankind of the world consisting of different nations. According to Mrs. Denyza Sumbadze's opinion with Mr. Trump's new ideology, with his aspirations and new moral principles, has brought on the agenda the necessity to change the so called "new order" of the world, or the change of neocon – Zionist order with the God given world order – in other words to ban the principles contradicting the commandments of God in the world politics and to follow the route of Christian teachings. This is the route of the solvation of the world introduced by the President Trump's America.

რედაქტორი: **რევაზ ბალანჩივაძე,**
ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი,
პედაგოგიკისა და პოლიტოლოგიის
საზოგადოებრივ აკადემიათა აკადემიკოსი

რეცენზენტები: **პაატა გიორგაძე,**
აკადემიკოსი, პროფესორი

**ლეილა მირიანაშვილი,**
ისტორიკოსი-ეთნოგრაფი

წიგნის ტექნიკური რედაქტორი:

**ქ-ნი კლარა (კამკამა) ტონია**

ინგლისური ტექსტების მთარგმნელი:

**ქ-ნი მარინე ხუროშვილი**

თარგმანის რედაქტორი:

მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**ნანა შენგელაია**

ყდაზე: ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი –
**ბატონი დონალდ ტრამპი** და
**თავისუფლების ქანდაკება ნიუ იორკში.**

On the binding: USA President
**Mr. Donald Trump** and **Statue of "Liberty" in New York.**

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com